

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა  
ეროვნული ცენტრი

Sokhumi State University  
Korneli Kekelidze Georgian National Centre of Manuscripts



## აფხაზეთის კულტურული ფასეულობანი

ენა, ლიტერატურა, ისტორია, სოციალური მეცნიერებანი, კულტურის ძეგლები  
მეორე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მოხსენებათა

### მოკლე შინაარსები

ედვინება აკადემიკოს

მარიამ ლორთქიფანიძეს

## Cultural Values of Abkhazia:

Language, Literature, History, Social Sciences, Cultural Monuments

### Abstracts

of the Second International Scientific Conference Dedicated to the 100th Anniversary of  
Academician **Mariam Lortkipanidze**

თბილისი/Tbilisi, 8-9/12/2022

**კონფერენციის ორგანიზატორები:  
Conference Organizers**



**სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტი  
მულტიკულტურული განათლებისა და კულტურის კვლევების ცენტრი**

**Sokhumi State University  
Department of Scientific Research and Development  
Center for Multicultural Education and Cultural Studies**



**კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა  
ეროვნული ცენტრი  
Korneli Kekelidze Georgian National Centre of Manuscripts**



**საერთაშორისო საგაზაფხულო სკოლა - აფხაზეთი  
International Spring School – Abkhazia**

**კონფერენციის საერთაშორისო  
სარედაქციო საბჭო:**

**ზურაბ ხონელიძე** - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, **ლია ახალაძე** - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, **მილომ პეტროვიჩი** - საერთაშორისო პოლიტიკისა და ეკონომიკის ინსტიტუტი, სერბეთი, **ნინო თოფურიძე** - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, **ირინა გოგონაია** - კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, **როზეტა გუჯეჯიანი** - ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, **თამარ მინჯიაშვილი** - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, **გურამ მარხულია** - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, **ოლეჰ კუპჩიკი** - კიევის ტარას შევჩენკოს სახელობის ეროვნული უნივერსიტეტი, უკრაინა, **ნონა ქარაია** - აფხაზეთის ა/რ. განათლებისა და კულტურის სამინისტრო, **ლევან ჯიქია** - საქართველოს ეროვნული არქივი/სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, **ნინო წულაია** - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, **ლევან კვარაცხელია** - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი/სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

**Editorial Board International  
Scientific Conferences**

**Zurab Khonelidze** - Sokhumi State University, **Lia Akhaladze** - Sokhumi State University, **Miloš Petrović** - Institute of International Politics and Economics, Serbia, **Nino Topuridze** - Sokhumi State University, **Irina Gogonaia** - Korneli Kekelidze National Center of Georgian Manuscripts, **Roseta Gujejiani** - Ivane Javakhishvili Tbilisi State University, **Oleh Kupchyk** - Taras Shevchenko National University of Kyiv, Ukraine, **Tamar Shinjiashvili** Sokhumi State University, **Guram Markhulia** - Sokhumi State University, **Nona Karaya**, Ministry of Education and Culture of the Autonomous Republic of Abkhazia, **Levan Jikia** - National Archive of Georgia/Sokhumi State University, **Nino Tsulaia** - Sokhumi State University, **Levan Kvaratskhelia** – Ivane Javakhishvili Tbilisi State University/Sokhumi State University.

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის *სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტის* ინიციატივით დაფუძნდა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „აფხაზეთის კულტურული ფასეულობანი: ენა, ლიტერატურა, კულტურა, ისტორია“. პირველი კონფერენცია ჩატარდა 2021 წელს აფხაზეთის ა/რ -ის განათლებისა და კულტურის სამინისტროს მხარდაჭერით. 2022 წელს უნივერსიტეტის ინიციატივას შემოუერთდა საქართველოს კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი და მასთან არსებული საერთაშორისო საზაფხულო სკოლა, გაფართოვდა კონფერენციის მიზნები და ამოცანები, დაემატა ახალი სექციები და ა.შ.

„აფხაზეთის კულტურული ფასეულობების“ მეორე საერთაშორისო კონფერენცია ეძღვნება ცნობილი ქართველი მეცნიერის, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსის, პროფესორ **მარიამ ლორთქიფანიძის** დაბადებიდან 100 წლის იუბილეს. წინამდებარე კრებულში კონფერენციის მოხსენებათა მოკლე შინაარსები წარმოდგენილია ორ განყოფილებაში 1. აფხაზეთი და მარიამ ლორთქიფანიძის სამეცნიერო მემკვიდრეობა, 2. ისტორია, ეთნოლოგია, ფილოლოგია, პოლიტიკა, საერთაშორისო ურთიერთობები, სამართალი, განათლების მეცნიერებანი.

The International Scientific Conference „Cultural Values of Abkhazia: Language, Literature, Culture, History“ was established at the initiative of the Department of Scientific Research and De-velopment of Sokhumi State University. *The first conference* was held in 2021 with the support of the Ministry of Education and Culture of the Autonomous Republic of Abkhazia. In 2022, the Korneli Kekelidze Georgian National Centre of Manuscripts and its International Summer School joined the university’s initiative, leading to the expansion of the conference’s goals and objectives, the addition of new sections, and further developments.

The second International Scientific Conference on „Cultural Values of Abkhazia“ is dedicated to the 100th anniversary of the birth of the famous Georgian scholar, Doctor of Historical Sciences, Academician of the Georgian National Academy of Sciences, Professor **Mariam Lortkipanidze**. This collection presents the abstracts of the conference reports organized into two sections: Abkhazia and the Scientific Heritage of Mariam Lortkipanidze, 2. History, Ethnology, Philology, Politics, International Relations, Law, Educational Sciences.

გარეკანზე აკადემიკოსი **მარიამ ლორთქიფანიძე** 2011 წელს, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე.

*On the cover:* Academician **Mariam Lortkipanidze** in 2011, at the International Scientific Conference at Sokhumi State University.

**რედაქტორები:**  
**ლია ახალაძე, ლევან ჯიქია**

**Editors:**  
**Lia Akhaladze, Levan Jikia**

DOI: 10.52340/mng.2023.02.27

© სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი 2022  
© საავტორო უფლებები დაცულია

# ს ა რ ჩ ე ვ ი

## აფხაზეთი და მარიამ ლორთქიფანიძის სამეცნიერო მემკვიდრეობა Abkhazia and Mariam Lortkipanidze's Scientific Heritage

### ზურაბ ხონელიძე

მარიამ ლორთქიფანიძე - მასწავლებელი, მოქალაქე, მეცნიერი და დიპლომატი -----11  
Zurab Khonelidze - Mariam Lortkipanidze -Teacher, Citizen, Scientist and Diplomat -----13

### ზურაბ პაპასკირი

თანამედროვე აფხაზეთისა და აფხაზეთის ისტორიის პრობლემატიკა მარიამ ლორთქი-  
ფანიძის ისტორიოგრაფიულ მემკვიდრეობაში - მოგონება -----15  
Zurab Papaskiri - The Issues of the History of Contemporary Abkhazia and the Abkhazs in  
the Works of Mariam Lordkipanidze -----16

### მალვა გლოველი

მარიამ ლორთქიფანიძე როგორც შუა საუკუნეების აფხაზეთის ისტორიის მკვლევარი  
და სამეცნიერო ხელმძღვანელი ----- 18  
Shalva Gloveli - Mariam Lortkipanidze as a Researcher of the History of Medieval  
Abkhazia and Scientific Supervisor -----19

### ლია ახალაძე

მარიამ ლორთქიფანიძის სამეცნიერო მემკვიდრეობის შესწავლის საკითხისათვის ---20  
Lia Akhaladze - For the Issue of Studying the Scientific Heritage of Mariam Lortkipanidze -24

### ნონა ქარაია

აფხაზეთის კულტურული მემკვიდრეობა - რეალობა და გამოწვევები -----26  
Nona Karaya - Cultural Heritage of Abkhazia - Reality and Challenges -----28

ისტორია, ეთნოლოგია, ფილოლოგია, პოლიტიკა,  
საერთაშორისო ურთიერთობები, სამართალი, განათლების მეცნიერებანი

History, Ethnology, Philology, Politics, International Relations,  
Law, Educational Sciences

### მელორ ალფენიძე, ეკა ესებუა

აფხაზეთის შავიზღვისპირეთი:ათვისება - ნაპირდაცვის აკვარგიანობა, ინოვაციური  
პროექტები -----30  
Melor Alfenidze, Eka Esebua - Abkhazia's Black Sea Coast: Exploitation - Coastal Defense  
Vulnerability - Innovative Projects -----32

### ნანა არახამია

ჭეშმარიტი მწერლობა ერებს შორის მეგობრობის შუამავალი (დალი ცაავა) -----34  
Nana Arakhamia - True Writing Fair Mediator of Friendship Between Nations (Dali Tsaava)-35

### ომარ არდამელია

აფხაზეთის ომი ინდივიდუალურ მენსიერებაში -----37  
Omar Ardashelia - The Abkhazia War in Individual Memory -----39

## **გიორგი აფხაზავა**

აფხაზეთის პოლიტიკური ელიტა 1940-1980 -----41

**Giorgi Abkhazava - Political Elite of Abkhazia in 1940-1980 ----- 42**

## **Irada Bagirova**

Security in the South Caucasus: Myth or Reality? -----43

**ირადა ბაგიროვა - უსაფრთხოება სამხრეთ კავკასიაში: მითი თუ რეალობა? ----- 44**

## **ბესო ბერიძიშვილი**

დავით ჩუბინაშვილი აფხაზეთის და აფხაზი ხალხის შესახებ ----- 47

**Beso Beridzishvili - Davit Chubinashvili About Abkhazia and the Abkhazian People ----- 48**

## **ნოდარ ბერულავა**

ეთნოპოლიტიკური ვითარება ცენტრალური აფხაზეთის სანაპიროზე ბერძნული

კოლონიზაციის დროს (ძვ. წ. VII-V სს.) -----50

**Nodar Berulava - Ethnopolitical Situation on the Coast of Central Abkhazia During**

**Greek Colonization (VII-V Centuries BC) -----51**

## **Yuriy Bondar**

Aggression Against Independent Georgia and Ukraine: Context and Parallels -----53

**Юрий Бондарь - Агрессия против Грузии и Украины: контекст и параллели ----- 54**

**იური ბონდარი - აგრესია დამოუკიდებელი საქართველოსა და უკრაინის**

**წინააღმდეგ: კონტექსტი და პარალელები -----59**

## **გიორგი ბუბაშვილი**

აფხაზეთში მცხოვრები ესტონელები -----65

**Giorgi Bubashvili - Estonian Residents in Abkhazia -----66**

## **ლალი გაბისონია**

წმ. გიორგის კულტი და ფიცი, როგორც მტკიცებულება ძველ ქართულ სამართალში -- 68

**Lali Gabisonia - The Cult of St. George and the Oath as Evidence in Ancient Georgian Law- 69**

## **ჯემალ გამახარია**

პოლიტიკური ვითარება აფხაზეთში თანამედროვე ეტაპზე -----70

**Jemal Gamakharia - The Recent Events Developed in the Region and the Political**

**Situation in Abkhazia -----72**

## **ვეფხვია გვარამია**

საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე კულტურული მემკვიდრეობის და

განათლების უფლების დაცვის საერთაშორისო სამართლებრივი მექანიზმები -----74

**Vepkhvia Gvaramia - International Administrative Mechanisms for the Protection of**

**Cultural heritage and the right to education in the occupied territories of Georgia -----75**

## **ლევან გვიჩიანი**

სვანეთის და აფხაზეთის ისტორიული საზღვრების საკითხისათვის -----76

**Levan Gvichiani - For the Issue of Historical Borders of Svaneti and Abkhazia -----78**

**ირინა გოგონაია**

სეზონური სკოლის შინაარსის შემუშავების საკითხისათვის (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის საერთაშორისო საგაზაფხულო სკოლის მაგალითზე, „აფხაზეთი: შუა საუკუნეებიდან დღემდე (ისტორიულ-კულტუროლოგიური ასპექტები)“-----80  
**Irina Gogonaia - On the Issue of Developing the Content of the Seasonal School: International Spring School of the National Centre of Manuscripts, "Abkhazia: From the Middle Ages to the Present (Historical-Cultural Aspects)" -----82**

**როზეტა გუჯეჯიანი**

დალის ხეობა (სოციო-კულტურული ასპექტები) -----84  
**Rozeta Gujejiani - Dali Gorge (Socio-Cultural Aspects) -----85**

**ნოდარ დარსანია, ჯულიეტა ძაძუა**

ქალაქ ოჩამჩირის ქართულენოვანი მოსახლეობის მეტყველებისათვის -----87  
**Nodar Darsania, Julieta Dzadzua - For the Speech of the Georgian-Speaking Population of Ochamchire City -----88**

**ნინო ვახანია**

ომის პარადიგმა თანამედროვე ქართულ რომანში (ორი თხზულების მაგალითზე) ----90  
**Nino Vakhania-The Paradigm of War in the Modern Georgian Novel(Based on Two Novels)-91**

**თამილა ზვიადაძე**

დარიკო ფიფიას ლექსთა კონცეპტოსფერო -----92  
**Tamila Zviadadze - Conceptosphere of Dariko Pipia's Lyrics -----94**

**მარინა იზორია**

რუსეთ-საქართველოს ომი 1992-1993 წწ. და უკრაინა -----95  
**Marina Izoria - Russian-Georgian War 1992-1993 and Ukraine -----96**

**მარინე კაკაჩია, ქეთევან მარგიანი, მარინა ჯღარკავა**

აფხაზი და აფხაზეთი „დევნილთა მეტყველებაში“ -----97  
**Marine Kakachia, Ketevan Margiani, Marine Jgharkava - Abkhazian and Abkhazia in the Speech of the Displaced People -----98**

**კახა კვამილავა**

სამურზაკანო 1840-1865 წლებში -----100  
**Kakha Kvashilava - Samurzakano in 1840 – 1865 -----101**

**Oleh Kupchyk**

Abkhazia on the Pages of the Magazine „World of East“(Late 1920’s – Early 1930’s) -----103  
**ოლეჰ კუპჩიკი - აფხაზეთი ჟურნალ „აღმოსავლეთის სამყაროს“ გვერდებზე (1920-იანი წლების ბოლოს - 1930-იანი წლების დასაწყისი) ----- 104**

**ნანა კუცია, მირანდა თოდუა**

მარინე ტურავას ლექსთა კრებული „სოხუმი-თბილისი“ -----105  
**Nana Kutsia, Miranda Todua - Collection of Marine Turava’s verses of poetry „Sokhumi-Tbilisi“ -----106**

## **ნესტან ლომაია**

- ქალთა უფლებები და აფხაზეთი (წარსული, აწმყო და თანამედროვეობა) -----107  
**Nestan Lomaia - Women's Rights and Abkhazia (Past, Present and Modern Time)** -----108

## **გიორგი ლორია**

- აფხაზი ეთნოსის იდენტობის ახალი კონცეპტი -----109  
**Giorgi Loria - A New Concept of the Identity of the Abkhazian Ethnic Group** -----110

## **გურამ მარხულია**

- კავკასიის მთიელ ხალხთა კონფედერაციის ანტიქართული გამოსვლების  
გეოპოლიტიკური მოტივები 1992-1993 წწ. -----112  
**Guram Markhulia - Geopolitical Motives of the Anti-Georgian Speech of the  
Confederation of Mountain Peoples of the Caucasus in 1992-1993** -----113

## **ნინო მამია**

- სასოფლო-სამეურნეო ლექსიკა სიტყვაწარმოების თვალსაზრისით ქართულსა და  
მეგრულ-ლაზურში -----115  
**Nino Mashia - Agricultural Vocabulary From the Point of View of Word Formation in  
Georgian and Megrul-Lazuri** -----117

## **ლელა მირცხულავა**

- თანამედროვე მასმედიისა და ლიტერატურის თავისებურება აფხაზეთში -----119  
**Lela Mirtskhulava - Peculiarities of Modern Mass Media and Literature in Abkhazia** -----120

## **მარიამ მირესამვილი**

- პოსტტრავმული მეხსიერების მოდელები 2008 წლის აგვისტოს ომის  
ლიტერატურულ დისკურსში -----122  
**Mariam Miresashvili - Models of Posttraumatic Memory in the Literary Discourse of the  
August 2008 August War** -----123

## **ტიტე მოსია**

- აფხაზი პოეტის ალექსი ჯონუას „მუჰაჯირის გამოთხოვება“ -----125  
**Tite Mosia - "Farewell of the Muhajir" by the Abkhazian Poet Alexi Jonua** -----126

## **მამუკა ნაცვალაძე**

- ერეკლე II-ის 1792 და 1795 წლების უცნობი ავსტრიული ელჩობების ფრაგმენტები  
ევროპის საარქივო მასალებში -----127  
**Mamuka Natsvaladze - Fragments of Erekle II's Unknown Austrian Ambassades  
of 1792 and 1795 in European Archives** -----132

## **მერაბ ნაჭყებია**

- სახელური სიტყვაწარმოება ქართველურ ენებში (შედარებითი ანალიზი) -----137  
**Merab Nachkebia- Derivation of the Names in Georgian languages (Comparative Analysis)-** 138

## **Zübeyir Uzun, Gül Mükerrerem Öztürk, Neriman Yılmaz**

- Information about Abkhazia in Turkish Sources (1453-1801) -----139  
**გულ მუქერემ ოზთურქი, ზუბეირ უზუნი, ნერიმან ილმაზი - თურქულ წყაროებში  
არსებული ინფორმაცია აფხაზეთის შესახებ (1453-1801)** -----139



## **კობა ოკუჯავა**

- აფხაზთა რელიგიური სინკრეტიზმი -----140  
**Koba Okujava - Abkhazian Religious Syncretism -----141**

## **დავით ოქროპირიძე**

- ქრისტიანული კულტი ივირონის მონასტერსა და „სამეფოდ აფხაზეთისად“-ს  
შორის: რელიგიური ტრადიცია შუა საუკუნეების პოლიტიკურ კონტექსტში -----143  
**Davit Okropiridze - The Christian Cult Between the Monastery of Iviron and the  
„Kingdom of Abkhazia“: Religious Tradition in the Political Context of the Middle Ages -----144**

## **Yaroslav Pilypchuk**

- The Abkhazian-Georgian Conflict of XX-XXI Centuries -----146  
**იაროსლავ პილიპჩუკი - XX-XXI სს-ის აფხაზურ-ქართული კონფლიქტი -----146**

## **Miloš Petrović**

- Abkhazia: The Georgian Kosovo? Parallels, Distinctions, Perspectives -----147  
**მილოშ პეტროვიჩი - აფხაზეთი: ქართული კოსოვო? პარალელები, განსხვავებები,  
პერსპექტივები -----149**

## **Miloš Petrović**

- Considering Some Arguments Stated in the Book „Kosovo, Abkhazia,  
Tskhinvali: Historical-Comparative Analysis of Modern Conflicts“ -----151  
**მილოშ პეტროვიჩი - კანა ყალიჩავას წიგნში „კოსოვო, აფხაზეთი, ცხინვალი:  
თანამედროვე კონფლიქტების ისტორიულ-შედარებითი ანალიზი“  
გამოთქმული არგუმენტის შესახებ -----152**

## **ლუარა სორდია**

- მეზღვარის და მოგზაურის პარადიგმა ედგარ პოსა და გალაკტიონ ტაბიძის  
შემოქმედებაში -----155  
**Luara Sordia - The paradigm of the sailor and the traveler in the works of Edgar Poe and  
Galaktion -----156**

## **ნესტან სულავა**

- აფხაზეთი გიორგი მერჩულის ჰაგიოგრაფიულ თხზულებაში -----157  
**Nestan Sulava - Abkhazia in the hagiographic work of Giorgi Merchule -----159**

## **მარინა ტურავა**

- სოხუმი და ალეპო - ომის ორი განსხვავებული ტოპოსი და ერთი ტკივილი  
(თონა დოლენჯაშვილის რომანი „ჩიტი არ გამოფრინდება“) -----160  
**Marina Turava - Sokhumi and Aleppo - Two Different Topos of War and One Pain  
(Teona Dolenjashvili's Novel „The Bird Will Not Fly Away“) -----161**

## **Shohistokhan Ulzhaeva**

- Georgian-Uzbek Relations 1991- 2022 -----162  
**მოჰისტოხან ულჯაევა - საქართველო-უზბეკური ურთიერთობები 1991 - 2022 წწ. -----163**

## **მაია ფირჩხაძე**

- ტერმინ „აფხაზეთის“ გააზრებისთვის ისტორიის სახელმძღვანელოებში -----166  
**Maia Pirchkhadze-For the Understanding of the Term „Abkhazia“ in Textbooks of History-167**

## **კახაბერ ფიფია**

- ეგრისის (ლაზიკის) სამეფოს ისტორიისათვის -----169  
**Kakhaber Pipia - For the History of Lazica (Egrisi) Kingdom ----- 170**

## **ეკატერინე ქარდავა, გურანდა ჭელიძე**

- ევროპული სწავლების როლი აფხაზეთიდან დევნილი საზოგადოების  
განათლების პოლიტიკაში -----172  
**Ekaterine Kardava, Guranda Chelidze - The Role of the European Studies in the  
Education Policy of the Displaced Community From Abkhazia -----173**

## **თეა ქართველიშვილი**

- პოლიტიკური პრიმატის საკითხი დასავლეთ საქართველოში აფხაზეთა  
კათოლიკოს-პატრიარქების კანდიდატთა შერჩევის მაგალითზე (XV-XVIII სს.) -----175  
**Tea Kartvelishvili - Issue of Political Primate in Western Georgia, Based on the Example  
of Selection of the Candidates to the Throne of Catholicos-Patriarchs of Abkhazia  
(15th – 18th Centuries) -----176**

## **მარი ყალაბეგაშვილი**

- ისტორიისა და ქართული ენის სწავლების საკითხი შიდა ქართლის მთიანეთის  
(ე. წ. სამხრეთ ოსეთის) სასკოლო განათლებაში -----178  
**Mari Kalabegashvili -The Issue of Teaching History and the Georgian Language in School  
Education in Shida Kartli Mtianeti (Kartli Region Highland, so-called South Ossetia) -----179**

## **Ruslan Shevchenko**

- Main Aspects of Moldova-Georgia Relations -----181  
**რუსლან შევჩენკო-მოლდოვა-საქართველოს ურთიერთობის ძირითადი ასპექტები-182**

## **თამარ შინჯიაშვილი, ლევან კვარაცხელია**

- აფხაზეთის მოსახლეობის ეთნო-დემოგრაფიული ვითარება და გაყალბებული  
სტატისტიკა -----183  
**Tamar Shinjiashvili, Levan Kvaratskhelia - Ethnodemographic Situation of the  
Population of Abkhazia and Falsified Statistics -----184**

## **Abraham Shmulevich**

- The National Movement of Circassians, Abkhazia and Overcoming Kremlin Manipulations-186  
**აბრაამ შმულევიჩი - ჩერქეზთა ნაციონალური მოძრაობა, აფხაზეთი და კრემლის  
მანიპულაციები -----187**

## **გელა ცაავა**

- ე. წ. სოხუმის სამხედრო-საავტომობილო გზის აღდგენის პერსპექტივები -----188  
**Gela Tsaava - Perspectives of Restoration of the so-called Sokhumi Military Road -----189**

## **ინდირა ძაგანია**

- კულტურათაშორისი კომუნიკაციის ელემენტები თანამედროვე აფხაზეთურ  
ლიტერატურაში -----190  
**Indira Dzaganian - Elements of Intercultural Communication in Modern Abkhazian  
Literature -----191**

## **სოფიკო ჭაავა**

აფხაზებისა და აფხაზური ენის სტატისტიკური მაჩვენებლები XX საუკუნის  
30-იან წლებში -----192

**Sofiko Tchaava - Statistical Indicators of Abkhazians and the Abkhazian Language  
In the 30s of the XX Century -----193**

## **ქეთევან ხუციშვილი**

დე ფაქტო ერთეულის პერფორმაციული ბუნება (აფხაზეთის მაგალითი) -----195  
**Ketevan Khutsishvili - The Performative Nature of the de Facto Unit (Case of Abkhazia)-----196**

## **ლევან ჯინჯიხაძე**

ქართულ-აფხაზური ურთიერთობების ასახვა ქართველ მწერალთა შემოქმედებაში  
რუხის ბრძოლის მიხედვით -----197

**Levan Jinjikhadze - Reflection of Georgian-Abkhaz Relations in the Work of Georgian  
Writers According to the Battle of Rukhi ----- 198**

## **ლევან ჯიქია**

ზვიად გამსახურდია და აფხაზეთის საკითხი (1989-1993) -----200

**Levan Jikia - Zviad Gamsakhurdia and The Issue of Abkhazia (1989-1993) -----201**

## **ია ჯიქონაია**

საქართველო-ჩრდილოეთ კავკასიის ურთიერთობები XI საუკუნეში -----202

**Ia Jichonaia - Relations Between Georgia and the North Caucasus in the 11th Century-----203**

## **სამსონ ჯოჯუა**

აფხაზეთის დელეგაცია ჩრდილოეთ კავკასიის მთიელთა კავშირის პირველ  
ყრილობაზე 1917 წ.-----204

**Samson Jojua - The Abkhaz Delegation to the First Congress of the Union of  
Highlanders of the North Caucasus in 1917 -----205**

## **Haji Hasanov, Zeinab Gafarova**

From the History of Military Cooperation of Azerbaijani and Georgian Peoples. Alexander  
Batonishvili -----206

**ჰაჯი ჰასანოვი, ზეინაბ გაფაროვა აზერბაიჯანელი და ქართველი ხალხების  
სამხედრო თანამშრომლობის ისტორიიდან, ალექსანდრე ბატონიშვილი -----208**

## **Gasim Hajiyev**

Aspects of Azerbaijani-Georgian Relations 1991-2022 -----213

**გასიმ ჰაჯიევი - აზერბაიჯან-საქართველოს ურთიერთობის ასპექტები 1991-2022წ.--213**

## **Rizvan Huseynov**

For the Issue of Studying the Causes of Conflicts in the South Caucasus -----214

**რიზვან ჰუსეინოვი - სამხრეთ კავკასიაში კონფლიქტების მიზეზების შესწავლის  
საკითხისათვის -----214**

**ზურაბ ხონელიძე**  
*სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

**აკადემიკოსი მარიამ ლორთქიფანიძე - მასწავლებელი,  
მოქალაქე, მეცნიერი და დიპლომატი**

აკადემიკოსი მარიამ ლორთქიფანიძე - ადამიანი, რომელიც ჩვენი ქვეყნისთვის ურთულეს, ქართველიებით სავსე ეპოქაში იყო თავისი დარგის ლიდერი, თაობათა აღმზრდელი პედაგოგი, მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე - რჩეული რჩეულთა შორის. ვფიქრობთ, უნდა ვაღიაროთ, რომ ამ დარბაისელი ქალბატონის საზოგადოებრივი საქმიანობა ქვეყნისთვის აუცილებელ და საჭირო დროს დიპლომატიურ საქმიანობადაც უნდა შევაფასოთ. ასეთი ადამიანები რომელ ასაკშიც არ უნდა წავიდნენ ამ ქვეყნიდან დიდ დარდსა და გულისტკივილს ტოვებენ საზოგადოებაში. აკადემიკოსი მარიამ ლორთქიფანიძის ცხოვრების გზა და მოღვაწეობა ძალიან ჰგავს ჩვენი სამშობლოს მძიმე და ხიფათიან ისტორიას უკანასკნელი ერთი საუკუნის მანძილზე. საზოგადო ადამიანების ხვედრია - გაიზიარონ საკუთარი ქვეყნის ბედისწერა და გახდნენ მისი თანაზიარნი.

ჩვენ გვქონდა ბედნიერება ვყოფილიყავით მისი სტუდენტი, შემდეგ კოლეგა, თანამოაზრე და მხარდამჭერი ბევრ საკითხში, როგორც მეცნიერებაში, ასევე საზოგადოებრივ არენაზე, ამიტომ მისი ცხოვრებისეული ბიოგრაფიის მნიშვნელოვანი ნაწილი ჩვენს თვალწინ - ყველას თვალწინ იწერებოდა ჟამითი-ჟამად.

მარიამ ლორთქიფანიძის სამეცნიერო კვლევის ინტერესები იყო შუა საუკუნეების საქართველოს ისტორია, მაგრამ მას უწევდა პასუხების გაცემა ქვეყნისთვის უმნიშვნელოვანეს საკითხებზე და ეს საკითხები, ზოგჯერ პოლიტიკურ და დიპლომატიურ თემებსაც მოიცავდა და ცდებოდა ისტორიული მეცნიერების საზღვრებს. ამ საქმიანობაში მეცნიერს ის დიდი გამოცდილება ეხმარებოდა, რომელიც დიპლომატიის ისტორიის მიმართულებით დაუგროვდა. მარიამ ლორთქიფანიძე აქტიურად იყო ჩართული აკადემიკოს როინ მეტრეველის ინიციატივით შექმნილი ქართული სახელმწიფო და სახალხო დიპლომატიის ისტორიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მუშაობაში. ცენტრმა გამოაქვეყნა ქართული დიპლომატიის ტომეულები, როგორც ქართული

დიპლომატიის ისტორიის, ასევე ქრესტომათიის სახით. ამ ნაშრომების ერთ-ერთი გადამუშავებული ვარიანტი ახლახან გამოქვეყნდა - „ქართული დიპლომატიის ისტორია“ (2022), რომელშიც მარიამ ლორთქიფანიძეს ეკუთვნის რამდენიმე კვლევა ძველ საქართველოში დიპლომატიური ეტიკეტისა და დიპლომატიური ხელოვნების შესახებ. ამ მხრივ აღსანიშნავია მეცნიერის ნაშრომები: „ქართლის საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია IV-V სს-ში“ და „არაბთა მფლობელობის დამყარება და ქართული დიპლომატია VII ს-ის II ნახევარში“, პროფ. ზ. პაპასქირთან თანაავტორობით აქვს დაწერილი „ახალი სამეფო-სამთავროების წარმოქმნა საქართველოში და მათი ადგილი საერთაშორისო ურთიერთობებში (IX-X ს. I ნახევარი). სამინაო დიპლომატია“, „ერთიანი ქართული სახელმწიფოს დიპლომატია“ და სხვა.

აკადემიკოს მარიამ ლორთქიფანიძის მოღვაწეობაში არის ისტორიული მოვლენები, რომელშიც ეს დიდებული ქალბატონი პრაქტიკულად ელჩის მოვალეობას ასრულებდა: ხალხისა და მეცნიერთა წარგზავნილის ელჩის მოვალეობას საბჭოთა საქართველოს მთავრობაში, საბჭოთა საქართველოს ელჩს საბჭოთა კავშირის მთავრობაში, დამოუკიდებელი საქართველოს ელჩს რუსეთის ხელისუფლებაში. საგულისხმოა, რომ ამ კუთხით მისი მოღვაწეობა შესწავლილი არ არის და ქალბატონი მარიამის საქმიანობის ეს მიმართულება უთუოდ მეტ ყურადღებას იქცევს.

თავდადებული მეცნიერული საქმიანობისა და საზოგადოებრივი მოღვაწეობისთვის აკადემიკოს მარიამ ლორთქიფანიძეს მრავალი საპატიო წოდება და რეგალია აქვს მიანიჭებული, მაგრამ ყველაზე დიდი ჯილდო, მისი ცხოვრების მანძილზე, იყო მშობლიური ხალხის - პირველ რიგში სტუდენტების, კოლეგებისა და უბრალო ადამიანების სიყვარული, რითაც გამორჩეულად იყო დაჯილდოებული. 1988 წელს მ. ლორთქიფანიძეს მიენიჭა თბილისის საპატიო მოქალაქის წოდება; 1997 წელს დაჯილდოვდა ღირსების ორდენით; იმავე წელს აირჩიეს „წლის ადამიანად“; 2000 წელს ამერიკის ბიოგრაფიულმა ინსტიტუტმა (ABI) მიანიჭა „მეორე ათასწლეულის ღირსების მედალი“ და კემბრიჯის საერთაშორისო ორგანიზაციამ მეოცე საუკუნის გამოჩენილ ქალად აღიარა, რის საფუძველზე მეტანილია კემბრიჯის მიერ გამოცემულ გამოჩენილ ადამიანთა ლექსიკონში; მეტანილია ამმ-ს ბიოგრაფიულ ლექსიკონში (ABI) „ვინ ვინ არის?“, დასახელებული იყო 2001 წლის გამოჩენილ ქალად (Woman of the Year); 2011 წელს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ ქართული ეკლესიის უმაღლესი ჯილდო - წმ. გიორგის ოქროს ორდენი მიანიჭა და მას მშობლიური ქვეყნისადმი თავდადებული ღვაწლისთვის „საქართველოს დედა“

უწოდა; 2012 წელს მარიამ ლორთქიფანიძე აირჩიეს ამერიკის ბიოგრაფიული ინსტიტუტის (ABI) დიდების დარბაზის (Hall of Fame) წევრად.

მასზე ამბობენ სიცოცხლეშივე ლეგენდად იქცაო... დიას, ლეგენდად იქცა XX საუკუნის 40-50-იანი წლების კავანდარა, წელამდე მავი ნაწნავით, ქართველი ქალი.

**საკვანძო სიტყვები:** მარიამ ლორთქიფანიძე, მასწავლებელი, მოქალაქე, მეცნიერი, დიპლომატი, ქართველი ხალხის ელჩი.

**Zurab Khonelidze**  
*Sokhumi State University*

**Academician Mariam Lortkipanidze – Teacher,  
Citizen, Scientist, and Diplomat**

Academician Mariam Lortkipanidze - a person who was a leader in her field in the most difficult and turbulent era for our country, a teacher who nurtured generations, a scientist, and a public figure – the best among the bests. We should recognize that the public activity of Mariam Lortkipanidze must be evaluated as a necessary diplomatic activity for the sake of the country. No matter at what age such people pass away, they leave a lot of pain and heartache in society. The life and work of Academician Mariam Lortkipanidze are very similar to the difficult and tragic history of our Motherland of the last century. To share the fate of one's country and become its accomplice is a lot of the public people.

I was fortunate to be her student, then colleague, comrade-in-arms, and supporter in many matters, both in science and in the public arena, so an important part of his biography was written in front of our eyes.

Mariam Lortkipanidze's scientific interest was the history of medieval Georgia, but she had to answer the most important questions for the country, and these questions sometimes included political and diplomatic issues and went beyond the scope of historical science. In this activity, the scientist was helped by the great experience she had accumulated in the history of diplomacy. Mariam Lortkipanidze took an active part in the work of the Research Center for the History of Georgian State and Public Diplomacy, established on the initiative of Academician Roin Metreveli. The Center has published volumes on Georgian diplomacy, both in the form of a history of Georgian diplomacy and chrestomathy.

Recently, one of the revised versions of these works has been published – „The History of Georgian Diplomacy“ (2022), in which Mariam Lortkipanidze has several studies on diplomatic etiquette and diplomatic art in ancient Georgia. In this

regard, the works of the scientist: „Foreign Policy and Diplomacy of Kartli in the 4th-5th Centuries“ and the „Establishment of Arab Rule and Georgian Diplomacy in the Second Half of the 7th century“. In collaboration with prof. Z. Papaskiri, wrote „The Emergence of New Kingdoms-Principalities in Georgia and Their Place in International Relations (9-first half of 10 century)“, „Internal Diplomacy~, `Diplomacy of the Unified Georgian State“ and others.

In the work of Academician Mariam Lortkipanidze, there are historical events in which she practically acted as an ambassador: an envoy of the people and scientists to the government of Soviet Georgia, an envoy of Soviet Georgia to the government of the Soviet Union, an envoy of independent Georgia to the Russian government. It is significant that her work in this regard has not been studied, and this line of activity of Mariam Lortkipanidze undoubtedly should attract more attention.

Academician Mariam Lortkipanidze was awarded many honorary titles and regalia for her selfless scientific and social activities, but the greatest reward in her life was the love of her native people - first of all, students, colleagues, and ordinary people. In 1988 M. Lortkipanidze was awarded the title of honorary citizen of Tbilisi; B 1997 awarded the Order of Honor; In the same year, she was chosen as the „Person of the Year“, in 2000, the American Biographical Institute (ABI) awarded her the „Medal of Honor of the Second Millennium“, and the Cambridge International Organization recognized her an Outstanding Woman of the 20th Century on the basis of which she was included in the Cambridge dictionary of outstanding people; She is included into the Biographical Dictionary „Who is who?“ (ABI); Was named Woman of the Year in 2001; In 2011, the Catholicos-Patriarch of all Georgia, His Holiness and Beatitude Ilia II awarded her the highest award of the Georgian Church - the Golden Order of St. George and called her „Mother of Georgia“ for her devotion to her homeland. In 2012, Mariam Lordkipanidze was elected a member of the Hall of Fame of the American Biographical Institute (ABI).

They say that she became a legend during her lifetime ...

**Keywords:** Mariam Lortkipanidze, Teacher, Citizen, Scientist, Diplomat, Ambassador of the Georgian People.

## Cultural Values of Abkhazia

Abstracts of the Second International Scientific Conference, December 8-9, 2022, Tbilisi

### აფხაზეთის კულტურული ფასეულობანი

მეორე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მოკლე შინაარსები,  
2022 წლის 8-9 დეკემბერი, თბილისი

## ზურაბ ჰაპასკირი

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

### თანამედროვე აფხაზეთისა და აფხაზთა ისტორიის პრობლემატიკა მარიამ ლორთქიფანიძის ისტორიოგრაფიულ მემკვიდრეობაში

გამოჩენილი ქართველი ისტორიკოსის, აკადემიკოს მარიამ ლორთქიფანიძის შემოქმედებაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ამჟამინდელი აფხაზეთისა და აფხაზთა ისტორიის საკითხებს. მეცნიერმა თავისი შეხედულებები აღნიშნულ თემატიკაზე პირველად წარმოადგინა აფხაზი და ქართველი ისტორიკოსების მიერ მომზადებული რუსულენოვანი გამოცემის – „აფხაზეთის ასსრ ისტორიის ნარკვევები“ I ტომში (1960) გამოქვეყნებულ მასალაში, რომელიც ეძღვნებოდა „აფხაზთა“ სამეფოს ისტორიას (IX-X სს.).

ეს ნარკვევი დაედო საფუძვლად ვრცელ ნაშრომს, რომელიც შევიდა მ. ლორთქიფანიძის სადოქტორო დისერტაციაში: „*ეჟოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება*“ (წიგნად გამოიცა 1963 წელს), მოგვიანებით კი (1973) „*საქართველოს ისტორიის ნარკვევების*“ II ტომის შესაბამის თავს. ამ პუბლიკაციებში მ. ლორთქიფანიძემ ახალი არგუმენტებით შეამაგრა ქართული ისტორიოგრაფიის კონცეპტუალური ხედვა „აფხაზთა“ სამეფოზე, როგორც ქართულ სახელმწიფოებრივ გაერთიანებაზე.

მარიამ ლორთქიფანიძე ყოველთვის მედგრად იღგა ეროვნული ისტორიის სადარაჯოზე და უპასუხოდ არ ტოვებდა საქართველო-აფხაზეთის ისტორიული წარსულის გაყალბების მცდელობებს, რის გამოც ის სეპარატისტულ წრეებში, არც მეტი არც ნაკლები, ცხადდებოდა „აფხაზი ხალხის მტრად“. განსაკუთრებით ეს შესამჩნევი გახდა 1989 წლიდან, როდესაც გამოქვეყნდა მისი არაერთი პოლემიკური ხასიათის ნაშრომი აფხაზეთის ისტორიის საკითხებზე. ამ მხრივ, პირველ რიგში, გამოსარჩევია მ. ლორთქიფანიძის განმაზოგადებელი ნარკვევი: „*აფხაზები და აფხაზეთი*“, რომელიც გამოიცა 1990 წელს ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე. ნარკვევში მოკლედ, მაგრამ სათანადო სისრულით იყო ნაჩვენები აფხაზთა და აფხაზეთის ისტორიული განვითარების მეცნიერულად გამართული ობიექტური სურათი, რომლითაც ერთნიშნად მტკიცდებოდა, რომ თანამედროვე აფხაზეთის ტე-



რიტორია, იქ მოსახლე ტომებით (განურჩევლად მათი ეთნიკური წარმომავლობისა), ისტორიულად ყოველთვის საერთოქართული ეთნო-კულტურული და პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი სამყაროს ორგანულ ნაწილს წარმოადგენდა.

XX საუკუნის 90-იანი წლებიდან (სიცოცხლის ბოლომდე) მარიამ ლორთქიფანიძე წარმატებით აგრძელებდა ბრძოლას მეცნიერული კონტრპროპაგანდის ფრონტზე და ამხელდა აფხაზთა და აფხაზეთის ისტორიული წარსულის გაყალბების მცდელობებს. ამ პერიოდის პუბლიკაციებიდან საგანგებოდ უნდა გამოვყოთ მეცნიერის ვრცელი ნარკვევი „აფხაზთა“ სამეფოზე, რომელიც შესულია ქართველ მეცნიერთა მიერ რუსულ ენაზე მომზადებულ ფუნდამენტურ გამოცემაში „ძიებანი აფხაზეთის/საქართველოს ისტორიიდან“ (1999).

**საკვანძო სიტყვები:** მარიამ ლორთქიფანიძე, ისტორია, აფხაზეთი, პრობლემატიკა, ისტორიოგრაფიული მემკვიდრეობა.

**Zurab Papaskiri**  
*Sokhumi State University*

### **The Issues of the History of Contemporary Abkhazia and the Abkhazs in the Works of Mariam Lordkipanidze**

The issues of the history of contemporary Abkhazia and the Abkhazs have an important place in the works of prominent Georgian historian, academician Mariam Lordkipanidze. At first, the scholar presented her views on the mentioned topic in the chapter, which was dedicated to the history of the „Abkhazs“ kingdom (9<sup>th</sup>-10<sup>th</sup> centuries) in the „*Essays of the History of the Abkhazian ASSR*“ (vol. I, 1960). /This material formed the basis of a larger article which was included in M. Lordkipanidze’s habilitation thesis „*Political Unification of the Feudal Georgia*“, and later (in 1973) also became the part of the corresponding chapter in the second volume of „*Essays on the History of Georgia*“.

In those publications, M. Lordkipanidze strengthened with the new arguments the conceptual viewpoint of Georgian historiography on the kingdom of „Abkhazs“ as a Georgian state. Mariam Lordkipanidze had always firmly defended the national history and answered attempts to falsify the historical past of Georgia-Abkhazia. Because of that she was declared an „enemy of the Abkhaz people“ in separatist circles. This became especially noticeable from 1989, when several of her essays were published in the newspapers. In this regard, first of all, it should be mentioned M. Lordkipanidze’s work „Abkhazs and Abkhazia“, which was published as a brochure in 1990 in Georgian, Russian, and English. This work gives us a scholarly

sound objective picture of the historical development of the Abkhazs' and Abkhazia, which unequivocally proves that the territory of contemporary Abkhazia, with the tribes living there (regardless of their ethnic origin), historically always represented an organic part of the Georgian ethnical, cultural, political, and state universe.

From the 1990s (until the end of her life), Mariam Lordkipanidze successfully continued to fight on the front of scientific counter-propaganda and exposed attempts to falsify the historical past of the Abkhazs' and Abkhazia. Among the publications of this period, we should single out the scholar's extensive essay on the „Abkhazs“ kingdom, which was included in the fundamental work prepared by Georgian scholars: *„Investigations in the History of Abkhazia/Georgia“* (1999, in Russian).

**Keywords:** Mariam Lortkipanidze, History, Abkhazia, Problems, Historiographic Heritage.

### **მალვა გლოველი**

*კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს  
ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი*

#### **მარიამ ლორთქიფანიძე როგორც შუა საუკუნეების აფხაზეთის ისტორიის მკვლევარი და სამეცნიერო ხელმძღვანელი**

მოხსენების მიზანია წარმოაჩინოს მარიამ ლორთქიფანიძის როლი აფხაზეთის შუა საუკუნეების ისტორიის შესწავლის საქმეში; მისი განსაკუთრებული წვლილი „აფხაზთა სამეფოს“ ისტორიის მონოგრაფიულად კვლევის თვალსაზრისით; ამ სახელმწიფოს შინაარსის ზუსტი შეფასება და მისი ქართული შინაარსის გადმოცემა, მიუხედავად საბჭოთა კონიუქტურისა. კვლევა, ასევე, მიზნად ისახავს გადმოსცეს მარიამ ლორთქიფანიძის როგორც პედაგოგის და სამეცნიერო ხელმძღვანელის მრავალმხრივი პორტრეტი; მისი, როგორც უმაღლესი კვალიფიკაციის მეცნიერის, დამოკიდებულება საკვლევო თემისადმი; კვლევის მეთოდების სწავლება და გაზიარება ახალგაზრდა მეცნიერთათვის. ნაშრომში განხილულია მისი პიროვნული თვისებები (ძლიერი და სუსტი მხარეები), მიზეზები, რის გამოც მას ჰყავდა ძალიან ბევრი სტუდენტი/მსმენელი, მაგრამ, სხვა მეცნიერებთან შედარებით, ცოტა დისერტანტი/დოქტორანტი. მისი ლექციები და საუბრის ლოგიკა მოწმობს მის ერუდიციას და ქართული ენის გრამატიკის შესანიშნავ ცოდნას. კვლევა ემყარება მ. ლორთქიფანიძის როგორც ფუნდამენტური, ასევე სხვა ტიპის (სამეცნიერო-პოპულარული, პუბლიცისტური) შრომების, მის მიერ შესწორებული-გარედაქტირებული და კომენტირებული ნაშრომების ანალიზს (საარქივო მასალა), ზეპირ გადმოცემებს (პირად ურთიერთობებს).

ნაშრომში განხილულია მარიამ ლორთქიფანიძის ის თვისებები, რომლებიც ახასიათებს მას როგორც დიდ მეცნიერს და შესანიშნავ პედაგოგს, განსაკუთრებით ხაზგასმულია მისი თვისება - მიიღოს და არ მიიჩნიოს შეცდომად განსხვავებული აზრი, თუ ის დამყარებულია სამეცნიერო არგუმენტებზე; განსაკუთრებითაა წარმოჩენილი, რომ მარიამ ლორთქიფანიძეს შეუძლია არა მხოლოდ მიიღოს განსხვავებული აზრი, არამედ, საკუთარი მოსაზრების საპირისპიროდ, დაეხმაროს ახალგაზრდა მკვლევარს მისი მოსაზრების დამატებით არგუმენტირებაში. ასეთი რამ ახასიათებს მხოლოდ დარგის

ქუმარიტ გულმემატიკივარს, ნამდვილ მეცნიერს და დიდბუნებოვან პიროვნებას.

**საკვანძო სიტყვები:** მარიამ ლორთქიფანიძე, აფხაზეთი, ისტორია, მუა საუკუნეები, მეცნიერი.

**Shalva Gloveli**

*Korneli Kekelidze Georgian National  
Centre of Manuscripts*

### **Mariam Lortkipanidze as a Researcher of the History of Medieval Abkhazia and Scientific Supervisor**

the purpose of the report is to present the role of Mariam Lordkipanidze in the study of the medieval history of Abkhazia; Her special contribution to the monographic study of the history of the „Abkhazian kingdom“; An accurate assessment of the content of this state and its Georgian content, regardless of the Soviet conjuncture. The study also aims to convey the multifaceted portrait of Mariam Lordkipanidze as a teacher and research supervisor; her attitude to the research topic as a highly qualified scientist; Training and exchange of research methods with young scientists. The article discusses her personal qualities (strengths and weaknesses), the reasons why she had so many pupils / students, but, compared to other scientists, few doctoral students. Her lectures and the logic of her conversation testify to her erudition and excellent knowledge of the grammar of the Georgian language. The study is based on the analysis of fundamental and other types (popular science, journalistic) works of Lordkipanidze, works corrected, edited and commented by him (archival material), oral transmissions (personal relationships).

The article discusses the qualities of Mariam Lordkipanidze, which characterize her as a great scientist and an excellent teacher, especially her quality - to accept and not consider a mistake a different opinion if it is based on scientific arguments; It is especially shown that M. Lordkipanidze can not only accept a different opinion, but also, contrary to his own opinion, help a young researcher in additional argumentation of his opinion. Such things characterize only a real scientist and a great person.

**Keywords:** Mariam Lordkipanidze, Abkhazia, History, Middle Ages, Scientist.

## Cultural Values of Abkhazia

Abstracts of the Second International Scientific Conference, December 8-9, 2022, Tbilisi

### აფხაზეთის კულტურული ფასეულობანი

მეორე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მოკლე შინაარსები,  
2022 წლის 8-9 დეკემბერი, თბილისი

## ლია ახალაძე

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

### მარიამ ლორთქიფანიძის სამეცნიერო მემკვიდრეობის შესწავლის საკითხისათვის

მარიამ ლორთქიფანიძე იყო საქართველოს აკადემიური საზოგადოების გამორჩეული წარმომადგენელი, რომელიც ოცდახუთი წლის მანძილზე ხელმძღვანელობდა საქართველოს ისტორიის კათედრას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. ინსტიტუციურად ეს კათედრა ქართული ისტორიული სკოლის ლიდერად ითვლებოდა ჯერ კიდევ ივ. ჯავახიშვილის, სიმონ ჯანაშიას, ნიკო ბერძენიშვილის დროიდან. თავისი პიროვნული თვისებებიდან გამომდინარე, მარიამ ლორთქიფანიძემ ღირსეულად გააგრძელა თავისი მასწავლებლების გზა და მრავალი წლის მანძილზე საქართველოს ისტორიის, ქართული ენისა და ქართული კულტურის დამცველის და მოამაგის როლი იკისრა.

მარიამ ლორთქიფანიძის სამეცნიერო მემკვიდრეობის კვლევა ქართულმა ისტორიოგრაფიამ მეცნიერის სიცოცხლეშივე წამოიწყო. მიუხედავად არსებული შეფასებებისა, ეს საკითხი ქართული საისტორიო აზროვნების განვითარების შესწავლის თვალსაზრისით კვლავ აქტუალურია და ვფიქრობთ, ამ თემაზე მომავალშიც ბევრი დაიწერება. მოხსენება ისტორიოგრაფიული ხასიათისაა და განიხილავს საისტორიო აზროვნების განვითარების კონცეპტუალიზაციის საკითხს მარიამ ლორთქიფანიძესთან და მკვლევართა შეფასებებს მეცნიერის მემკვიდრეობის შესახებ.

XX საუკუნის მეორე ნახევრისა და XXI საუკუნის დასაწყისის ქართული ისტორიოგრაფიის ნაციონალური მახასიათებლების გათვალისწინებით, მოხსენებაში დაზუსტებულია მეცნიერის კვლევითი საქმიანობის ტიპოლოგია და მეცნიერული ისტორიის კონცეფცია. კვლევის მეთოდი ეფუძნება, ისტორიულ-შედარებითი კვლევის მეთოდთა სისტემას, მეცნიერის მემკვიდრეობაზე დაკვირვების, ჰერმენევტიკის, კონტენტ-ანალიზისა და სინთეზის მეთოდებს, რომელიც მოითხოვს საკვლევი პრობლემის მიმართ სისტემურ მიდგომას.

სხვადასხვა დროს მარიამ ლორთქიფანიძის სამეცნიერო მემკვიდრეობას იკვლევდნენ ნოდარ მომიამვილი და გივი ჯამბურია, რომლებმაც მეცნიერს ქართული ისტორიოგრაფიის თვალსაჩინო წარმომადგენელი უწოდეს (2001), დევი კაციტაძე, რომელმაც 2007 წელს, მარიამ ლორთქიფანიძისადმი მიძღვნილ სამეცნიერო კრებულში ხაზი გაუსვა მის არამარტო კვლევით ინტერესებს, არამედ პედაგოგიურ და საზოგადოებრივ მოღვაწეობას, 2013 წელს ლია მელიქიძევილის, ნანა ხაზარაძის და ქეთევან ნადირაძის რედაქტორობით გამოქვეყნდა ბიოგრაფიული ხასიათის ნამრომი, რომელშიც საკმაოდ ვრცლადაა წარმოდგენილი მეცნიერის ბიოგრაფიული და სამეცნიერო კვლევითი ინტერესების მტრინები. 2014 წელს მარიამ ლორთქიფანიძის 90-ე წლისთავისადმი გამართულ კონფერენციაზე მარიამ ჩხარტიშვილმა მეცნიერის მემკვიდრეობა თეორიულ შრილში განიხილა და ყურადღება გაამახვილა ისტორიული რეპრეზენტაციის სტილის თავისებურებებზე, თეორიულ მიმართულებებსა და კონკრეტულ კვლევებზე. აფხაზეთის თემატიკა მარიამ ლორთქიფანიძის სამეცნიერო მემკვიდრეობაში, პირველად ზურაბ პაპასქირმა განიხილა და ამ მიმართულებით საინტერესოა მისი პუბლიკაცია „ზოგიერთი მტრინი მარიამ ლორთქიფანიძის პორტრეტისთვის“ (2009). ლია ახალაძემ ცალკე კვლევის საგნად აქცია წყაროების კვლევის საკითხი მარიამ ლორთქიფანიძის სამეცნიერო მემკვიდრეობაში (2014), რომელშიც მეტნაკლებად დაწვრილებითაა წარმოჩენილი მეცნიერის ღვაწლი სხვადასხვა სახის ქართული და უცხოური წყაროების კვლევისას. 2017 წელს გამოქვეყნებულ მოკლე მონოგრაფიულ კვლევაში ქეთევან ნადირაძემ მედარებით ვრცლად წარმოადგინა მეცნიერი ხედვა ისტორიული მეცნიერების მიმართ. იმავე წელს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეგიდით გამოქვეყნდა როინ მეტრეველის ნამრომი „მეგობრობა გზად და ხიდად“. ნარკვევი ეძღვნება ქართველი მეცნიერებისა და საზოგადო მოღვაწეების, აკადემიკოსების მარიამ ლორთქიფანიძისა და ოთარ ჯაფარიძის ცხოვრებასა და მოღვაწეობას (2017).

განსაკუთრებით საინტერესოა ავტორის მიერ გამოქვეყნებული ბიოგრაფიული ჟანრის წიგნი „რაც გამახსენდა“ (2007), მისი მოწაფეების, სტუდენტებისა და დოქტორანტების მოგონებები მასწავლებელზე, რომელშიც კარგად იკვეთება მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწე ქალის მტრინები პორტრეტისთვის (მაღვა გლოველი, სოფიო ქადაგიშვილი, როზეტა გუჯაჯიანი და სხვ.)

მარიამ ლორთქიფანიძის ისტორიოგრაფიული მემკვიდრეობის შესწავლისას გასათვალისწინებელია ის თავისებურებები, რომლებიც დამახასიათებელია მისი სამეცნიერო საქმიანობისთვის. მეცნიერის მემოქმედება მრავ-

ვალფეროვანია: ეს არის ორ ასეულამდე სამეცნიერო პუბლიკაცია, მოხსენებები და პრეზენტაციები საქართველოში თუ საზღვარგარეთ, რეცენზიები, გამომაურებები, წიგნების რედაქტორობა, ინტერვიუები, საჯარო ლექციები და სხვა. ტიპოლოგიური თვალსაზრისით, გამოკვლევათა თემატიკის დიაპაზონი არის ძალიან ფართო: საქართველოს პოლიტიკური, სოციალური, კულტურული ისტორია, ისტორიოგრაფიული ხასიათის კვლევები, წყაროთმცოდნეობითი ძიებანი და მრავალი სხვა. თავისებურებათა მორის ყურადღებას იქცევს კვლევის მდეგების საჯაროობა და ისტორიული ცოდნის მუდმივი დისემინაცია ფართო მსმენელი აუდიტორიის წინაშე, რაც მეიძლება XX-XXI სს. მიჯნის ქართული ისტორიოგრაფიის ერთ-ერთ ნაციონალურ მახასიათებლად მივიჩნიოთ.

მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა ისტორიოგრაფიაში მოჭარბებულად არის წარმოდგენილი „საბჭოთა პარადიგმების“ იდეოლოგიური ნარატივი, რითაც საბჭოთა იმპერია წლების მანძილზე მიზანმიმართულად და ხელოვნურად ცდილობდა მეცვალა ეთნიკური იდენტობის მარკერები, XX საუკუნის მეორე ნახევრისა და XXI საუკუნის დასაწყისის ქართული ისტორიოგრაფიის ნაციონალური მახასიათებლები ისტორიული მეხსიერების, როგორც ეროვნული იდენტობის მენარჩუნებისა და ფორმირების, ახალი ისტორიული პროცესების ხელმეწყოები კონცეპტუალური ხედვების ჩამოყალიბების საფუძველი გახდა. მარიამ ლორთქიფანიძის სამეცნიერო მემკვიდრეობა ამ მახასიათებლების ერთ-ერთი მთავარი მემოქმედია. მეცნიერის კვლევითი საქმიანობის ტიპოლოგიაში რამდენიმე მიმართულება და ქვემიმართულებები მეიძლება გამოვყოთ: 1. *საქართველოს პოლიტიკური, სოციალური, კულტურული ისტორიის, ძირითადად, შუა საუკუნეების საქართველოს* სხვადასხვა პერიოდის პრობლემების მესწავლა. 2. *წყაროთმცოდნეობითი კვლევები* - ავტორმა განახორციელა, როგორც ქართული ნარატიული წყაროებისა და ისტორიული საბუთების, ასევე საქართველოს მესახებ არსებული უცხოური საისტორიო წყაროების მესწავლა; 3. ქართული საისტორიო აზროვნების განვითარების კვლევა; 4. *პოლემიკური ხასიათის შრომები*, რომლებშიც სხვა ქართველ მკვლევრებთან ერთად ხშირად ამხელდა ისტორიის (ძირითადად, საქართველოს ისტორიის) გამყალბებლებს.

მოხსენებაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მარიამ ლორთქიფანიძის კონკრეტულ წყაროთმცოდნეობით კვლევებს, მათგან აღსანიშნავია დაკვირვებები „ქართლის ცხოვრების“ ისტორიული თხზულებების კრებულზე, „მატიანე ქართლისაჲს“, სუმბატ დავითისძის, ქართული ჰაგიოგრაფიული თხზულებების ისტორიულ-წყაროთმცოდნეობით მნიშვნელობაზე. სიმონ ჯანამიას რეკომენდაციით მან, ერთ-ერთმა პირველმა, დაიწყო საქართველოს მესახებ არსებული არაბული საისტორიო წყაროების ცნობების მესწავლა და სამეცნიერო მიმოქცევაში მემოტანა.

ისტორიული დოკუმენტების შესწავლის თვალსაზრისით, უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ცალკეულ ისტორიულ საბუთებზე სპეციალურ დაკვირვებებს, რომელთა საფუძველზე მიღებულია საკვლევ ეპოქისთვის უმნიშვნელოვანესი დასკვნები. მაგალითისთვის მეიძლება გავიხსენოთ მარიამ ლორთქიფანიძის მიერ კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ეკთესიების მემოტანა სამეცნიერო მიმოქცევამი და მისი ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი ანალიზის საფუძველზე დასავლეთ საქართველოს მავიზდვისპირეთის სამიტროპოლიტოების კუთვნილების საკითხის დასმა და ა. მ.

ზოგადად, მრავალფეროვანია მარიამ ლორთქიფანიძის მიერ ისტორიის რეპრეზენტაციისთვის გამოყენებული მეთოდები: ესაა წმინდა სამეცნიერო, სამეცნიერო-პოპულარული, სახელმძღვანელო, პუბლიცისტური ხასიათის წერილები და სატელევიზიო გამოსვლები. მათი მრავალფეროვნება გამოწვეულია ფართო აუდიტორიით, რომელსაც მეცნიერი მიმართავდა და ეს, ფაქტობრივად, მთელი საქართველოა.

ცხადია, დიდი ისტორიკოსები მხოლოდ ნამრომების მრავალრიცხოვნებით არ არიან გამორჩეულნი. დიდი ისტორიკოსები საკუთარი ქვეყნის ისტორიის ობიექტური მემფასებლები და მცველებიც არიან, ცდილობენ, უარყონ ნომენკლატურული, ფალსიფიცირებული და გაყალბებული ისტორიები, დიდი ისტორიკოსები მონაწილეობენ ერის წინაშე არსებული სხვადასხვა პრობლემების გადაწყვეტასა და მოგვარებაში, ქმნიან საზოგადოებრივ აზრს და აქტიურად არიან ჩართული ქვეყნის ცხოვრებაში. XX საუკუნის მეორე ნახევრისა და XXI საუკუნის დასაწყისის საქართველოს ისტორიაში არ დარჩენილა არცერთი პრობლემური საკითხი, რომელსაც მარიამ ლორთქიფანიძე არ მეხებოდა და არ გამოეთქვა საკუთარი მეხედულება, მონაწილეობდა მათ მოგვარებასა და გადაწყვეტაში. მუა საუკუნეების საქართველოს ისტორიის შესახებ მის მიერ მექმნილმა ფუნდამენტურმა კვლევებმა, საისტორიო წყაროებისა და ისტორიოგრაფიული ხასიათის ნამრომებმა საფუძველი ჩაუყარეს XX საუკუნის II ნახევრის ქართული ისტორიოგრაფიის ნაციონალურ მახასიათებლებს.

**საკვანძო სიტყვები:** მარიამ ლორთქიფანიძე, სამეცნიერო კვლევა, ქართული ისტორიოგრაფია, ისტორიის იდეა, ნაციონალური მახასიათებლები.



**Lia Akhaladze**  
*Sokhumi State University*

**For the issue of studying the scientific heritage  
of Mariam Lortkipanidze**

Georgian historiography started the study of Mariam Lortkipanidze's scientific activity during the scientist's lifetime. Despite the current evaluations, this issue is still relevant from the point of view of studying the development of Georgian historical thought, and we think that a lot will be written on this topic in the future. The report examines how the idea of history is presented in the scientific legacy of Mariam Lortkipanidze, taking into account the national characteristics of Georgian historiography of the second half of the 20th century and the beginning of the 21st century, the typology of the scientist's research activity is specified.

*Research methods* are based on historical-comparative research methodology, source observation, hermeneutics, content analysis, analysis and synthesis methods, which require a deep systematic approach to the research problem.

When studying the historiographic heritage of Mariam Lortkipanidze, the features that are characteristic of her scientific activity should be taken into account. From a typological point of view, the creation of a scientist is diverse: it is up to two hundred scientific publications, reports and presentations in Georgia and abroad, reviews, book editing, interviews, public lectures and others. The range of research topics is very wide: political, social, cultural history of Georgia, historiographical studies, source-knowledge searches and many others. Among the features, attention is drawn to the publicity of the research results and the constant dissemination of historical knowledge to a wide listening audience, which can be considered one of the national characteristics of Georgian historiography at the turn of the 20th - 21st centuries.

Despite the fact that in Soviet historiography, the ideological narrative of "Soviet paradigms" is excessively presented, with which the Soviet Empire deliberately and artificially tried to change the markers of ethnic identity over the years, the national characteristics of Georgian historiography of the second half of the 20th century and the beginning of the 21st century are historical memory as a national identity. It became the basis for the formation of conceptual visions promoting preservation and formation, new historical processes. Mariam Lortkipanidze's scientific heritage is one of the main creators of these characteristics. In the typology of the scientist's research activity, several directions and sub-directions can be distinguished: 1. studying the problems of different periods of *the political, social, cultural history of Georgia*, mainly in the Middle Ages. 2. *source studies* - the author has carried out the study of both Georgian narrative sources and historical documents, as well as foreign

historical sources about Georgia; 3. research on the development of Georgian historical thinking; 4. polemical nature of the works in which, together with other Georgian researchers, she often exposed the falsifiers of history (mainly the history of Georgia).

In the report, special attention is paid to Mariam Lortkifanidze's specific source studies, among them the observations on the collection of historical writings "Life of Kartli", "Matiane Kartlisa", Sumbat Davitisdze, Georgian hagiographical writings are worth mentioning. On Simon Janashia's recommendation, she was one of the first to start studying the Arabic historical sources about Georgia and brought them into scientific circulation.

From the point of view of the study of historical documents, special observations on individual historical documents were of great importance, on the basis of which the most important conclusions for the research era were obtained. For example, we can recall Mariam Lortkifanidze's introduction of the ectheses of the Patriarchate of Constantinople into scientific circulation and, based on his historical-source-scientific analysis, raising the question of the belonging of the Black Sea Samitropolitans of Western Georgia, etc.

In general, the methods used by Mariam Lortkifanidze for the representation of history are diverse: they are purely scientific, scientific-popular, textbooks, journalistic letters and television appearances. Their diversity is due to the wide audience that the scientist addressed, and this is, in fact, the whole of Georgia.

Obviously, great historians are not distinguished only by the large number of works. Great historians are objective evaluators and guardians of their country's history, they try to reject nomenclature, falsified and falsified histories, great historians participate in solving and solving various problems facing the nation, create public opinion and are actively involved in the life of the country. In the history of Georgia in the second half of the 20th century and the beginning of the 21st century, there was not a single problematic issue that Mariam Lortkifanidze did not touch and express her own opinion, participated in their resolution and solution. Her fundamental researches, historical sources and historiographical works on the history of medieval Georgia laid the foundation for the national characteristics of Georgian historiography of the second half of the 20th century.

**Keywords:** Mariam Lortkifanidze, Scientific Research, Georgian Historiography, Idea of History, National Characteristics.

## **ნონა ქარაია**

*აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის  
სამინისტროს კულტურულ ფასეულობათა დაცვის სამსახური*

### **აფხაზეთის კულტურული მემკვიდრეობა - რეალობა და გამოწვევები**

საქართველოს განუყოფელი ნაწილის, აფხაზეთის მრავალსაუკუნოვან, უნიკალურ კულტურულ მემკვიდრეობას თავისი წვლილი აქვს შეტანილი ზოგადსაკაცობრიო ფასეულობათა შექმნაში. გადაუდებელ ამოცანად მიგვაჩნია, რამდენადაც ამის შესაძლებლობას მოგვცემს ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე შექმნილი ვითარება, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების სრულფასოვანი შესწავლა, შენარჩუნება და მომავალი თაობებისათვის გადაცემა.

აღნიშნული მიმართულებით არსებულმა პრობლემებმა განაპირობეს 2015 წელს აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტროში „კულტურულ ფასეულობათა დაცვის სამსახურის“ შექმნა, რომელიც ახორციელებს „კულტურულ ფასეულობათა დაცვისა და პოპულარიზაციის პროგრამას“.

სამსახურმა პირველ რიგში დაიწყო ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე არსებული ისტორიულ-არქიტექტურული ნაგებობების აღნუსხვა და შედეგად ქართულ და ინგლისურ ენებზე შეიქმნა „აფხაზეთის ტაძრების დეტალური რუკა“; „აფხაზეთის ისტორიულ-არქიტექტურული ნაგებობების ონლაინ რუკა“; აფხაზეთის ისტორიის, კულტურისა და ეთნოლოგიის ვირტუალური ელექტრონული/ონლაინ მუზეუმი.

2015, 2018 და 2019 წლებში სამსახურის მიერ ორგანიზებულ იქნა სამეცნიერო კონფერენციები, რომლებიც მიმართული იყო აფხაზეთის თემატიკაზე მომუშავე მეცნიერ-მუშაკების, მკვლევარებისა და დარგის სპეციალისტების გამოცდილების გაზიარებაზე.

2021 წელს სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს ეგიდით გაიმართა დისტანციური საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია - „აფხაზეთის კულტურული ფასეულობანი: ენა, ლიტერატურა, ისტორია, კულტურის ძეგლები“.

პროგრამის ფარგლებში სამსახური ასევე ხელს უწყობს აფხაზეთის კულტურული მემკვიდრეობის საკითხებზე ნამრომების გამოცემას, რომელთაგან აღსანიშნავია: ცნობილი აფხაზი მხატვრის, *ალექსანდრე შერვაშიძის*, საქართველოს ეროვნულ მუზეუმში დაცული ნამუშევრების კატალოგი, ითარგმნა და ახალი ილუსტრაციებით გამოიცა რუსულენოვანი კრებული „*ლევან რჩელიძის* - „VIII-X საუკუნეების გუმბათოვანი ხუროთმოძღვრება აფხაზეთში“, ალბომი „*საქართველოს კულტურული მემკვიდრეობა-აფხაზეთი (მოკლე მიმოხილვა)*“, ორჯერ გამოვიდა ბუკლეტი „*კულტურული მემკვიდრეობა აფხაზეთში*“.

მომავალი თაობის აფხაზეთის თემატიკით დაინტერესების მიზნით, ჩატარდა სალექციო კურსი - „*გავიდრძავთ ცოდნა აფხაზეთის ისტორიის შესახებ*“, საჯარო სკოლებში გაიმართა სალექციო კვირეული „*აღმოაჩინე აფხაზეთი*“.

2017-2019 წლებში ორგანიზებული „*საგანმანათლებლო-საველე ბანაკი აფხაზეთიდან დევნილი მოზარდებისათვის*“ მთლიანად მიეძღვნა არქეოლოგიური ძეგლების გაცნობას.

აფხაზეთის კულტურასთან დაკავშირებული თემატიკის პოპულარიზაციის მიზნით, მუზეუმში „*ჰოლოზუმი*“ გაიმართა აფხაზეთის მოზაიკის იმერსიული პროექციის ჩვენება, მოეწყო ფოტოგამოფენა „*კადრები აფხაზეთიდან*“, შეიქმნა ორი ვიდეო-რგოლი: „*გაგრა*“ და „*აფხაზეთის საგანძური - ქართული კულტურული მემკვიდრეობა*“, ინტერაქტიული მობილური აპლიკაცია „*Abkhazia Heritage*“.

სამსახურის მიერ განხორციელებული ყველა პროექტი ხელს უწყობს როგორც ფართო საზოგადოების, ასევე მომავალ თაობებში ამ თემისადმი დაინტერესების გაზრდას, ინტერესთა ჯგუფებში კვლევისა და ანალიზის მეთოდების გამარტივებას.

აფხაზეთის კულტურული მემკვიდრეობა არა მარტო ქართველთა და აფხაზთა სიმდიდრეა, არამედ ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობის, მსოფლიოს ცივილიზაციის განუყოფელი ნაწილიცაა. ამიტომაც მიგვაჩნია, რომ მსოფლიოს პროგრესულმა საზოგადოებამ უნდა შეძლოს ამ ვანდალიზმის დანახვა, გაცნობიერება და საქართველოსთან ერთად მისი დროზე მეჩერება.

**საკვანძო სიტყვები:** აფხაზეთი, კულტურული მემკვიდრეობა, კულტურული ფასეულობები, დაცვა,

## **Nona Karaia**

*Head of the Cultural Values Protection Service of the  
Ministry of Education and Culture of the Autonomous Republic of Abkhazia*

### **Cultural Heritage of Abkhazia – Reality and Challenges**

The centuries-old, unique cultural heritage of Abkhazia is an integral part of Georgia that has contributed to the creation of universal values. We consider it to be an urgent task, as far as the situation in the occupied Abkhazia territory allows, to fully study, preserve and pass on cultural heritage monuments to future generations.

In 2015, the mentioned problems in this field led us to the creation of the 'Cultural Values Protection Service' in the Ministry of Education and Culture of Abkhazia, that implements the 'Cultural Values Protection and Promotion Program'. First of all, our department started to identify and recording the historical-architectural buildings on the territory of occupied Abkhazia and as a result, a 'detailed map of the temples of Abkhazia' was made in Georgian and English languages; 'Online map of historical and architectural buildings of Abkhazia'; Virtual electronic/online museum of history, culture and ethnology of Abkhazia.

In 2015, 2018 and 2019, we did organize scientific conferences aimed at sharing the experience of scientists, researchers and specialists working on Abkhazia issue. In 2021, through the organization of Sukhumi State University and the Ministry of Education and Culture of the Autonomous Republic of Abkhazia held a remote international scientific conference – „Cultural values of Abkhazia: language, literature, history, cultural monuments“.

Within the framework of the program, our department also promotes the publication of works on the issues of cultural heritage of Abkhazia, which is worth noting: the catalog of the works of the famous Abkhazian artist, Alexander Shervashidze, preserved in the National Museum of Georgia, was translated and the Russian-language collection 'Levan Rcheulishvili - 'Domed architecture of the VIII-X centuries in Abkhazia' was published with new illustrations, the album 'Cultural Heritage of Georgia-Abkhazia (brief review), the booklet „Cultural Heritage in Abkhazia“ was released twice.

In order to raise interest of Abkhazia for the future generation - a lecture course was held – „Let's deepen the knowledge about the history of Abkhazia“, a lecture week 'Discover Abkhazia' was held in public schools.

„Educational field camp for IDPs teenagers from Abkhazia“ organized in 2017-2019 was completely dedicated to getting to know the archaeological monuments.

In order to promote topics the issue related to culture of Abkhazia, the museum „Holozeum“ held an immersive projection of Mosaics of Abkhazia, organized a photo exhibition „Images from Abkhazia“, created two videos: „Gagra“ and „Treasures of Abkhazia - Georgian cultural heritage“, interactive mobile application „Abkhazia Heritage“.

All the projects carried out by the our department contribute to increasing the interest of the general public and future generations to this topic, simplifying the methods of research and analysis in interest groups.

The cultural heritage of Abkhazia is not only the wealth of Georgians and Abkhazians, but also of universal significance, an integral part of world civilization. That's why we believe that the world's progressive society should be able to see this vandalism, aware it and stop it together along with Georgia.

**Keywords:** Abkhazia, Cultural Heritage, Cultural Values, Protection.

## Cultural Values of Abkhazia

Abstracts of the Second International Scientific Conference, December 8-9, 2022, Tbilisi

### აფხაზეთის კულტურული ფასეულობანი

მეორე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მოკლე შინაარსები,  
2022 წლის 8-9 დეკემბერი, თბილისი

## მელორ ალფენიძე, ეკა ესებუა

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

### აფხაზეთის შავიზღვისპირეთი:

#### ათვისება - ნაპირდაცვის ავკარგიანობა, ინოვაციური პროექტები

ჩვენი კვლევის მიზანია ნაპირების აქტიური აბრაზიისა და ანტიკური დროის ისტორიულ-კულტურული ძეგლების, ასევე არქიტექტურული ფენომენების ხანგრძლივი ნგრევის მიზეზების - ბუნებრივი და ანთროპოგენური ფაქტორების ანალიზი, ანთროპოგენური წნეხების სივრცე-დროითი ნეგატიური ცვლილებების კვლევა, ნაპირდაცვის კრიტიკული ანალიზი, პლაჟების აღდგენის ინოვაციური ექსპერიმენტის – თავისუფალი პლაჟის მშენებლობის ეკოლოგიურ-ეკონომიკური ეფექტურობის ვერიფიკაცია და ჰომოგენურ უბნებზე ექსტრაპოლაციის რეალიზაციის მეცნიერული დასაბუთება.

კვლევის ამოცანებს შეადგენს ნაპირების სივრცე-დროითი ანთროპოგენური ტრანსფორმაციის მიზეზებისა და შედეგების გამოვლენა და პლაჟის აღდგენის გონივრული ათვისების (თავისუფალი პლაჟის შექმნა) უპირატესობის მეცნიერული დადასტურება.

კვლევის აქტუალობას განაპირობებს ის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები, რომელიც ზღვისპირა რეგიონის მდგრადი განვითარების წინაპირობის - დარღვეული ნაპირების აღდგენის, დაცვის, რეგულირებისა და შენარჩუნების ღონისძიებათა [საქართველოს კანონი..., 2006] შემუშავებასა და დანერგვას უკავშირდება.

კვლევაში გამოვიყენეთ შემდეგი მეთოდები: 1). ნაპირების აბრაზიისა და პლაჟების წარეცხვის მიზეზ-შედეგობრივი კავშირების ანალიზი; 2). ნაპირების ანთროპოგენური სივრცე-დროითი გარდაქმნების შედარებით-გეოგრაფიული და რაოდენობრივ-თვისებრივი ანალიზი; 3). ნაპირდაცვის წარმატებული მეთოდის - თავისუფალი პლაჟის ექსპერიმენტის ავარიული ნაპირების ჰომოლოგიურ უბნებზე ექსტრაპოლაციის მიზანშეწონილობის ანალიზი; 4). ინოვაციური ნაპირდაცვის გარემოსდაცვითი ფუნქციისა და ეკონომიკური ეფექტურობის ვერიფიკაცია.

*ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა.* შავი ზღვის სანაპიროს ბუნებრივი სისტემების ჩამოყალიბება გვიანპოლოცენურ ეპოქას მოიცავს. ამ დროს ზღვის დონის ევსტატიკური ცვლილებები და სანაპიროს ტექტონიკური მოძრაობები მცირე დიაპაზონში შერყობდა და ნაპირების ფორმირებაში უმნიშვნელო როლს ასრულებდა.

ძლიერი ანთროპოგენური წნეხის პირობებში, ნაპირებმა შთამბეჭდავი დარღვევა განიცადეს. გამოირკვა, რომ პლაჟის წარეცხვის, ძირითადი ნაპირების აბრაზიისა და მისი ინფრასტრუქტურის ნგრევის მიზეზები „ზღვა-პლაჟი-ნაპირი“ სისტემის არაგონივრულ სამეურნეო საქმიანობას უკავშირდება და შეუქცევადი ნეგატიური პროცესების ხანგრძლივი ტენდენციით ხასიათდება. მათი გამომწვევი მიზეზებია: მდინარეთა ნაკადების დარეგულირება - ჰესების მშენებლობა და კაშხლების მიერ მყარი ნატანი მასალის დისკრეტულობა; სანავსადგურო კომპლექსების (ოჩამჩირე, ფოთი, ბათუმი, სოჭი, გაგრა და სხვ.) მშენებლობა და ნაპირისგასწვრივი ერთიან-მთლიანი ნაკადების დისკრეტული რეჟიმის შექმნა; საქართველოს მდინარეთა კალაპოტების დამუშავება - ინერტული მასალის გაზიდვა (ჯამში 35 მლნ. მ<sup>3</sup>) სამოქალაქო ინდუსტრიის საჭიროებისათვის და სანაპირო ზონაში მკვეთრი დეფიციტის შექმნა; ეკონომიკურად არაეფექტური და, ბუნებათსარგებლობის თვალსაზრისით, არაგონივრული (არარაციონალური) ნაპირდაცვითი პრაქტიკის (რკინა-ბეტონის კონსტრუქციების (ბუნის სერია, ტალღამტეხი, კელეები, ტეტრაპოდები და სხვ.) წარმოება. ნაპირდაცვის ამ მეთოდების ხანგრძლივი ექსპლოატაციის პრაქტიკამ ნეგატიური ეფექტურობა დაადასტურა, ხშირად კი ნაპირების ინტენსიური დეგრადაციის პროვოცირების ხელშემწყობი როლი შეასრულა.

ოპტიმალური ნაპირდაცვის მეთოდების ძიებამ რკინა-ბეტონის ნაგებობების გონივრული ალტერნატივის - თავისუფალი (შემოუზღუდავი) პლაჟების პრაქტიკაში ხელოვნური დანერგვის მიზანშეწონილობას დაუდო საფუძველი. სანაპირო ავარიულ უბნებზე ამ მეთოდის დანერგვის წარმატებულმა შედეგებმა პრაგმატული ნაპირდაცვის ეფექტურობა დაადასტურა. პლაჟის აღდგენისა და თავისუფალი პლაჟის შექმნის წარმატებული ექსპერიმენტი საქართველოს (გაგრის პერიმეტრი) შავიზღვისპირა მონაკვეთზე განხორციელდა, რომლის დადებითი ეფექტი ამჟამადაც სახეზეა. ნაპირების ავარიული მდგომარეობის, მათი განვითარების სახიფათო ტენდენციისა და სტაბილურობის მიღწევის მიზანშეწონილობის გათვალისწინებით, შემოთავაზებულია თავისუფალი პლაჟის ექსპერიმენტის ზღვისპირეთის ავარიულ მონაკვეთებზე ექსტრაპოლაცია და ეკონომიკურ-ეკოლოგიური ეფექტურობის პროგნოზი.



**საკვანძო სიტყვები:** აბრაზია, ნაპირდაცვა, თავისუფალი პლაჟი, ექსტრაპოლაცია, ვერიფიკაცია.

**Melor Alpenidze, Eka Esebua**  
*Sokhumi State University*

### **Abkhazia's Black Sea Coast: Exploitation - Coastal Defense Vulnerability - Innovative Projects**

*Study goal:* active abrasion of banks and historical and cultural monuments of ancient times, and as well as analysis causes of long-term destruction of architectural phenomena - natural and anthropogenic factors, Study of spatio-temporal negative changes of anthropogenic pressures, critical analysis of shore protection, verification of the ecological-economic efficiency of the innovative beach restoration experiment - free beach construction and scientific substantiation of the implementation of extrapolation on homogenous areas.

*Tasks of the study:* Revealing the causes and consequences of spatio-temporal anthropogenic transformation of shores; scientific substantiation of advantage of rational mastering of beach restoration (create free beach).

*Actuality of the Study:* A prerequisite of sustainable development of the coastal region - restoration, protection, regulation and maintenance of abolished shores [Law of Georgia..., 2006] elaboration and appropriateness of inculcation is an actual socio-economic problem.

*Methods of study:* 1). Analysis of cause-and-effect relationships of shore abrasion and beach rinsing; 2). Comparative-geographical and quantitative-qualitative analysis of anthropogenic spatio-temporal transformations of shores; 3). Analysis of the successful method of shore protection of the expediency of extrapolation of the `Verification of innovative shore protection environmental protection function and economic efficiency.

*Scientific novelty or practical significance of the work:* The formation of natural systems of the Black Sea coast covers the late Holocene era. At that time, the eustatic changes of the sea level and the tectonic movements of the coast were ranging in a small range and played an insignificant role in the formation of the banks.

Under the conditions of strong anthropogenic pressures, the shores have experienced an impressive violation. It was found out that the causes of washing away of the beach, abrasion of the main shores and the destruction of its infrastructure are related to the unreasonable economic activities of the „sea-beach-shore“ system and is characterized by a long trend of irreversible negative processes. The reasons of their causes are: regulation of river flows - construction of hydroelectric station and discreteness of solid debris by dams; Construction of port complexes (Ochamchire,

Poti, Batumi, Sochi, Gagra, etc.) and creation of a discrete mode of complete-whole flows along the shore; Treatment of Georgian riverbeds - hauling of inert material (totally 35 million m<sup>3</sup>) for the needs of civil industry and creating a sharp shortage in the coastal zone; Production of economically inefficient and, from the point of view of the natural management, unreasonable (non-rational) practices of shore protection (reinforced concrete constructions (flagstaff series, wavebreaker, walls, tetrapods, etc.)). The practice of long-term exploitation of these shore protection methods has proven negative efficiency. It often played a contributing role in provoking intensive degradation of the shores.

The search of optimal shore protection methods laid the foundation of the artificial feasibility of introduction of a reasonable alternative of reinforced concrete buildings in free (undelimited) beaches. The successful implementation of this method on the coastal emergency areas has proven the efficiency of pragmatic shore protection. A successful experiment of restoring the beaches and creating a free beach was carried out on the Black Sea coast of Georgia (perimeter of Gagra), its positive effect is visible today. Taking into account the emergency condition of the shores, the dangerous trend of their development and the feasibility of achieving stability, extrapolation of the free beach experiment to the emergency sections of the coast and the prognosis of economic-ecological efficiency is proposed.

***Keywords:*** Abrasion, Shore Protection, Free Beach, Extrapolation.

## **ნანა არახამია**

*სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

### **ჭეშმარიტი მწერლობა ერებს შორის მეგობრობის პატიოსანი შუამავალი (დალი ცაავა)**

კვლევის მიზანი და აქტუალობა. ნაშრომის მიზანი და ამოცანაა აფხაზეთში მოღვაწე ქართველი პოეტი ქალის დალი ცაავას პოეტური ნარატივის მეტ-ნაკლებად წარმოდგენა და შეფასება. ასევე, ჩვენი ინტერესის სფეროს განსაზღვრავს დალი ცაავას ტრაგიკული ცხოვრებისა და მოღვაწეობის, მისი არაორდინალური შემოქმედების ფართო აუდიტორიამდე მიტანა და პოპულარიზაცია. მივიჩნევთ, რომ დალი ცაავას შემოქმედება, მისი მეტად მგრძნობიარე და ფაქიზი დამოკიდებულება აფხაზეთის თემისადმი, თითქმის არ არის შესწავლილი. ასევე, არ მოგვეპოვება დალი ცაავას მეტად საინტერესო პოეტური ნარატივის მეცნიერული კვლევა. ვფიქრობთ, დალი ცაავას ცხოვრება და შემოქმედებითი ასპექტების მეცნიერულად შესწავლა აუცილებელი და საჭიროა თამედროვე ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში, როგორც ლიტერატურულ-მნატურული ტექსტის შესწავლის თვალსაზრისით, ასევე, ქართულ-აფხაზური ლიტერატურული ურთიერთობებისა და აფხაზეთისადმი პოეტი ქალის უზომო სიყვარულის გამონახვის, აფხაზეთის დაკარგვით გამოწვეული უზომო დრამატიზმის წარმოჩენის თვალსაზრისითაც.

ჩვენი აზრით, ასეთ პოეტთა შემოქმედების შესწავლა-პოპულარიზაცია ხელს შეუწყობს ჩვენს ერებს შორის ჩატეხილი ხიდის აღდგენას და ძმური ურთიერთობების განახლებას.

კვლევის მეთოდი. ნაშრომში ვიყენებთ ჰერმენევტიკულ მეთოდს, რაც განისაზღვრება ტექსტის დაკვირვებით. ასევე გამოყენებული გვაქვს ნარატიული მეთოდი - ვახდენთ, დალი ცაავას ლიტერატურული ნარატივის შინაარსის, როგორც განსაზღვრავს ასევე მის განხილვა-განალიზებას და მისი შემოქმედების ძირითადი ასპექტების დადგენას.

და ბოლოს, ვიყენებთ შედარებით მეთოდს, რადგან ვიკვლევთ მწერლის სტილს, როგორც შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის პრობლემას.

საანალიზო ნაშრომის მეცნიერული სიახლე და პრაქტიკული დანიშნულება გახლავთ ის გარემოება, რომ არ მოგვეპოვება დალი ცაავას მემოქმედების მეცნიერული ანალიზი. პოეტი სათანადოდ არ არის მესწავლილი და არც დაფასებული. ჩვენ მივიჩნევთ, რომ დალი ცაავა განსაკუთრებული პოეტური ნიჭისა და ღრმად მგრძნობიარე, აფხაზეთზე უბადლოდ მეყვარებული პოეტის ჭემმარიტი სახეა. ამდენად, მისი პოეზიის მესწავლა პოპულარიზაცია ხელს მეუწყობს ქართველ და აფხაზ ერებს მორის ძმური კავშირების აღდგენას. ასევე, მივიჩნევთ, რომ დღევანდელი ახალგაზრდობა, უფრო მეტად უნდა იყოს ინფორმირებული ქართველ და აფხაზ ერებს მორის წრფელი ურთიერთობებისა და დიდი მეგობრობის მესახებ. დალი ცაავას პოეტური ნარატივი სწორედ, რომ დასტურია ამ ფაქტისა.

**საკვანძო სიტყვები:** კაპრიჩიო, პონტოს ექვსინოსი, სამშობლო, თეთრი მაგნოლია, მონატრება, იალქანი.

**Nana Arakhamia**  
*Sokhumi State University*

### **True Writing Fair Mediator of Friendship Between Nations (Dali Tsaava)**

Objective of study and topicality. objective and task of paper is to a certain extent presentation and evaluation of poetical rhetoric of Georgian poetess Dali Tsaava working in Abkhazia. Also, our area of interest is determined by presentation and popularization of Dali Tsaava's tragic life and activity, her unordinary creation to wide audience. To our minds, Dali Tsaava's work, her more sensible and subtle attitude to the theme on Abkhazia almost is not studied. Also, we have no scientific study of Dali Tsaava's too interesting poetical rhetoric. In our opinions Dali Tsaava's life and scientific study of scientific aspects is essential and necessary for us in modern Georgian literary criticism both in literary and fiction test study and expression of boundless love to Georgian-Abkhazian literary relations and Abkhazia by poetess, also consideration of boundless dramatism caused due to the loss of Abkhazia.

To our minds, study and popularization of the creation of such poetesses will facilitate in restoration of broken bridge between our nations and renewal of friendly relations.

Study method – hermeneutic method is applied in the work determined by the text observation. There is also applied narrative method- contents of Dali Tsaava’s literary narration is both determined, discussed and analyzed and established principal aspects of her creation.

And finally, we apply comparative method as we study the style of writer as the problem of comparative literary criticism.

Scientific news and practical objective of the work subject to analysis is that we have no any scientific analyses related to Dali Tsaava’s work. The poetess is neither duly studied nor appreciated. To our minds Dali Tsaava has a special poetical talent and is a deeply sensitive person, the image of true poetess boundlessly in love with Abkhazia. Thus, study and popularization of her poetry will facilitate renewal of friendly relations between Georgian and Abkhazian nations. Also, in our opinions present juveniles should be more informed about true relations and great friendship between Georgian and Abkhazian nations. Dali Tsaava’s poetical rhetoric is exactly proof of this fact.

*Keywords:* Capriccio, Euxeinos Pontos, Homeland, White Magnolia, Missing, Sail.

## **ომარ არდამელია**

*სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

### **აფხაზეთის ომი ინდივიდუალურ მეხსიერებაში**

ცნობილია, რომ ადამიანის ყოფიერება ემყარება მეხსიერების არსებობას, რომლის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა მისი არსებობა. მეხსიერება - ინფორმაციის შენახვისა და აღდგენის უნარია. იგი მიეკუთვნება როგორც ბიოლოგიურ, ისე კოგნიტურ (შემეცნებით) პროცესებს, გამომდინარე აქედან მეხსიერების არსებობა ადამიანის მიერ გარემოს აღქმის, ვიზუალიზაციის, მისი შენახვის და ანალიზის უმნიშვნელოვანესი საშუალებაა.

აფხაზეთის ომი, რომლის დამთავრების 30 წელი მომავალ წელს შესრულდება, საქართველოს, მათ შორის ოკუპირებული აფხაზეთის მკვიდრი და გამოდევნილი მოსახლეობისთვის ერთ-ერთი მტკივნეული ისტორიული მოვლენაა და მის შესახებ ქართველ მეცნიერებს არცთუ ისე მდიდარი სამეცნიერო კვლევები და შეფასებები აქვთ გამოქვეყნებული. მიუხედავად იმისა, რომ ქართულ, აფხაზურ და უცხოენოვან ისტორიოგრაფიაში არის ამ თემაზე სხვადასხვა ხასიათის, ზოგჯერ ტენდენციური, მიკერძობებული, ან ობიექტური კვლევები და შეფასებები, როგორც ისტორიის, ასევე პოლიტოლოგიის, საერთაშორისო ურთიერთობებისა და სამხედრო საქმის მკვლევართა ნაშრომები, აფხაზეთის ომი დღემდე რჩება ინდივიდუალურ მეხსიერებაზე აგებულ მოვლენათა ქრონოლოგიურ ჯაჭვად.

წინამდებარე მოხსენების მიზანია, ავტორისეული ინდივიდუალური მეხსიერების აღქმის და აფხაზეთიდან გამოდევნილი მკვიდრი მოსახლეობის საფუძველზე შეაფასოს აფხაზეთის ომის ეტაპები, დაინახოს ის როგორც შიგნიდან - ავტორის პირადი ემოციის, ასევე გარედან, როგორც საერთაშორისო ურთიერთობებისა და პოლიტიკის მკვლევრის პოზიციის რაკურსით და მისცეს მას შეფასება ინდივიდუალური აღქმის რეფლექსური შესაძლებლობიდან გამომდინარე.

მეხსიერების ფაქტორი და როლი ისტორიული მოვლენების შესწავლაში და გამოყენებაში თანამედროვე სოციოლოგიური და ისტორიული

კვლევების ახალი მიმართულებაა. მეხსიერება ინდივიდუალური ფენომენია. ის ემყარება ჯერ კიდევ არისტოტელეს მოსაზრებას, რომ ინდივიდი გამოხატავს იმას, რაც მოისმინა, გაიგო, იგრძნო, ეტკინა, იფიქრა და ა. შ. ამ მოსაზრების თანახმად, მეხსიერება ინდივიდუალურია, რაც განასხვავებს მას სხვებისგან და ეხმარება თვითიდენტიფიცირებასა და საკუთარი მეხედულებების ჩამოყალიბებაში. მეხსიერება სამი ეტაპის, ანუ ფაზისგან შედგება: ინფორმაციის აღბეჭდვა (კოდირება), ანუ მთაბეჭდილების მიღება, მენახვა და აღდგენა. მეხსიერებაში ასევე გამოყოფენ მოგონებას, რომელსაც მეხსიერების ფსიქოლოგიაში იცნობენ როგორც აღდგენის არაცნობიერ, უნებლიე ფორმას. ჩვენ სწორედ ამ ფაზების მიხედვით წარმოვადგინეთ აფხაზეთის ომის ეტაპების რეკონსტრუქცია.

მკვლევართა ერთი ნაწილი თვლის, რომ მეხსიერება არა ინდივიდუალური, არამედ კოლექტიური ფენომენია (მორის ჰალბვაქსის), მაგრამ კოლექტიური მეხსიერების ნაწილი არის ინდივიდუალური მეხსიერება, ეს უკანასკნელი იჭრება საზოგადოებრივ სფეროშიც (პოლ რიკერი) და გარკვეულწილად ამკვიდრებს თავის მეხედულებებსაც. ჩვენ სწორედ ამ ორი თეორიული ჩარჩოს საფუძველზე ვცდილობთ მევისწავლოთ და წარმოვადგინოთ, როგორ იქცა ინდივიდუალურ მეხსიერებაში ასახული აფხაზეთის ომის ეტაპები კოლექტიური მეხსიერების ნაწილად.

*კვლევის მეთოდი:* გამოყენებულია როგორც რაოდენობრივი, ასევე თვისებრივი კვლევის მეთოდები, სამაგიდე კვლევა, კონტენტ-ანალიზი, ისტორიულ-მედარებითი ანალიზი და ა. შ. კვლევის ინსტრუმენტები: ანკეტირება, ინტერვიუ; მერჩევის სტრატეგია - ალბათური, სამიზნე აუდიტორია: აფხაზეთიდან დევნილი სოციალური და მონათესავე მეცნიერებების (საერთაშორისო ურთიერთობები, ისტორია, პოლიტოლოგია, სამართალი და ა. შ.) მკვლევრები.

*კვლევის შედეგების შეჯამების შედეგად,* გამოკითხულთა ინდივიდუალურ მეხსიერებაში აფხაზეთის ომის საწყის ანუ, პირველ ეტაპად წარმოდგენილია საბჭოთა ეპოქა, როდესაც რუსეთმა საფუძველი ჩაუყარა ომის თეორიულ და იდეოლოგიურ საფუძველს. მეორე ეტაპი, საქართველოს მიერ ეროვნული სახელმწიფოებრიობისთვის ბრძოლის დაწყება და ე. წ. „აფხაზური ნაღმის“ გააქტიურება, ომის მესამე ეტაპი - 1992 წლის 14 აგვისტო-1993 წლის 27 სექტემბერი - სამხედრო მოქმედებები აფხაზეთში, მეოთხე ეტაპი - 1993 წლის 27 სექტემბერი - 2008 წლის 26 აგვისტო, როცა რუსეთი საერთაშორისო სამართლის ჩარჩოებში, ჯერ კიდევ ცნობდა აფხაზეთს საქართველოს სახელმწიფოს ნაწილად და მეხუთე ეტაპი - 2008 წლიდან დღემდე. გამოკითხუ-

ლთა უმრავლესობა თვლის, რომ ომი დღემდე მიმდინარეობს (იდეოლოგიური, პოლიტიკური, დიპლომატიური და ა. შ.). ნამრომში კრიტიკულად არის დანახული რუსეთის იმპერიის რეალური მიზნები: რატომ გახდა ომი „საჭირო“, ანუ ომის მიზეზები, რა გახდა ომის საბაბი. გაანალიზებულია ომის თითოეული ეტაპზე რა გახდა მოვლენათა ასეთი განვითარების საბაბი, რატომ დადგა ასეთი მედეგი და ა. შ.

კვლევის მედეგებსა და დასკვნებში ასახულია როგორ იქცა ინდივიდუალურ მენსიერებაში ასახული აფხაზეთის ომის მეფასეები კოლექტიური მენსიერების ნაწილად.

**საკვანძო სიტყვები:** აფხაზეთის ომი, ომის მიზეზები, საბაბი, სოციალური მიმართულებები, მკვლევრები, ინდივიდუალური მენსიერება, კოლექტიური მენსიერება.

**Omar Ardashelia**  
*Sokhumi State University*

### **The Abkhazia War in Individual Memory**

It is known that human existence is based on the existence of memory, without which it would be impossible to exist. Memory is the ability to store and retrieve information. It belongs to both biological and cognitive (theory of knowledge) processes, hence the existence of memory is the most important means of human perception, visualization, storage, and analysis of the environment.

The war in Abkhazia, the 30th anniversary of which will be next year, is one of the painful historical events for the people of Georgia, including the residents of occupied Abkhazia and the expelled residents, and Georgian scientists have not published rich scientific studies and evaluations about it. Despite the fact that in Georgian, Abkhaz, and foreign language historiography there are various, sometimes tendentious, biased, or objective studies and evaluations on this topic, both in history and political science, international relations; the works of military researchers, the war in Abkhazia remains a chronological chain of events based on individual memory.

The purpose of the presented report is to evaluate the stages of the war in Abkhazia based on the perception of the author's individual memory and the indigenous population expelled from Abkhazia, to see it both from the inside - the author's personal emotions, and from the outside, from the perspective of the researcher of international relations and politics, and give it an assessment based on the reflexive ability of individual perception.

The factor and role of memory in studying and using historical events is a new direction of modern sociological and historical research. Remembrance is an



individual phenomenon. It is still based on Aristotle's opinion that an individual expresses what he heard, understood, felt, was hurt, thought, etc. According to this view, memory is individual, which distinguishes him/her from others and helps in self-identification - and the formation of one's own views. As memory consists of three stages or phases., the recording of information (encoding), i.e. receiving, storing, and restoring an impression. Recollection is also distinguished in memory, which is known in the psychology of memory as an unconscious, involuntary form of recovery. According to these phases, we have presented the reconstruction of the stages of the war in Abkhazia.

One group of researchers believes that memory is not an individual, but a collective phenomenon (Maurice Halbwachs), a part of collective memory is individual memory, the latter penetrates into the public sphere (Paul Ricker) and to some extent establishes his views. Based on these two theoretical frameworks, we try to study and present how the stages of the Abkhazia war reflected in the individual memory became part of the collective memory.

Research method: both quantitative and qualitative research methods, desk research, content analysis, historical comparative analysis, etc. are used. Research tools: questionnaire, interview; Selection strategy - probable, target audience: researchers of social and related sciences (international relations, history, political science, law, etc.) displaced from Abkhazia.

As a result of summarizing the consequences of the research, in the individual memory of the interviewees, the initial or first stage of the war in Abkhazia is represented by the Soviet era, when Russia laid the foundation for the theoretical and ideological foundations of the war. The second stage is the beginning of the struggle for national statehood by Georgia, and the activation of the so-called `Abkhaz mine~, the third stage of the war - August 14, 1992 - September 27, 1993 - military operations in Abkhazia, the fourth stage - September 27, 1993 - August 26, 2008, when Russia, within the framework of international law, still recognized Abkhazia as part of the state of Georgia and the fourth stage from 2008 until now. The majority of the respondents believe that the war is still ongoing (ideological, political, diplomatic, etc.). The work critically examines the real goals of the Russian Empire: why the war became „necessary“, the causes for the war, and what became the pretext for the war. At each stage of the war, it is analyzed what was the reason for such a development of events, why such a result occurred, etc.

The results and conclusions of the research show how the assessments of the Abkhazia war reflected in the individual memory, became part of the collective memory.

**Keywords:** War in Abkhazia, Causes of War, Pretext, Social Directions, Researchers, Individual Memory, Collective Memory.

**გიორგი აფხაზავა**  
*სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

**აფხაზეთის პოლიტიკური ელიტა 1940-1980 წლებში**

საბჭოთა პერიოდის პოლიტიკური ნომენკლატურის შესწავლა, რომელსაც დღეს პოლიტიკურ ელიტას ეძახიან, წლების განმავლობაში ტაბუღადებულ საკითხთა რიგს განეკუთვნებოდა. აფხაზეთის პოლიტიკური ელიტის თემაზე საარქივო მასალების ნაწილის გახსნამ შესაძლებელი გახადა კვლევის დაწყება. ჩვენ შევეცადეთ, გარკვეული სამეცნიერო ლიტერატურისა და საარქივო მასალების საფუძველზე, აფხაზეთის კონფლიქტის საკითხზე გვემუშავა პოლიტიკური ელიტის თვალსაზრისით. აფხაზეთში პოლიტიკური ელიტის კვლევა აქტუალურია, ვინაიდან აფხაზეთი კონფლიქტურ რეგიონს წარმოადგენს. აფხაზეთის პოლიტიკური ელიტის ნაბიჯებმა მნიშვნელოვნად განაპირობება კონფლიქტის წარმოშობა.

ჩვენს მიზნებს და ამოცანებს წარმოადგენს დავადგინოთ აფხაზეთის პოლიტიკური ელიტის ფორმირების პროცესი, ასევე გავარკვიოთ იყო თუ არა აფხაზეთის პოლიტიკური ელიტის ხელში მმართველობის ძირითადი ბერკეტები და რა გავლენა ჰქონდა მასზე სსრკ უმაღლეს პოლიტიკურ ელიტას.

პირველად სამეცნიერო მიმოქცევაში შემოგვაქვს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივში დაცული დოკუმენტები, რომელიც საქართველოს კომუნისტური პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის საზოგადოებრივი, ეროვნული შემადგენლობის აღწერას და მათ ანალიზს ასახავს. შესაბამისად გამოვიყენეთ წყაროების კრიტიკული შესწავლის და ანალიზის, ჰერმენევტიკის კვლევის მეთოდოლოგია. აგრეთვე გამოვიყენეთ ისტორიულ-შედარებითი კვლევის მეთოდოლოგია, თუ როგორ ყალიბდებოდა აფხაზური ნომენკლატურა XX საუკუნის სხვადასხვა პერიოდში სსრკ პოლიტიკური ხელმძღვანელობის ინტერესების შესაბამისად და აგრეთვე პარალელები გავაღწეოთ რუსეთის სპეცსამსახურების ხელწერასთან, თუ როგორი სეპარატისტული კადრებით აყალიბდნენ ისინი აფხაზეთის პოლიტიკურ ელიტას. გამოვიყენეთ ინტერვიუების კვლევის მეთოდოლოგია, რომელიც ძალიან პროდუქტიულია უახლესი ისტორიის შესასწავლად. დღემდე არიან პიროვნებები, რომლებიც გასულ საუკუნეში მოღვაწეობდნენ აფხაზეთის პოლიტიკურ

ელიტაში და წარმოადგენენ ისტორიული ფაქტების უშუალო თვითმხილველებს. აგრეთვე გამოვიყენეთ ანალიზისა და სინთეზის მეთოდოლოგია. მე-ვეცადეთ გაგვეკეთებინა ღრმა ანალიზი და ჩამოგვეყალიბებინა რამდენიმე ახალი მოსაზრება.

**საკვანძო სიტყვები:** აფხაზეთი, პოლიტიკური ელიტა, არქივი, წყარო, ანალიზი.

**Giorgi Abkhazava**  
*Sokhumi State University*

### **Political Elite of Abkhazia in 1940-1980**

The study of the political nomenclature of the Soviet period, which today is called the political elite, was a taboo subject and was subjected to the greatest censorship. The opening of a part of archival materials on the political elite of Abkhazia made it possible to research the topic. We tried to work on the Abkhazian conflict from the point of view of the political elite with the help of certain scientific literature and archival materials. The study of political elites in the history of Abkhazia from the point of view of the political elite is even more relevant, since Abkhazia is a conflict region and the steps of the political elite were one of the main factors in the preconditions of the conflict.

Our goals and objectives are to determine the process of formation of Abkhazia's political elite. Political elite, in whose reins were the main levers of governance and what influence did the highest political elite of the USSR have on it.

During the research process, new primary sources, materials preserved in the party archive department of the Ministry of Internal Affairs, description of the public, national composition of the Abkhazia District Committee of the Communist Party of Georgia and their analysis were brought into scientific circulation for the first time. Accordingly, the methodology of critical study and analysis of historical sources, hermeneutics research was used. Historical-comparative research methodology was also used, how the Abkhazian political elite was formed in different periods of the twentieth century in accordance with the interests of the political leadership of the USSR And parallels were also drawn with the handwriting of the Russian special services, of how they form the political elite of Abkhazia with the separatist cadres. We used the interview research methodology, which is very productive for studying recent history. To this day, there are individuals who worked in the political elite of Abkhazia in the last century and are direct eyewitnesses of historical facts, they are living sources of the era in this aspect. The methodology of analysis and synthesis, comparative-legal and comparative-political research was also used. We also tried to make a deep analysis and formulate some innovations.

**Keywords:** Abkhazia, Political Elite, Archive, Source, Analysis.

## Cultural Values of Abkhazia

Abstracts of the Second International Scientific Conference, December 8-9, 2022, Tbilisi

აფხაზეთის კულტურული ფასეულობანი

მეორე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მოკლე შინაარსები

2022 წლის 8-9 დეკემბერი, თბილისი

### **Irada Baghirova**

*Head of the Department of General History, Institute of  
History, NANA (Azerbaijan)*

### **Security in the South Caucasus: Myth or Reality?**

Regional security issues in the South Caucasus acquired great importance immediately after the collapse of the USSR and remain relevant to this day. In Soviet times, interethnic contradictions were significantly leveled by the Leninist-Stalinist national policy, which drove them into a latent phase and did not hesitate to flare up with new force at the slightest weakening of the central government.

Profound changes in the early 90s gave impetus to new mass sentiments. Irredentist ambitions of new nationalist elites („Armenia where Armenians live“, Abkhazia for Abkhazians, reunification of South and North Ossetia, etc.) and claims to ethnic self-determination were the trigger that stirred up the imperial space. The leaders of the unrecognized republics continue to elevate the right to national self-determination to an absolute, the contradiction of which with the principles of territorial integrity of states is a serious problem for modern international law.

This year marks exactly 30 years since the sad date – the beginning of the armed conflict between Georgia and Abkhazia, the active phase of which ended with the signing of the Ceasefire Agreement on May 14, 1994. By an interesting coincidence, the military phase of the Karabakh conflict between Armenia and Azerbaijan, or the First Karabakh War, also lasted from 1992 to 1994 and ended with the signing of the Bishkek Agreement on Ceasefire on May 12, 1994. Both wars brought countless victims and suffering to all the peoples involved, a huge number of refugees and displaced persons who are still deprived of the opportunity to return to their native lands.

In 2020, during the second 44-day Karabakh war, Azerbaijan resolved this problem by reclaiming its legitimate territories. However, there are still a number of unresolved issues that we hope will be resolved peacefully. Unfortunately, Georgia has not yet managed to resolve the problem of separatist entities that were openly recognized by the Russian Federation after the 2008 war. This has a significant impact on both the country's security and the military-political security of the entire region. Nevertheless, even in the current situation, there are quite optimistic prospects for a

change in the regional political landscape in light of Russia's changing role in the post-Soviet space and the tectonic shifts that may occur after the end of the war in Ukraine.

*Keywords:* security, South Caucasus, Georgia, Azerbaijan, Karabakh, Separatist Regions, Abkhazia, So-called South Ossetia, myth, Reality.

## **ირადა ბაგიროვა**

*ANAS-ის ისტორიის ინსტიტუტის ზოგადი ისტორიის  
განყოფილება (აზერბაიჯანი)*

### **უსაფრთხოება სამხრეთ კავკასიაში: მითი თუ რეალობა?**

სამხრეთ კავკასიის რეგიონული უსაფრთხოების საკითხებმა დიდი მნიშვნელობა სსრკ-ს დამლისთანავე შეიძინა. საბჭოთა პერიოდში ეთნიკური წინააღმდეგობები ლენინურ-სტალინურმა ეროვნულმა პოლიტიკამ ლატენტურ ფაზაში გადაიყვანა, თუმცა, ცენტრალური ხელისუფლების ოდნავი დასუსტებისას განახლებული ენერგიით იფეთქებდა ხოლმე.

1990-იანი წლების დასაწყისში ღრმა ცვლილებებმა ბიძგი მისცა ახალ მასობრივ განწყობებს. ახალი ნაციონალისტური ელიტების ირიდენტისტულმა ამბიციებმა („სომხეთი არის იქ, სადაც სომხები ცხოვრობენ“, აფხაზეთი აფხაზეთისთვის, სამხრეთ და ჩრდილოეთ ოსეთის გაერთიანება და ა. შ.) და ეთნიკური თვითგამორკვევის მესახებ პრეტენზიებმა ეთნიკური წინააღმდეგობები გააღვივა. არაღიარებული რესპუბლიკების ლიდერები აგრძელებენ ეროვნული თვითგამორკვევის პოლიტიკას, რომელიც წინააღმდეგობამია თანამედროვე საერთაშორისო სამართლის ნორმებთან და სახელმწიფოთა ტერიტორიული მთლიანობის პრინციპებთან.

წელს ზუსტად 30 წელი მესრულდა სამწუხარო თარიღიდან - საქართველოსა და აფხაზეთს შორის შეიარაღებული კონფლიქტის დაწყებიდან, რომლის აქტიური ეტაპი 1994 წლის 14 მაისს ცეცხლის მეწყვეტის მესახებ მეთანხმების ხელმოწერით დასრულდა. სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის ყარაბაღის კონფლიქტის სამხედრო ეტაპი, ანუ ყარაბაღის პირველი ომი, ასევე 1992 წლიდან 1994 წლამდე გაგრძელდა და 1994 წლის 12 მაისის ბიმკეკის მეთანხმების ხელმოწერით დასრულდა ცეცხლის მეწყვეტის მესახებ. ორივე ომმა უამრავი მსხვერპლი მოუტანა მათმი ჩართულ ხალხებს, გაჩნდა ლტოლვილთა და დევნილთა უზარმაზარი რაოდენობა, რომლებიც ჯერ კიდევ ვერ ახერხებენ საკუთარ სახლებში დაბრუნებას.

2020 წელს ყარაბაღის მეორე 44-დღიანი ომის დროს, აზერბაიჯანმა ეს პრობლემა თავისი ლეგიტიმური ტერიტორიების დაბრუნებით გადაჭრა. მაგრამ ამ დროისთვის რჩება მთელი რიგი გადაუჭრელი პრობლემები, რომლებიც, ვიმედოვნებთ, მმვიდობიანი გზით მოგვარდება.

საქართველომ, სამწუხაროდ, ჯერ ვერ გადაჭრა სეპარატისტული რეგიონების პრობლემა, რომლებიც 2008 წლის ომის შემდეგ რუსეთის ფედერაციამ ღიად აღიარა. ეს მოვლენა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს როგორც საქართველოს, ასევე მთელი რეგიონის სამხედრო-პოლიტიკურ უსაფრთხოებაზე. უკრაინაში მიმდინარე ომმა საკმაოდ ოპტიმისტური პერსპექტივები შექმნა რეგიონში პოლიტიკური ლანდშაფტის მეცვლასთან და რუსეთის გავლენის შემცირებასთან მიმართებაში.

**საკვანძო სიტყვები:** უსაფრთხოება, სამხრეთ კავკასია, საქართველო, აზერბაიჯანი, ყარაბაღი, სეპარატისტული რეგიონები, აფხაზეთი, ე. წ. სამხრეთ ოსეთი, მითი, რეალობა.

### **Ирада Багирова**

*Зав. отделом Всеобщей истории Института истории НАНА (Азербайджан)*

### **Безопасность на Южном Кавказе: миф или реальность?**

Вопросы региональной безопасности на Южном Кавказе приобрели большое значение сразу после распада СССР и продолжают сохранять свою актуальность до сегодняшнего дня. В советское время межэтнические противоречия были существенно нивелированы ленинско-сталинской национальной политикой, загнавшей их в латентную фазу и не замедлившей вспыхнуть с новой силой при малейшем ослаблении центральной власти.

Глубинные перемены в начале 90-х годов дали толчок новым массовым настроениям. Ирредентистские амбиции новых националистических элит („Армения там, где живут армяне“, Абхазия для абхазцев, воссоединение Южной и Северной Осетии и т.п.) и претензии на этническое самоопределение – явились тем триггером, который всколыхнул имперское пространство. Лидеры непризнанных республик продолжают возводить в абсолют право на национальное самоопределение, противоречие которого с принципами территориальной целостности государств является серьезной проблемой для современного международного права.

В этом году исполнилось ровню 30 лет печальной дате – началу вооруженного конфликта между Грузией и Абхазией, активная фаза которого закончилась подписанием Соглашения о прекращении огня 14 мая 1994 года. По интересному стечению обстоятельств, военная фаза Карабахского конфликта между Арменией и Азербайджаном, или Первая Карабахская война, тоже продолжалась с 1992 по 1994 годы и завершилась подписанием Бюхкского соглашения от 12 мая 1994 года о прекращении огня. Обе войны принесли бесчисленные жертвы и страдания всем вовлеченным в них народам, огромному количеству беженцев и перемещенным лицам, которые до сих пор лишены возможности вернуться на родные земли.

პოლიტიკურ ვითარებაზე აფხაზეთში გავლენას ახდენს რამდენიმე ფაქტორი. მათ შორის მნიშვნელოვანია აზერბაიჯანის მიერ სამხედრო გზით ყარაბაღისა და მისი მიმდებარე აზერბაიჯანული რაიონების განთავისუფლება სომხური ოკუპაციისაგან, აგრეთვე უკრაინის წინააღმდეგ რუსეთის წარუმატებელი სამხედრო აგრესია. ამ და სხვა ფაქტორების ზემოქმედებით აფხაზურ საზოგადოებაში შექმნილია დაძაბულობა, გაურკვევლობა და შიშის განცდა, რომელსაც კრემლი აფხაზეთში მცოცავი ანექსიის პოლიტიკის გააქტიურებისთვის იყენებს. აღნიშნული პოლიტიკის ფარგლებში რუსეთმა უკვე აამოქმედა მის ხელთ არსებული ეკონომიკური და ასევე სამართლებრივი ბერკეტები.

მთიან ყარაბაღში ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმების ხელმოწერიდან ორ დღეში, 2020 წლის 12 ნოემბერს, კრემლმა აფხაზეთის დე-ფაქტო მმართველებს ხელი მოაწერინა „აფხაზეთის რესპუბლიკის კანონმდებლობის რუსეთის ფედერაციის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის საფუძველზე რუსეთის ფედერაციასა და აფხაზეთის რესპუბლიკას შორის საერთო სოციალურ-ეკონომიკური სივრცის ჩამოყალიბების პროგრამაზე“. აღნიშნული დოკუმენტი 45 პუნქტისაგან შედგება და წარმოადგენს რუსეთის სამართლებრივ სივრცეში აფხაზეთის მოქცევის ერთგვარ საგზაო რუკას. მოსკოვის ასეთმა პოლიტიკამ აფხაზური საზოგადოების დიდი ნაწილის უკმაყოფილება გამოიწვია. მისი დაშოშმინების მიზნით, 45 პუნქტიანი „პროგრამის“ რეალიზება მოსკოვმა სპეციალურად დაუკავშირა აფხაზეთის დე-ფაქტო მთავრობის მიერ 2021 წლის 15 დეკემბერს დამტკიცებული სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამის შესრულებაში რუსეთის დახმარებას.

ეკონომიკური ბერკეტების გამოყენებით მოსკოვი ახერხებს 2020 წლის 12 ნოემბერში ხელმოწერილი „პროგრამის“ ძირითადი პუნქტების რეალიზა-

ციას. 2022 წლის 4 აგვისტოს გაფორმდა ორმხრივი ე. წ. „სამთავრობო მეთანხმება“ „2023-2025 წლებში აფხაზეთის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამის რეალიზაციამი ხელმეწყობის შესახებ“. ე. წ. მეთანხმების მეორე მუხლის თანახმად, სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში „ხელმეწყობის“ სანაცვლოდ აფხაზურ მხარეს ეკისრება 45 პუნქტიანი „პროგრამის“ შესრულების, მათ მორის აფხაზეთის ელექტროენერგეტიკული ობიექტების რუსეთისთვის საკუთრებაში გადაცემის ვალდებულებაც. აფხაზეთის დეფაქტო მთავრობამ უკვე წარმოადგინა ე. წ. კანონპროექტი „ელექტროენერგეტიკის შესახებ“ აფხაზეთის „კანონში“ ცვლილებების თაობაზე. ცვლილებები ითვალისწინებს ელექტროენერგეტიკული ობიექტების პრივატიზაციის დამკვლავს, რაც მოქმედი „კანონით“ აკრძალულია. 2022 წლის 4 აგვისტოს „მეთანხმების“ შესრულება მოსკოვს, სავარაუდოდ, 25 მილიარდი რუბლი დაუჯდება, აქედან 20 მილიარდი მოხმარდება ელექტროენერგეტიკულ სექტორს, რომელიც რუსეთის საკუთრებაში გადავა. აფხაზეთში არსებული სტრატეგიული მნიშვნელობის ეკონომიკური ობიექტების ხელში ჩაგდება, რასაც მიზნად ისახავს 2022 წლის 4 აგვისტოს „მეთანხმება“, წარმოადგენს რუსული პოლიტიკის მემადგენელ ნაწილს.

45 პუნქტიანი „პროგრამის“ შესრულების ფარგლებში 2022 წლის 27 სექტემბერს გაფორმდა „მეთანხმება აფხაზეთის რესპუბლიკასა და რუსეთის ფედერაციას მორის ორმაგი მოქალაქეობის საკითხის დარეგულირების შესახებ“. ამ გზით რუსეთი მეცდება აფხაზეთში დემოგრაფიული სიტუაციის თავის სასარგებლოდ მეცვლას, უძრავი ქონების დაუფლებასა და პოლიტიკური პროცესების საკუთარი მეხედულებისამებრ მართვას.

ანექსიონისტური მიზნების მიღწევას ემსახურება აგრეთვე 2022 წლის 19 იანვრის „მეთანხმება აფხაზეთის რესპუბლიკის მთავრობასა და რუსეთის ფედერაციის მთავრობას მორის აფხაზეთის ტერიტორიაზე არსებული ობიექტის რუსეთის ფედერაციის საკუთრებაში გადაცემისა და მისი გამოყენების წესის შესახებ“. საკითხი ეხება ბიჭვინთის აგარაკების გასხვისებას, რამაც აფხაზურ საზოგადოებაში დიდი უკმაყოფილება გამოიწვია.

რეგიონში განვითარებული მოვლენებისა და მცოცავი ანექსიის რუსული პოლიტიკის გააქტიურების მედეგად აფხაზეთში იქმნება თუ უკვე მექმნილია ახალი პოლიტიკური ვითარება. ქართული სახელმწიფოს, აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლების ვალია ახალი ვითარების შესაბამისი სამმვიდობო პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება.

**საკვანძო სიტყვები:** აფხაზეთი, პოლიტიკური ვითარება, 45 პუნქტიანი „პროგრამა“, სამმვიდობო პოლიტიკა.



**Jemal Gamakharia**  
*Supreme council of A/R Abkhazia*

## **The Recent Events Developed in the Region and the Political Situation in Abkhazia**

Several factors are influencing the political situation in Abkhazia. Among them most significant factors are liberation from the Armenian occupation of the Nagorni Kharabakh and adjucent to it districts belonging to Azerbaijan through the military force, as well as the unsuccessful military aggression of Russia against Ukraine. Under the impact of the mentioned and other factors the Abkhazian society is full of tension, uncertainty and fear, which is used for activation of the policy of the creeping annexation by the Kremlin. Within this policy Russia has already activated all the available economic and legislative leverages.

In two days after the signing of the ceasefire agreement in Nagorno-Karabakh on November 12<sup>th</sup> 2020, the Kremlin signed the de-facto rulers of Abkhazia on the program of establishing a common socio-economic space between the Russian Federation and the Republic of Abkhazia based on the harmonization of the legislation of the Republic of Abkhazia with the legislation of the Russian Federation. The mentioned document consists of 45 points and represents a kind of road map for the inclusion of Abkhazia in the legal space of Russia. Such kind of policy of Moscow caused dissatisfaction of a great part of the Abkhazian society. In order to intimidate them, Moscow specifically linked the implementation of the 45-point „program“ with Russia's assistance in the implementation of the socio-economic development program approved by the De-facto government of Abkhazia the 15<sup>th</sup> of December 2021.

Using the economic leverages Moscow manages to realize the main points signed Program on the 12<sup>th</sup> of November 2020. On the 4<sup>th</sup> of August 2022 there was made the so-called mutual „State Agreement“ „on the realization of the support in fulfillment of the social-economic development program of Abkhazia in 2023-2025“. According to the second article of so-called Agreement in return for “support” in the social-economic development the Abkhazian side takes the obligation of fulfilling the 45 – item „Program“ and among others handing over ownership of electrical energy facilities (power industry) of Abkhazia to Russia. De-Facto Government of Abkhazia has already presented the so-called draft on the power industry (electrical energy industry) for making alterations in the „Law“ of Abkhazia. The changes consider allowing the privatization of the electrical energy facilities, which is forbidden by the present „Law“. Fulfillment of the „Agreement“ from August 4<sup>th</sup> 2022 will presumably cost Moscow 25 billion rubles and from this sum 20 billions will be spent on the power industry sector, which will become the property of Russia. The appropriation of the facilities and sites having strategic significance, which is the

aim of the „Agreement~ made on August 4<sup>th</sup> 2022 is a constituent part of the annexation policy of Russia.

Within the fulfillment of the 45-item „Program“ on the 27<sup>th</sup> of September 2022 an Agreement between the Republic of Abkhazia and Russian Federation „on the regulation of the dual nationality“ was finalized and as a result, Russia will try to change the demographic situation in Abkhazia to its own advantage, which means that Russia will appropriate all the immovable estate objects and facilities and administrate the political processes to its liking.

The „Agreement“ made in 2022 on January 19<sup>th</sup> analogically serves the annexation aims and purposes, as it is the agreement made between the Government of the Republic of Abkhazia and the Russian Federation on „delivering of the facilities and sites existing on the territory of Abkhazia into possession of Russian Federation and on the rule of its usage“. This problem concerns the privatization process of the Bichvinta cottage houses, which caused wide outrage in the Abkhazian society.

As a result of developed events in the region and the activation of the Russian policy of creeping annexation, a new political situation is being created in Abkhazia. Working out of the appropriate to the new situation peaceful policy and its fulfillment is the legitimate obligation of the Authorities of the Republic of Abkhazia/Georgia.

*Keywords:* Abkhazia, Political Situation, 45-point „Program“, Peace Policy.

**ვეფხვია გვარამია**  
*სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

**საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე კულტურული  
მემკვიდრეობის და განათლების უფლების დაცვის  
საერთაშორისო სამართლებრივი მექანიზმები**

საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე 1993 წლის შემდეგ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები, კულტურული ფასეულობები, არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობა, კულტურული თვითგამონატვის მრავალფეროვნება და ქართულ ენაზე განათლების უფლება ხელყოფილია.

2008 წლამდე საქართველოს არ გააჩნდა კანონი „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“, რის გამოც არ შეეძლო აღნიშნული დარღვევების საპასუხოდ გამოეყენებინა ეფექტიანი საერთაშორისო დაცვის მექანიზმები.

2008 წლის კანონმა „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ საქართველოს საშუალება მისცა გამოიყენოს კულტურული მემკვიდრეობის საერთაშორისო კონვენციები, რომლის წევრებიც არიან საქართველო და რუსეთის ფედერაცია. შესაძლებელია ოკუპირებულ ტერიტორიაზე ქართულ ენაზე განათლების უფლების შეზღუდვის საკითხთან დაკავშირებით გამოყენებული იქნას ოკუპანტი სახელმწიფოს წინააღმდეგ ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-13-ე მუხლი და განათლების დისკრიმინაციის წინააღმდეგ კონვენციის დებულებები.

მნიშვნელოვანია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2021 წლის 21 იანვრის გადაწყვეტილება 2008 წლის აგვისტოს საქმეზე, რომელშიც სასამართლოს მიერ გამოყენებული იქნა რუსეთის ფედერაციის მიმართ „ეფექტური კონტროლის“ განხორციელების დროს ჩადენილი დარღვევები. აღნიშნული პრაქტიკა უნდა იქნას გამოყენებული აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ოკუპირებულ ტერიტორიებზე კულტურული მემკვიდრეობის დასაცავად და ქართულ ენაზე განათლების უფლების შეზღუდვის დროს.

წარმოდგენილი ნამრომი ეთმობა ოკუპირებულ ტერიტორიებზე კულტურული მემკვიდრეობის და განათლების უფლების დასაცავად არსებული საერთაშორისო სამართლებრივი ბაზის და მექანიზმების გამოყენების კონცეფციის ჩამოყალიბებას.

**საკვანძო სიტყვები:** საქართველო, ოკუპირებული ტერიტორია, კულტურული მემკვიდრეობა, განათლების უფლება, სამართლებრივი მექანიზმები.

**Vepkhvia Gvaramia**

*Sokhumi State University*

### **International Mechanisms for the Protection of Cultural Heritage and the Right to Education on the Occupied Territories of Georgia**

On the occupied territories of Georgia, after 1993, monuments of Georgian cultural heritage, cultural values, intangible cultural heritage, diversity of cultural self-expression and the right to education in Georgian language have been violated.

Until 2008, Georgia did not have „Law of Georgia on Occupied Territories“ and that was the reason why it could not use effective international protection mechanisms in response to the mentioned violations.

The 2008 „Law on Occupied Territories“ enabled Georgia to apply international conventions on cultural heritage to which Georgia and the Russian Federation are parties. It is possible to use Article 13 of the International Covenant on Economic, Social and Cultural Rights and the provisions of the Convention against Discrimination in Education against the occupying state with respect to the limitation of the right to education in native Georgian language on the occupied territory.

January 21, 2021 decision of the European Court of Human Rights on August 2008, in which the court used violations committed during the exercise of „effective control“ against the Russian Federation, is important. This practice should be used to protect the cultural heritage on the occupied territories of the Autonomous Republic of Abkhazia and with respect to limitation the right to education in the Georgian language.

The presented work is dedicated to the development of the concept of using the existing international legal framework and mechanisms to protect cultural heritage and the right to education on the occupied territories.

**Keywords:** Georgia, Occupied Territory, Cultural Heritage, Right to Education, Legal Mechanisms.

### **ლევან გვიჩიანი**

*სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი,  
თბილისის 192-ე საჯარო სკოლა*

## **სვანეთის და აფხაზეთის ისტორიული საზღვრების საკითხისათვის**

ჩვენი მოხსენების „სვანეთის და აფხაზეთის ისტორიული საზღვრების საკითხისათვის“, მიზანია წარმოვადგინოთ კვლევა, სვანეთისა და აფხაზეთის საზღვრისპირა ადგილების ტოპონიმიკური ინფორმაციის შემცველი საბუთების შესახებ, რომლებიც დაცულია სვანეთში, საეკლესიო ოთხთავებისა და ლექციონარების წიგნების არშიებზე მინაწერი წერილობითი წყაროების სახით, ასევე ეთნოგრაფიული ექსპედიციის შედეგად. კვლევა ფოკუსირებულია სვანეთის საზღვრების დადგენის და აფხაზეთთან ამ კონტექსტში ურთიერთობის საკითხებზე არსებული პრობლემის მეცნიერულ კვლევასა და ისტორიული ანალიზზე. კვლევის მიზანია გამოვავლინოთ ახალი გარემოებები „თავისუფალი სვანეთის“ საზღვრების შესწავლის საკითხებში, შუა საუკუნეებში. ჩვენს მიერ შესწავლილი ცნობები მდიდარია ტოპონიმიკური და ონომასტიკური მასალის სიუხვით, რაც გვეხმარება დავაზუსტოთ სვანთა განსახლების არეალი, მიგრაციისა და სოციალური მდგომარეობის სხვადასხვა საკითხები.

თემა აქტუალურია, რადგან გვიან შუასაუკუნეების სვანეთის წერილობით წყაროებში დაცულია უმნიშვნელოვანესი მასალა ჩვენს მიერ საკვლევო საკითხის ირგვლივ, რომელიც შესაბამისი თეორიული ჩარჩოსა და ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი კვლევის საფუძველზე, ახალი ჰიპოთეზების წამოწევის საშუალებას გვაძლევს. აღნიშნული საბუთების შესწავლა ჯერ კიდევ XX საუკუნის პირველი ნახევრიდან დაიწყო. პირველი პუბლიკაცია საბუთებისა ეკუთვნის ე. გაბლიანს, რომელიც მოკლე მიმოხილვით შემოიფარგლა 1927 წელს. მეორე გამოცემა, სხვა საბუთებთან ერთად, ეკუთვნის ე. თაყაიშვილს, რომელმაც 1910 წლის ექსპედიციის შედეგები 1937 წელს გამოსცა პარიზში. სვანეთის წერილობითი ძეგლების შემდგომი სრული გამოცემა განახორციელა პავლე ინგოროყვამ, რომელმაც პირველად დაასათურა და დაათარიდა საბუთები XII-XV საუკუნეებით. სვანეთის წერილობითი ძეგლების

კომპლექსური პალეოგრაფიული კვლევა 1986 წელს მასშტაბურად წარმოადგინა ვ. სილოგავამ, რომელმაც დაადგინა აღნიშნული საბუთების ტექსტები, განახორციელა მათი ფოტოფიქსაცია და დათარიღება.

მე-20 საუკუნის 60-70-იან წლებში ვარლამ თოფურიას დავალებით, ეთნოგრაფიულად სვანეთის ტოპონიმთა ადგილობრივი რესპონდენტებიდან ჩაწერა და დაამუშავა ამბაკო ჭკადუამ. მისი ნამუშევრები სიკვდილის შემდეგ 2020 წელს გამოიცა. მინაარსობრივად საბუთების მესწავლა დღემდე არ არის დასრულებული, მესაბამისად ეს დოკუმენტები ინტერდისციპლინარული კვლევის საგანი უნდა გახდეს.

ნამუშევრში სამაგიდე კვლევის საფუძველზე გამოყენებულია, წყაროს ციკლური მესწავლისა და ისტორიულ-მედარებითი კვლევის მეთოდები.

ნამუშევრის მეცნიერული სიახლე და პრაქტიკული მნიშვნელობა. საბუთების მესწავლის საფუძველზე, განხორციელდა ტოპონიმის მესწავლა, საზღვრების მემცველი წყაროების ცალკე ჯგუფად გამოყოფა და სვანეთის ჩრდილო დასავლეთით აფხაზეთთან არსებული სასაზღვრო ტოპონიმის გამოვლენა. პირველად დეტალურად მესწავლილ იქნა სასაზღვრო ტოპონიმის მემცველი საბუთების მინაარსობრივი ასპექტები, მოვლენების და პიროვნებების ტრადიციულ ისტორიულ რეალობასთან თანხვედრა, ასევე გეოგრაფიულად დადგინდა ზემო სვანეთის ჩრდილო-დასავლეთის არეალის საზღვრები. ზემო სვანეთის ისტორიული გეოგრაფიის ცოდნა ორიენტირებულია მედეგზე, რათა უფრო მეტი მევიტყოთ, თავისუფალი მიწისფლობის ფორმებზე და სვანური თემის ტრადიციულ მახასიათებლებზე.

ნამუშევრში საინტერესო იქნება საქართველოს მთიანეთის ისტორიით დაინტერესებული პირებისთვის, მკვლევარებისთვის, სტუდენტებისთვის, უცხოელი თუ ქართველი მეცნიერებისთვის, ზემო სვანეთის აფხაზეთთან სასაზღვრო არეალისა და ტოპონიმის საკითხებით დაინტერესებული პირებისთვის.

**საკვანძო სიტყვები:** აფხაზეთი, თავისუფალი სვანეთი, ისტორიული საბუთები, ჩანაწერები, ტოპონიმთა, ტრადიციული ყოფა, მიწისმფლობელობა, საზღვრები.

**Levan Gvichiani**  
*Sokhumi State University,  
192th public school of Tbilisi*

### **For the Issue of Historical Borders of Svaneti and Abkhazia**

The goal of our conference topic „For the issue of historical borders of Svaneti and Abkhazia“, is to present the research on documents containing toponymic information of border areas of Svaneti and Abkhazia, that are kept in Svaneti, as written sources of inscriptions on the pages of church books and lectionary books, as a result of ethnographic expedition. The research is focused on the scientific research and historical analysis of the problem of determining the borders of Svaneti and relations with Abkhazia in this context. The purpose of the research is to identify new circumstances in the study of the borders of „free Svaneti~ in the Middle Ages and relations with the Kingdom of Abkhazia. These reports are distinguished by the abundance of mentions of toponymic units, which helps us in the onomastic search of their history, in determining the localization of settlement and also in determining the social situation.

The relevance of the topic comes from the recording of written documents from the late Middle Ages, the study of which began in the first half of the 20th century. The first publication of the documents belongs to E. Gablian, which was bounded in a short review in 1927. The second edition, together with other documents, belongs to E. Takaishvili, who published the results of the 1910 expedition in 1937 in Paris. The next complete edition of Svan written monuments was made by P. Ingoroqva, who, for the first time, titled and dated the documents to the 12th-15th centuries, his goal only involved paleographical study and publication. Complex paleographic research on Svan documents on a large scale was presented by V. Silogava in his book in 1986, where the texts were determined and their photo fixation took place, although the content of the documents was not studied, nor were emphasized the results and their importance. Ethnographically, the toponymy of Svaneti was recorded and processed by Ambako Chkadua from local respondents in the 60s-70s under the instructions of Varlam Tofuria. His works was published after his death in 2020.

The methods of source content analysis, desk/library research and historical comparative research are used in our work. The scientific novelty or practical importance of the work is expressed in the fact that, based on the study and analysis of written sources, the toponymical bordering sources were separated into a separate group and the border toponymy with the Kingdom of Abkhazia in the northwest of Svaneti was revealed. For the first time, the meaningful aspects of the documents containing the border toponymy, the coincidence of events and persons with the

traditional historical reality were studied in detail, also the borders of the northwestern area of Upper Svaneti were geographically determined. The knowledge of the historical geography of Upper Svaneti is focused on the result, to learn more about the forms of free land ownership and traditional characteristic features. The theoretical and practical value of this work will be for the people interested in the history of Georgia, as well as for researchers, students, foreign and Georgian scientists, to know the bordering area and toponymy of Upper Svaneti in relation to Abkhazia.

*Keywords:* Abkhazia, free Svaneti, Historical Documents, Records, Toponymy, Traditional Existence, Land Ownership, Borders.



## Cultural Values of Abkhazia

Abstracts of the Second International Scientific Conference, December 8-9, 2022, Tbilisi

### აფხაზეთის კულტურული ფასეულობანი

მეორე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მოკლე შინაარსები  
2022 წლის 8-9 დეკემბერი, თბილისი

### ირინა გოგონაია

*კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს  
ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი*

### **სეზონური სკოლის შინაარსის შემუშავების საკითხისათვის (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის საერთაშორისო საგაზაფხულო სკოლის - „აფხაზეთი: შუა საუკუნეებიდან დღემდე (ისტორიულ- კულტუროლოგიური ასპექტები)“ - მაგალითზე)**

კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის თანამონაწილეობით, 2021 და 2022 წწ. განხორციელდა საერთაშორისო სეზონური სკოლის პროექტი, რომელიც დაფინანსდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების შემსწავლელი სამეცნიერო კვლევითი პროექტების ხელშეწყობისა და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების საგრანტო კონკურსის“ ფარგლებში.

აკადემიური პროგრამის დიზაინს საფუძვლად დაედო სკოლის როგორც სხვადასხვა თაობისა და კვლევითი ცენტრის მკვლევართა საგანმანათლებლო-სამეცნიერო თანამშრომლობის პლატფორმის კონცეფცია. აღნიშნულმა მიდგომამ განაპირობა სკოლის შინაარსის სასწავლო მოდულების სახით წარმოდგენა, რომლებიც მოიცავენ აფხაზეთის პოლიტიკური, კულტურული და ეკლესიის ისტორიის ძირითად სამეცნიერო-კვლევით თემატიკას. მაგალითისათვის, პირველი სასწავლო მოდული - ტერმინები „აფხაზი“ და „აფხაზეთი“ - აერთიანებს ლექციებს, რომლებიც მოიცავს აფხაზეთის ისტორიულ გეოგრაფიულ მიმდებარეობას, ეთნოლინგვისტიკისა და მულტიკულტურალიზმის საკითხებს; მოდული - „აფხაზეთი: „აფხაზთა სამეფოდან“ ოკუპირებულ ტერიტორიამდე“ საშუალებას აძლევს მსმენელებს თვალის მიადევნონ აფხაზეთის ისტორიას შუა საუკუნეებიდან თანამედროვე პერიოდამდე და მოიცავს ისეთი თემების განხილვას, როგორცაა: „აფხაზთა სამეფოს“ ისტორია, ცხუმის საერისთავო, აფხაზეთის სამთავრო, რუსეთის პოლიტიკა აფხაზეთში, აფხაზეთი დემოკრატიული რესპუბლიკის, საბჭოთა და დამოუკიდებლობის პერიოდში; მოდული „საკლესიო პროცესები აფხაზეთში“ ეძ-

ღვნება აფხაზეთის საკათალიკოსოს დაარსებისა და მისი სტატუსის საკითხებს ერთიან საქართველოში, მისი ისტორიის ანალიზს XV საუკუნიდან 1814 წლამდე, ვიდრე რუსეთის იმპერიის მიერ საკათალიკოსოს ავტოკეფალიის გაუქმებამდე; და ა. შ.

პროგრამის კონსტრუირებისას შინაარსთან ერთად ინტერესის საგანს წარმოადგენდა მეთოდებისა და ორგანიზაციული ფორმების შერჩევის საკითხი, საგანმანათლებლო-სამეცნიერო თანამშრომლობის პლატფორმის კონცეფციის რეალიზების მიზნით. შესაბამისად, ხუთი სასწავლო მოდულის ფარგლებში გათვალისწინებული იყო როგორც ტრადიციული ლექციების ჩატარება (23 ლექცია), ისე დისკუსიები მრგვალი მაგიდის ფორმატში, პანელური დისკუსიები მოხსენებებით აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე კულტურული მემკვიდრეობის დაცვის, თანამედროვე საეკლესიო პროცესების, ზოგადი და უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობის პრობლემატიკაზე, ინტერაქტიული საგანმანათლებლო პროგრამა და ცენტრში დაცული, სკოლის თემატიკასთან უშუალოდ დაკავშირებული ხელნაწერების და იშვიათი გამოცემების („აფხაზური დედაენა“/„ანბან შიყუ“, „ვეფხისტყაოსნის“ აფხაზური თარგმანი) გამოფენა, ასევე, სკოლის მონაწილეთა საკუთარი კვლევის შედეგების პრეზენტაციები.

სეზონური სკოლა განიხილება როგორც მნიშვნელოვანი საგანმანათლებლო-სამეცნიერო პლატფორმა აფხაზეთთან დაკავშირებული ისტორიულ-კულტუროლოგიური კვლევების შედეგების გაცნობისა და დაინტერესებულ მკვლევართა ინფორმირების თვალსაზრისით; ასევე, როგორც ბიძგი/ინსპირაცია ახალგაზრდა ქართველი და უცხოელი მსმენელებისთვის აწარმოონ სამეცნიერო კვლევები აღნიშნული მიმართულებით.

**საკვანძო სიტყვები:** აფხაზეთი, ისტორია, სეზონური სკოლა, ხელნაწერი, სასწავლო პროგრამის დიზაინი.

**Irina Gogonaia**

*Korneli Kekelidze Georgian National  
Centre of Manuscripts*

**On the Issue of Developing the Content of the Seasonal school:  
International Spring School of the National Centre of Manuscripts -  
Abkhazia: from the Middle Ages to the Present  
(Historical-Cultural Aspects)**

The report was prepared within the project of Korneli Kekelidze Georgian National Centre of Manuscripts - International Spring School „Abkhazia: From the Middle Ages to the Present (Historical-Culturological Aspects)“. The project was implemented in collaboration with the Sokhumi State University, through the financial support from the Shota Rustaveli National Science Foundation within the framework of „A Grant Competition Supporting Georgian Occupied Territories Studying National Research Projects and International Scientific Events“.

The aim of the school is in-depth reflection of the history of the occupied territory of Georgia and its integral part – autonomous republic of Abkhazia, from the middle ages to the present, to summarize accumulated knowledge, to actualize the different historical and culturological studies regarding Abkhazia and to promote and develop collaborative relationships.

The design of the academic program was based on the concept of the school as a platform for educational-scientific cooperation of researchers of different generations and research centers. This approach led to the presentation of school content in the form of educational modules, which include the main scientific-research topics of the political, cultural, and church history of Abkhazia. For example, the first module - About the terms „Abkhaz“ and „Abkhazia“ - combines lectures covering the historical-geographical overview of Abkhazia, issues of ethnolinguistics and multiculturalism; Module - „Abkhazia: From the Kingdom of Abkhazia till the Occupied Territory“, allows students to follow the history of Abkhazia from the Middle Ages to the modern period and includes the discussion of such topics as: the history of the „Kingdom of Abkhazia“, Principality of Abkhazia, Russian policy in Abkhazia, Abkhazia during the Democratic Republic, Soviet and independence periods; The module „Ecclesiastical Processes in Abkhazia“ is dedicated to the issues of the establishment of the Catholicate of Abkhazia and its status in united Georgia, the analysis of its history from the 15<sup>th</sup> century to 1814, before the abolition of the autocephaly of the Catholicate by the Russian Empire; etc.

During the construction of the program, along with the content, the issue of the selection of methods and organizational forms, in order to realize the concept of the educational-scientific cooperation platform, was a subject of interest.

Accordingly, within the framework of five study modules, both traditional lectures (23 lectures) and discussions in a round table format, panel discussions with reports on the protection of cultural heritage in the occupied territory of Abkhazia, modern church processes, access to general and higher education, interactive program and exhibition, were used. The school includes session where its Georgian and foreign participants will make presentations based on their own researches.

The seasonal school is considered as an important educational-scientific platform in terms of getting to know the results of historical and cultural studies related to Abkhazia and informing interested researchers; Also, as an inspiration for young Georgian and foreign listeners to conduct scientific research in the mentioned direction.

*Keywords:* Abkhazia, History, Seasonal School, Manuscript, Curriculum Design.

**როზეტა გუჯაჯიანი**  
*ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის  
სახელმწიფო უნივერსიტეტი*

**დალის ხეობა (სოციო-კულტურული ასპექტები)**

დალის ხეობა საქართველოს ერთ-ერთი ლოკალურ-ტერიტორიული თემია (ისტორიულ-ეთნოგრაფიული მიკრორეგიონია). ადმინისტრაციულად ის მოიცავს გულრიფშის მუნიციპალიტეტის ნაწილს. ამჟამად ოკუპირებულია (2008 წლიდან).

დალის ხეობის შესახებ მრავალფეროვანი საისტორიო წყაროები შემოგვინახა, რომელთა ადრეული ქრონოლოგია ანტიკურ ხანამდე ჩადის, შემდეგი ნაწილი კი მოიცავს ადრეულ, განვითარებულ და გვიან შუასაუკუნეებს და შემდეგ უკვე ახალი და უახლესი პერიოდის ამსახველ მასალას.

დალის ხეობის პარალელური სახელებია „აფხაზეთის სვანეთი“, კოდორის ხეობა. მკვიდრი ქართველი მოსახლეობა ამ მხარეში ოდითგან ცხოვრობდა, რაც დასტურდება უცხოური და ქართული საისტორიო წყაროებით, არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული მასალით.

ოკუპაციამდე დალის ხეობა მჭიდროდ იყო დასახლებული ქართველებით და აქ არსებობდა განვითარებული სოფლები, რომელთა სოციო-კულტურული მახასიათებლების კვლევა იყო ჩემი მიზანი. ბოლო სამეცნიერო საველე კვლევას ამ მხარეში სწორედ 2008 წლის ზაფხულში ვატარებდი. ადგილობრივნი გმირულად იცავდნენ მშობლიურ მხარეს და თითქმის ყოველი ოჯახიდან იყო თავგანწირვის მაგალითები და მსხვერპლი, რის ფასადაც მათ 2008 წლამდე დაიცვეს მხარე ოკუპანტთაგან. სამწუხაროდ, ხელისუფლებამ განაიარაღა ადგილობრივნი და რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომის შემდეგ დალის ხეობა დატოვეს საქართველოს შეიარაღებულმა ნაწილებმა. განიარაღებულმა ქართველებმაც ვეღარ შეძლეს მშობლიური მხარის დაცვა. მოსახლეობა, იქცა დევნილად, იქაურობა თითქმის დაიცალა მკვიდრი მოსახლეობისაგან.

დევნილნი განსახლდნენ საქართველოს სხვადასხვა მხარეში (თბილისი, თეთრიწყარო, წყალტუბო, ქუთაისი). ბოლო ხანებში დევნილთა მცირე ჯგუფი დაუბრუნდა მშობლიურ მიწა-წყალს. დევნილთა ადაპტაცია ახალ საცხოვრისთან იყო უადრესად რთული და მათ არაერთი პრობლემის გადალახვა მოუწიათ.

დალის ხეობის ქართველთა ტრადიციული ყოფა მსგავსია სვანეთის ეთნოგრაფიული მახასიათებლებისა, რადგან აქ, ძირითადად, ქართველთა სვანური ჯგუფი სახლობდა.

დალის ხეობის დასახლების ტიპი, განსახლების არეალის სოციალური ფორმატი პარალელს ჰპოვებს მეზობელი ჭუბერის თემის სოციო-კულტურულ მახასიათებლებთან.

დალის ხეობის სოფლებში შემონახული იყო მეურნეობის წარმართვის კლასიკური მთიური ქართული ფორმები. მეურნეობის მთავარ დარგს წარმოადგენდა მიწათმოქმედება და მესაქონლეობა.

დალის ხეობის მკვიდრმა მოსახლეობამ შემოინახა ტრადიციულ ქართულ ხალხურ დღეობათა ის კალენდარი, რომელიც სვანეთში მოქმედებდა. დალის მხარეში ჯერ კიდევ არსებობდა ტრადიციული ქართული სამართლის სვანური ვარიაციის (ჩვეულებითი სამართლის სახით) არაერთი ელემენტი, რომელთა სიცოცხლისუნარიანობა თვალსაჩინოა დევნილთა ყოფაშიც.

დალის ხეობის მაკრო და მიკრო ტოპონიმები არაერთი ისტორიული ეპოქის ანარეკლს შეიცავს და აქ შემონახულ ლეგენდა-გადმოცემებში იკვეთება ისტორიული განვითარების დინამიკის ამსახველი ინფორმაცია.

აღსანიშნავია, რომ ადგილობრივი კულტურულ-სამეურნეო ტიპი სრულად თანხვდება იმ ძირითად ნიშნებს, რითაც გამოირჩეულია სვანეთის ტრადიციული ქართული ხალხური კულტურა.

დევნილ დალის ხეობელთა თვალსაჩინო სულიერ და სოციალურ ცენტრად ჩამოყალიბდა თბილისში არსებული კოდორის ხეობის მამათა მონასტერი, სადაც იკრიბებიან დიდ დღესასწაულებსა თუ სხვადასხვა სოციალური პრობლემის გადაწყვეტისათვის.

**საკვანძო სიტყვები:** დალის ხეობა, კოდორის ხეობა, ხალხური, ტრადიციული ყოფა, სამეურნეო ტიპი, ლეგენდა-გადმოცემები.

**Rozeta Gujejiani**

*Ivane Javakhishvili Tbilisi State University*

### **Dali Valley (Socio-Cultural Aspects)**

Dali Valley is one of the local-territorial communities (historical-ethnographic micro-regions) of Georgia. Administratively, it includes part of the Gulripshi district. Currently occupied (since 2008).

The Dali Valley is mentioned in many historical sources, the earliest of which dates back to antiquity; another group of sources covers the early, advanced, and late medieval periods; and the final ones depict the new and recent periods.

The parallel names of the Dali Gorge are „Svaneti of Abkhazia“ and „Kodori Gorge“.

The native Georgian population has lived in this area since ancient times. Foreign and Georgian historical sources, archaeological evidences, and ethnographic data approve this fact.

Georgians densely populated the Dali valley prior to the occupation, and there were developed villages there; my research focuses on analyses of the socio-cultural characteristics of those villages. I conducted the last field research in this area in the summer of 2008. Locals defended their homeland heroically, and there are examples of self-sacrifice, and almost every family has suffered a loss. Unfortunately, the official authorities disarmed the locals, and after the 2008 Russo-Georgian war, the Georgian armed forces left the Dali valley. Disarmed Georgians could not protect their native region. The population turned into IDPs, and the place was almost emptied.

The IDPs were settled in different parts of Georgia (Tbilisi, Tetrtskaro, Tskaltubo, and Kutaisi). Recently, a small group of IDPs returned to their native land. The adaptation of the IDPs to their new places was extremely difficult, and they had to overcome many problems.

As the Svan group of Georgians primarily inhabited the Dali Valley, their traditional way of life is similar to the ethnographic characteristics of Svaneti. The type of settlement in the Dali Valley and the social format of the settlement are similar to the socio-cultural characteristics of the neighboring Chuberi community. In the villages, the predominant economic activities were farming and cattle breeding, as everywhere in the mountainous regions of Georgia.

The local population of the Dali Valley preserved the calendar of traditional Georgian folk festivals that operated in Svaneti as well. In the Dali area have been maintained the elements of the Svan variation of traditional Georgian law (in the form of customary law), whose vitality is evident even in the lives of the IDPs.

The macro- and micro toponyms of the Dali Valley reflect a number of historical eras and are preserved in the legends. They reflect the dynamics of historical developments.

It should be noted that the local cultural-economic type fully corresponds to the distinguishing elements of the traditional Georgian folk culture of Svaneti.

The Monastery of the Kodorians in Tbilisi has become an important spiritual and social center for the displaced people from the valley. They gather there for the big celebrations or to discuss the various social problems.

**Keywords:** Dali Valley, Kodori Valley, Folk, Traditional Existence, Agricultural Type, Legend-Reports.

**ნოდარ დარსანია, ჯუღუტა ძაძუა**  
*სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

**ქალაქ ოჩამჩირის ქართულენოვანი მოსახლეობის  
მეტყველებისათვის**

წლებია აფხაზეთში ქართული საოჯახო ენად იქცა. დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ მისი საფრთხის დონე სერიოზულია, რადგან გაბატონებულ ენად იქცა რუსული. ეს უკანასკნელი რეგიონში პოლიტიკურად და სოციალურად დაწინაურებული ენაა. ორი-სამი ათეული წლის შემდეგ, თუ ასე გაგრძელდა, საქართველოს ამ კუთხეში ქართულად აღარავინ ილაპარაკებს. დღეს ქალაქ ოჩამჩირეში რუსულ-ქართული ორენოვნების სახით საქმე გვაქვს სოციალურად შეპირობებულ ბილინგვიზმთან: ქართული არის გავლენის ობიექტი, რუსული კი (და არა აფხაზური) - წყარო. შესაბამისად, საკონტაქტო ენა გახდა რუსული. ქალაქ ოჩამჩირის ქართულენოვან მოსახლეობაში, ფლობისა და აქტივობის თვალსაზრისით, რუსული გასამიჯნი ხდება ჭეშმარიტი დედაენისაგან, ხოლო სოციალური ფუნქციის მოცულობის მხრივ, დიდი უპირატესობით სარგებლობს. ეს გარემოება ფაქტობრივად ავიწროებს ქართულს და ქმნის ამ ენის მატარებელთა მეტყველების თავისებურებას, რაც გარკვეულწილად ზეგავლენას ახდენს ორენოვანი მოსახლეობის ეროვნულ ცნობიერებასა და თვითაღქმაც.

დასტურდება ქართულ-რუსულ სამეტყველო კოდთა შერევის ორი სახეობა: ერთი მხრივ, ქართული დომინირებით, როდესაც ძირითადია ქართველური მეტყველება და ერთვება რუსული ლექსიკური ერთეულები და ფრაზები; მეორე მხრივ, რუსული დომინირებით, როცა, შესაბამისად, ძირითადია რუსული მეტყველება და ერთვება ქართული ლექსიკური ერთეულები/ფრაზები. როგორც წესი, სამეტყველო კოდთა შერევა ქართული დომინირებით უფრო ასაკოვანი პირებისთვისაა დამახასიათებელი, ხოლო უმცროსი თაობის მეტყველებაში უმეტესად დასტურდება სამეტყველო კოდთა შერევა რუსული დომინირებით.



სპეციალურ ლიტერატურაში გამოყოფენ ენობრივ კოდთა მერვეის ორ უმთავრეს ტიპს: კოდ-მიქსინგსა და კოდ სვიჩინგს. პირველი ტიპი გულისხმობს დიაქრონიულ პროცესს - A და B ენობრივ კოდთა მერვეის საფუძველზე C ენობრივი კოდის მიღებას; მეორე ტიპი კი გულისხმობს სინქრონიულ პროცესს - A და B კოდთა კონტაქტურ თანაარსებობას თანასწორ (როდესაც ორივე ენობრივი კოდი თანაბარუფლებიანია) ან უთანასწორო (როდესაც ერთ-ერთი ენობრივი კოდი მეორეზე პრესტიჟულია) პირობებში. ქალაქ ოჩამჩირეში ქართულ და რუსულ ენობრივ კოდთა მერვეის ორივე ტიპი გვხვდება.

**საკვანძო სიტყვები:** ქალაქი ოჩამჩირე, ქართულენოვანი, მოსახლეობა, მეტყველება, სამეტყველო კოდები, კოდთა მერვეა: კოდ-მიქსინგი და კოდ სვიჩინგი, მერვეის ტიპები.

**Nodar Darsania, Juleta Dzadzua**  
*Sokhumi State University*

### **For the speech of the Georgian-Speaking Population of Ochamchire City**

Georgian has been the native language in Abkhazia for years. Observation showed us that its threat level is serious. Today it is intensively involved in Abkhazian-Russian. The latter is a politically and socially advanced language in the region. After two or three decades, if this continues, no one will speak Georgian on the indigenous Georgian native land. Today, in Ochamchire city, we are dealing with socially determined bilingualism in the form of Russian-Georgian bilingualism: Georgian is the object of influence, and Russian (and not Abkhazian) is the source. Accordingly, the contact language became Russian. In the Georgian-speaking population of Ochamchire city, in terms of possession and activity, becomes separable from the true mother language, and in terms of the scope of social function, it enjoys a great advantage. This circumstance actually restricts Georgian and creates a peculiarity of the speech of the speakers of this language, which to some extent affects the national consciousness and self-perception of the bilingual population.

Two types of mixing of Georgian-Russian speech codes are confirmed: on the one hand, with Georgian dominance, when Georgian speech is the main one and Russian lexical units and phrases are included; On the other hand, with Russian dominance, when, accordingly, Russian speech is the main one and Georgian lexical

units/phrases are included. As a rule, the mixing of speech codes with Georgian dominance is characteristic of older people, and in the speech of the younger generation, the mixing of speech codes with Russian dominance is mostly confirmed.

In the special literature, two main types of linguistic code mixing are distinguished: code-mixing and code-switching. The first type implies a diachronic process - obtaining a language code C based on the mixing of language codes A and B; And the second type implies a synchronous process - contact coexistence of codes A and B under equal (when both language codes are equal) or unequal (when one language code is more prestigious than the other) conditions" (M. Labadze). Both types of mixing of Georgian and Russian language codes can be found in Ochamchire city.

***Keywords:*** Ochamchire City, Georgian-Speaking, Population, Speech, Speech Codes, Code-Mixing and Code-Switching, Types of Mixing.

## **ნინო ვახანია**

*სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

### **ომის პარადიგმა თანამედროვე ქართულ რომანში (ორი თხზულების მაგალითზე)**

*თემის მიზანი და აქტუალობა.* ომის რეფლექსირება მხატვრულ თხზულებებში დღეს აქტუალურია მთელ მსოფლიოში და მათ შორის, უპირველესად - საქართველოში. კვლევის მიზანია, თანამედროვე ქართული რომანის მაგალითზე დავაკვირდეთ, როგორ აირეკლა ომი აფხაზეთში ქართველი მწერლების შემოქმედებაში. ამ თემაზე მრავალი კვლევა არსებობს. ჩვენ ამჟამად საგანგებოდ შევარჩიეთ ერთმანეთისგან მრავალი რამით განსხვავებული ავტორები - სერგო წურწუმია და ეკატერინე ტოგონიძე. ერთი თვითონ არის ომის თვითმხილველი და მონაწილე, მეორე კი დისტანცირებულია ომი-სგან დროითა და სივრცით.

*კვლევის მეთოდი:* ისტორიულ-შედარებითი. ვფიქრობთ, სწორედ ამ მეთოდით შევძლებთ დასახული მიზნის მიღწევას.

*ნაშრომის მეცნიერული სიახლე/ან პრაქტიკული დანიშნულება.* ნაშრომის მეცნიერულ სიახლედ უნდა მივიჩნიოთ კვლევის ის თავისებურება, რომ ერთმანეთს ვადარებთ სხვადასხვა ასაკის, სქესის, გამოცდილების, სტილის... ავტორთა თხზულებებს. ერთი ეყრდნობა და მხატვრულად გარდასახავს დოკუმენტურ სინამდვილეს, მეორე მხოლოდ წარმოსახვით ქმნის პერსონაჟებსა და ამბებს. ხოლო ორივე სწორად, მართლად ასახავს რეალობას და ერთნაირი ძალით ზემოქმედებს მკითხველის გრძნობებზე.

ნაშრომის პრაქტიკულად გამოყენება შეუძლია საკითხით დაინტერესებულ ნებისმიერ ადამიანს.

**საკვანძო სიტყვები:** ომი, რეფლექსია, რომანი, პროტოტიპი, პარადიგმა, რეალიზმი.

**Nino Vakhania**  
*Sokhumi State University*

**The Paradigm of War in the Modern Georgian Novel  
(Based on Two Novels)**

*Purpose and relevance:* Today, the reflection of war in fiction is relevant all over the world. Among them, first of all - in Georgia. The aim of the research is to observe how the war in Abkhazia was reflected in the works of Georgian writers using the example of a modern Georgian novel. We specially selected authors who are different from each other in many ways - Ekaterine Togonidze and Sergo Tsurtsumia. The first of them is distanced from the war in time and space. And the other is an eyewitness and participant of the war.

*Research method:* historical-comparative. We think that using this method we will be able to achieve the set goal.

*Scientific novelty of the work/or practical significance:* The research's scientific news can be considered a research's characteristic, of us comparing essays of authors of different age, gender, experience, styles. One relies on reality and artistically transforms documentary stories. The other creates characters and passages only in imagination. Both correctly and truly reflect reality and affects the readers' feelings. The work can be practically used by anyone interested in the issue. It is possible that the paper will become an impetus for writing an extensive research or monograph on this topic.

*keywords:* War, Reflection, Novel, Prototype, Paradigm, Realism.

## **თამილა ზვიადაძე**

*სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

### **დარიკო ფიფიას ლექსთა კონცეპტოსფერო**

ენის სიმდიდრე განისაზღვრება არა მარტო ლექსიკური მარაგისა და გრამატიკული შესაძლებლობების სიმდიდრით, არამედ კონცეპტოსფეროს მრავალფეროვნებითაც. კონცეპტუალურ სფეროს ქმნის კონცეპტთა, როგორც სემანტიკურ ერთეულთა ერთობლიობა. სწორედ ეს სფერო შეესაბამება მენტალობას, როგორც სამყაროს ხედვის საშუალებას.

ლექსთწყობა განსაკუთრებული ხელოვნებაა. სიტყვები, რომლებიც ჩვეულებრივ ცხოვრებისეულ ურთიერთობაში გამოიყენება მხოლოდ აზრის გამომხატველ ნიშნებად, ლექსში აზრისა და გრძნობის ერთიანობას უკავშირდება, კონცეპტებად წარმოგვიდგება და საუკეთესოდ წარმოაჩენს სიტყვის სემანტიკურ-კონოტაციურ პოტენციალს. მნიშვნელობათა დასადგენად საჭირო ხდება იმის გარკვევა, „როგორ იყენებენ სიტყვას, როგორი ასოციაციებია დაკავშირებული ამ სიტყვით გამომხატულ ცნებასთან, როგორი იყო მისი არქეტიპული მნიშვნელობა, როგორ გამოიხატება მყარ შესიტყვებებსა და ფრაზეოლოგიზმებში, აგრეთვე ლიტერატურასა და სასაუბრო მეტყველებაში“ (ც. ბარბაქაძე);

ორიგინალურია დარიკო ფიფიას ლექსთა კონცეპტოსფერო. დომინანტია მზე - ერთ-ერთი უნივერსალური სახე - სიმბოლო, რომელიც უამრავ კონოტაციურ მნიშვნელობას აჩენს, მათ შორის - პოეტურს... შემოქმედისათვის მზე მარადიული მეტაფორაა, რასაც ადასტურებს მისი ერთ-ერთი კრებულის სათაურიც - „ორი მზე“. მარინა ცვეტაევას თუ დავესესხებით, ერთი მზე ცაზე ანთია, მეორე-მკერდში. „მზე“ პოეტის ნააზრევში წარმოდგენილია მთელი რიგი ენობრივი სინონიმებით, თემატური ველებით, ქცევის სტერეოტიპებით:

1. მთავარი აზრის გამომხატვის ფუნქციით დატვირთული სიტყვა „მზე“ სხვადასხვა ფორმით გამოიყენება. ყურადღება ექცევა ბგერადობას. ერთმანეთს ერწყმება ლექსიკური ერთეულის ფონეტიკური და აზრობრივი მხარე: „მზესუმზირები მზეს უმზერენ კვლავაც სარკმლიდან, მზისფერ თვალებში მზის ტკივილმა დაისადგურა“; „მზებიჭუნა მზეს ეჯიბრება“; „მზით სავსე სახლთან ჭას ჩასცქერის ბრდღვიალა მთვარე...მზით სავსე სახლის ღობეც

თითქოს მზის სხივით დაწნეს... დილა მზისფერი სახლის მზისფერ ღობეზე პარტარძლის წმინდა აბრეშუმის კაბასავით გაეფინება“;

2. მზე, როგორც სასიცოცხლო ენერჯის წყარო, პერსონიფიცირებულია - მისთვის ყველაფერი ადამიანური ნაცნობი და მისაღებია: „მზე ფეხადგმული მობრძანდება ოქროს ქოშებით“;

მზის პერსონიფიკაციას იწვევს მსაზღვრელის სემანტიკაც: „ცაზე და-მწიფებული მზე“, „მწიფე ფორთოხლისფრად შეღებილი მზე“, „თაფლისფერი მზე“, „მარჯნის მზე“, „გულდანადმული მზე“, „ფეხმძიმე მზე“, „გულდაძარღვული მზე“, „მეწამული მზე“, „მზე გარდასული“, „თივის ზვინისხელა მზე“, „მზე ფერწასული“...

თვალსაჩინოება მიღწეულია ასევე განსაზღვრებითი და ვითარების გარემოებითი დამოკიდებული წინადადებებითაც, რომლებიც ორიგინალურ შედარებებს ქმნიან: „მზე ისე წითლად და ელავდა და ანათებდა, როგორც ტიცინანის მკერდიდან მიმოგლეჯილი მიხაკი“; „მზე ისე გორავდა ცის უსასრულო კაბადონზე, როგორც მაგიდის გულზე დაგორებული სააღდგომო წითელი კვერცხი“; „მზე ისე გვწვავდა და გვრუჯავდა, როგორც დაუწერელი და დაწერილი ლექსი“...

3. სიტყვა ასოციაციურ კავშირშია სხვა სიტყვებსა და ლექსიკურ-სემანტიკურ ჯგუფებთან. პოეტის ნაზრევში მზეა.

*სიტყვა*: „და გეტყვი, სიტყვავ, ცა ხარ და მზე ხარ! და გეტყვი *სიტყვავ, მზე ხარ და ცა ხარ!*“ (117); „მალე, მალე მოადგება ბაქანს ვაგონი, სავსე მზისფერი სიტყვებით“; სიტყვა მზისფერია, როცა მართალია, სუფთა, შეუბილწველი: „ამ ლაბირინთში არ დაგკარგო სიტყვავ, მზისფერო, ბაგეს ვარდივით დაკონილო, შეუბილწველო“;

*მანდილი*: „ოქროს ჩიტებით მოჩითული ფიქრის სამოსი, თავზე მანდილი-დაფენილი მზის ათინათი“;

*ფეხმძიმე ქალი*: „ახლა ყველაზე ლამაზი გაზაფხული მიდგას შენით... ამ დროს ქალი მზეა, მზე ყველაზე სავსე და ბრიალა“;

*გული*: „გული-თიბათვის მზესავით თბილი და სავსე, ისე ეჭირა ხელში, როგორც დამსკდარი ბროწეულები“ და სხვ.

კონცეპტი, როგორც მენტალური კატეგორია, სინამდვილის მოვლენებსა და მათ შორის კავშირებს ასახავს განზოგადებული ფორმით, ზოგადი და სპეციფიკური ნიშნების ფიქსაციის მეშვეობით. სტატიამი გაანალიზდება კონცეპტთა სხვა ფორმებიც (ლექსი, გზა, გაზაფხული...), რომლებიც მრავალფეროვანი პოეტური ფუნქციითა და მეტაფორაციის სხვადასხვა ხარისხით წარმოჩნდება დარიკო ფიფიას ლექსებში.

**საკვანძო სიტყვები:** პოეტი, დარიკო ფიფია, პოეზია, კონცეპტოსფერო, მენტალური კატეგორია.

**Tamila Zviadadze**

*Sokhumi State University*

### **Conceptosphere of Dariko Fifia's Poems**

Poems of the poet Dariko Fifia are studied in the article. The concept sphere of Dariko Fifia's poems is original. The dominant feature is the sun - one of the universal faces - a symbol that has many connotational meanings, including poetic ones... For the creator, the sun is an eternal metaphor, which is confirmed by the title of one of his collections - "Two Suns". "Sun" in the poet's thoughts is represented by a number of linguistic synonyms, thematic fields, stereotypes of behavior:

1. Loaded with the function of expressing the main idea, the word "sun" is used in different ways.
2. The sun, as a source of vital energy, is personified - everything human is familiar and acceptable to him: "The sun will come on foot with;
3. The word is associated with other words and lexical-semantic groups. In the poet's thoughts, the sun is a word, a headscarf, a pregnant woman, a heart, etc.

The concept, as a mental category, reflects the events of reality and the connections between them in a generalized form, through the fixation of general and specific signs. The article will analyze other forms of concepts (poem, road, spring...), which appear in Dariko Fifia's poems with various poetic functions and different degrees of metaphor.

**Keywords:** Dariko Fifia, Poetry, Conceptual Sphere, Mental Category.

## **მარინა იზორია**

*საქართველოს დავით აღმაშენებლის  
სახელობის უნივერსიტეტი*

### **უკრაინა დასავლეთისა და აღმოსავლეთის გეოპოლიტიკურ კონცეფციებში**

მსოფლიო პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევებში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ინსტრუმენტულ დაკვირვების მეთოდებს, კერძოდ, შინაარსობრივ ანალიზს. ყურადღებას იქცევს ის ფაქტი, რომ დასავლელი მკვლევარების შრომებში არის უკრაინის მიმართ წინააღმდეგობრივი შეფასებები. ერთის მხრივ, მას ენიჭება უმნიშვნელოვანესი გეოპოლიტიკური მნიშვნელობა თავისი უნიკალური მდებარეობის გამო. მეორე მხრივ, უკრაინის ეს პოზიცია არასტაბილურად არის მიჩნეული, რაც მას ართმევს შესაძლებლობას იყოს მნიშვნელოვანი პოლიტიკური მოთამაშე. დასავლელი გეოპოლიტიკოსები არ განიხილავენ უკრაინას, როგორც დამოუკიდებელ გეოპოლიტიკურ ერთეულს საერთაშორისო ასპარეზზე საკუთარი ინტერესებით, არამედ აფასებენ მას მხოლოდ როგორც რუსეთზე ზეწოლის გაზრდის ობიექტს.

რუსეთის გეოპოლიტიკური კონცეფციაც უკრაინასთან მიმართებაში არ არის ერთგვაროვანი, ზოგი თვლის, რომ რუსეთი უკრაინული გეოპოლიტიკური სივრცის გარეშე ვერ იქნება დიდი ძალა, სხვების აზრით კი რუსეთი ცდილობს საბჭოთა კავშირის აღდგენას.

*მოხსენების მიზანია* ამ კონცეფციების გაანალიზება, ვინაიდან საკითხი აქტუალურია რუსეთ-უკრაინის ომის ფონზე. მოხსენებაში გაანალიზებულია დასავლელი მკვლევარების ძირითადი გეოპოლიტიკური მიდგომები უკრაინის მიმართ. მოხსენების *მეცნიერული სიახლე* მდგომარეობს იმაში, რომ ჩვენ არ ვეთანხმებით არსებულ გეოპოლიტიკურ კონცეფციებს უკრაინასთან დაკავშირებით და მეცნიერულად ვამტკიცებთ, რომ თავის ბრძოლაში უკრაინამ დაამტკიცა, რომ ის არის მნიშვნელოვანი გეოპოლიტიკური ძალა და იკავებს მნიშვნელოვან ადგილს საერთაშორისო ურთიერთობებში. ამას მოწმობს გმირული წარსული და უკრაინელი ხალხის თანამედროვე ბრძოლა თავისი გეოპოლიტიკური სივრცისთვის.



**საკვანძო სიტყვები:** უკრაინა, რუსეთი, ევროპა, ევრაზია, გეოპოლიტიკა, ეროვნული ინტერესები, საგარეო პოლიტიკა, საერთაშორისო ურთიერთობები.

**Marina Izoria**

*Davit Agmashenebeli University  
of Georgia*

### **Ukraine in the Geopolitical Concepts of the West and the East**

The report analyzes the main geopolitical approaches of Western researchers to Ukraine. Attention is drawn to the fact that in the works of Western researchers there are contradictory assessments of Ukraine. On the one hand, it is given the most important geopolitical significance due to its unique location. On the other hand, this position of Ukraine is regarded as unstable, which deprives it of the opportunity to be a significant political player. Western geopoliticians do not view Ukraine as an independent geopolitical unit with its own interests in the international arena, but value it solely as an object for increasing pressure on Russia.

The geopolitical concept of Russia in relation to Ukraine is also not homogeneous, some believe that Russia without the Ukrainian geopolitical space will not take place as a Great Power, others believe that Russia is striving to restore the Soviet Union.

The purpose of the report is to analyze these concepts, since the issue is relevant in the light of the Russian-Ukrainian war. An important place in the studies of world politics and international relations belongs to the methods of instrumental observation, in particular content analysis. The scientific novelty of the report lies in the fact that we do not accept the existing geopolitical concepts regarding Ukraine, and scientifically assert that in its struggle Ukraine has proved that it is an important geopolitical force and occupies its rightful place in international relations, this is evidenced by the heroic past and present Ukrainian people and state.

**Keywords:** Ukraine, Russia, Europe, Eurasia, Geopolitics, National Interests, Foreign Policy, International Relations.

**მარინე კაკაჩია, ქეთევან მარგიანი,  
მარინა ჯღარკავა**

*სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
აწარმოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი*

**აფხაზი და აფხაზეთი „დევნილთა მეტყველებაში“**

მეტად მნიშვნელოვანია ისეთი ენების შესწავლა, რომლებიც ქმნიან მეტყველების ფორმების თავისუფალი განვითარების აუცილებელ პირობებს და შებოჭილი არ არიან ლიტერატურის საქმეში ჩართვით. ისინი ხშირად დიდი ინფორმაციის მატარებელი არიან. გამონაკლისი არც ქართველური ენებია. ამიტომაც მნიშვნელოვნად მივიჩნით აფხაზეთში გასულ საუკუნეში გამოცემული ტექსტებისა და ჩვენს დროში უკვე აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობის მეტყველების ნიმუშების ჩაწერა-შესწავლა.

საანალიზო ტექსტთა თემატიკა მრავალფეროვანია, წარმმართველი კი, ბუნებრივია, მშობლიური აფხაზეთის, მშობლიური ოდაბადეს მონატრება, დევნილობაში ცხოვრების უკვე ათწლეულთა მიუხედავად ჯერაც მოურჩენელი ტკივილები და სულის იარები, ძმათამკვლელი ომის ტრაგიკულ დღეთა მოგონებებია, თუმცა, აღსანიშნავია, რომ *აფხაზეთი*, *აფხაზი/აფხაზები* ეთნოტერმინები მხოლოდ და მხოლოდ დადებითი კონოტაციითა და კეთილგანწყობის კონტექსტით საუბრობენ რესპონდენტები; წინა საუკუნეში ჩაწერილ მეგრულ ტექსტებში უფრო აფხაზთა ნაკლოვანებებზე მიუთითებდნენ:

ქორთუქ გააფხაზ-და, მუთუნ აფხაზა ვემალენია (მეგრ.): (ხალხ. სიბრძნე) - „ქართველი თუ გააფხაზდა, ვერავითარი აფხაზი ვერ შეედრებაო“.

*აფხაზა ნაკარუს გიხვამანლუა* (მეგრ.) (ყიფშ.): - „აფხაზი ნაკარავზე ილოცებოდაო“.

ლაზურში აფხაზის აღმნიშვნელი ორი ეთნონიმი გამოიყენება: აბხაზი და აბაზი. მაგ.: აბაზაფე – მიზმიზი კოჩეფ თითიზი კოჩი. ბერე დო სუჭრა ვა უნონან (ლაზ.). (ჩიქობავა): „აფხაზები ჭირვეული ხალხია („კაცებია“). „აზიზი“ კაცი. შვილი და (შვილის მოვლა) და სუფრა (საჭმლის კუთხე) არ უნდათ“. აფხაზა დო მენგრელი – ართ კინიაზის ვიტოხუთ ხეზმექდარი უდნუტუ (ლაზ.) (ასათიანი): „აფხაზ და მეგრელ – ერთ თავადს თხუთმეტი მოსამსახურე ჰყავდა“.

ბევრია მერეული ოჯახების წარმომადგენელთა მოგონებანი. დევნილები სიყვარულითა და სევდით იხსენებენ აფხაზეთში გატარებულ წლებს, ურთიერთობებს, საერთო ჭირსა და ღზინს, მეგობრობას, ნათესაობას. სათუთ თემად მიაჩნიათ ამ საკითხზე მსჯელობა.

მოხსენებაში წარმოდგენილია ამ ურთიერთობების ამსახველი მასალა სვანური და მეგრულ-ლაზური ტექსტებიდან.

**საკვანძო სიტყვები:** აფხაზი, აფხაზეთი „დევნილთა მეტყველება“, ქართველური ენები: მეგრული და სვანური ტექსტები.

**Marine Kakachia, Ketevan Margiani**

**Marine Jgharkava**

*Sokhumi State University,*

*Tbilisi State University Arnold Chikobava*

*Institute of Linguistics*

### **Abkhazian and Abkhazeti in the Speech of the Displaced People**

It is important to study such languages that create the necessary conditions for the free development of speech forms and are not bound by the involvement of literature. They frequently contain a great deal of information. Georgian languages are no exception. That is why the authors of the research consider it important to study the texts published in the last century in Abkhazeti and to record the speech samples of the population displaced from Abkhazeti to the different regions of the country.

The topics of the analysis texts are diverse, and the leading ones are, naturally, the longing for the native Abkhazeti, the native Odabade (meaning the birthplace), the pains and anguish of the soul that have not been healed despite the decades of living in exile, and the memories of the tragic days of the fratricidal war. However, it is worth noting that the ethnolinguistic terms *Abkhazeti*, *Abkhaz*, and *Abkhazians* have only positive connotations. In Megrelian texts recorded in the previous century, the respondents pointed more to Abkhazians' shortcomings: „ქორთუქ გააფხაზუდა, მუთუნ აფხაზა ვემდალენია“ (Megrelian, meaning „If a Georgian has become Abkhazian, no Abkhazian can compare to him“, folk saying), „აფხაზა ნაკარუს გიხვამანდუა“ (Megrelian, meaning „Abkhazian longed to have his ruined dwelling“) (Kipshidze).

Two ethnonyms denoting Abkhazia are used in Laz: Abkhazi and Abazi. As an example: „აბაზაფე - მიზმიზი კოჩეფ თითიზი კოჩი. ბვრე დო სუჭრა ვა უნონან“ (Laz, meaning „Abkhazians are fastidious people. They don't want to take care of their child and to set the table“) (Chikobava); „ავხაზა დო მენგრელი - ართ კინიასის ვიტონუთ ხეზმექდარი უდნუტუ“ (Laz, meaning „The Abkhaz and Megrelian highborn had fifteen servants each“) (Asatiani). There are also recordings of mixed family members.

People who have been internally displaced recall their time in Abkhazeti, their relationships, everyday difficulties, and their friendships and kinship with great love and grief. Discussion on this subject is regarded as sensitive. The research collects material from the Svan and Megrelian-Laz literature that reflects these relationships.

**Keywords:** Abkhazian, Abkhazian „Speech of the Sxiles“, Georgian Languages: Megrul and Svan Texts.

**კახა კვაშილავა**  
*სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

**სამურზაყანო 1840-1865 წლებში**

წებელდასა და სამურზაყანოში საბოქაულოების დაწესება სამხრეთ კავკასიაში სამოქალაქო რეფორმის დაწყების წინაპირობა იყო. წარმოდგენილი ინსტიტუცია ერთგვარ შუალედ რგოლად განიხილებოდა და მიზნად ისახავდა გარკვეული ტერიტორიის სრულ ინკორპორაციას რუსეთის იმპერიის სახელმწიფოებრივ სისტემაში. პირველი საბოქაულო კავკასიაში ყაბარდოში დაწესდა 1769 წლის 3 ნოემბერს.

სამურზაყანოს პირველ ბოქაულად დაინიშნა პორუჩიკი კირილოვი. 1840-იან წლებში სამურზაყანოს ბოქაულის სახელო ასევე ეჭირათ შტაბს-კაპიტან გაბაევს, მაიორს დავიდოვსკის, შტაბს-კაპიტანს აბაშიძეს. როგორც ვხედავთ, ამათგან ორი ბოქაული – გაბაევი (გაბაშვილი) და აბაშიძე ქართველი იყო. სამურზაყანოს ბოქაულთა მოადგილეები, ძირითადად, ქართულის მცოდნე ადგილობრივები უნდა ყოფილიყვნენ. რა თქმა უნდა, ხელისუფლება იძულებული იყო რეგიონში ქართველი სამხედრო მოსამსახურე მიეველინა, რომელსაც არ გაუჭირდებოდა ურთიერთობის დამყარება ადგილობრივ მოსახლეობასთან, რომლის აბსოლუტური უმრავლესობა ქართული (მეგრული) წარმომობის იყო. სამურზაყანოს თავად-აზნაურობისგან ინიშნებოდნენ 5 ასეულის მეთაურები მათი 10 თანაშემწითურთ და 20 ურიადნიკი. მილიციაც ადგილობრივი არისტოკრატისა და გლეხობისგან კომპლექტდებოდა.

ყირიმის ომის დასრულების შემდეგ, სანქტ-პეტერბურგმა დასავლურ ქართული სამთავროებისთვის მოიცალა, რომლებიც ჯერ კიდევ ავტონომიური უფლებებით არსებობდნენ. პირველი დარტყმა სამეგრელოზე განხორციელდა. 1857 წლის 26 სექტემბერს ოდიშის „დროებით“ მმართველად გენერალ-მაიორი ნიკოლაი პეტრეს ძე კოლუბიაკინი დაინიშნა. აფხაზეთის მთავრის მ. შარვაშიძის პრეტენზიების დასაოკებლად, რუსულმა ხელისუფლებამ კიდევ ერთხელ გაატარა ადმინისტრაციული რეფორმა და 1857 წელს სამურზაყანოს ბოქაული სამეგრელოს მმართველს დაუქვემდებარა. ამდენად, 17 წლის შემდეგ მხარე ისევ ზუგდიდის იურისდიქციის ქვეშ აღმოჩნდა.

1859 წლის მიწურულს სამურზაყანო 4 უბნად – ოქუმი, საბერიო, ნაბაკვი და ბედია – იქნა დაყოფილი. ამასთან ერთად, ადგილობრივი ბოქაულის უფლებებიც გაიზარდა და მას მიენიჭა სასამართლო უფლებები – სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეების განხილვით და გადაწყვეტილებების მიღებით. ამის შემდეგ, სამურზაყანოს ადმინისტრაციის სათავეში უმთავრესად რუსეთის იმპერიის შიდა რეგიონებიდან ჩამოსული პირები გვხვდება. 1864 წელს ხელისუფლებამ გადაწყვიტა სამურზაყანოს მიერთება აფხაზეთთან. 1865 წელს ქუთაისის გუბერნიაში შეიქმნა სოხუმის განყოფილება, რომელშიც 1866 წლის 11 აგვისტოს სამურზაყანოც შეიყვანეს, სადაც საბოქაულო გააუქმეს.

აქედან გამომდინარე, წარმოდგენილ მოხსენებაში შესწავლილია სამურზაყანოს ისტორიული განვითარება 1840-1865 წლებში. კვლევისას გამოყენებულია ანალიზი, ლოგიკური, ინდუქციური და ისტორიული მეთოდი.

**საკვანძო სიტყვები:** რუსეთის იმპერია, სამურზაყანო, საბოქაულო, სამხედრო მოხელე, სამოქალაქო რეფორმა, ქუთაისის გუბერნია, სოხუმის განყოფილება.

**Kakha Kvashilava**

*Sokhumi State University*

### **Samurzakano in 1840- 1865**

The creation of „Pristavstvo“ in Tsebelda and Samurzakano was a prerequisite for the start of civil reform in the South Caucasus. The presented institution was considered as a kind of intermediate link and aimed at the complete inclusion of a certain territory in the state system of the Russian Empire. The first pristavstvo in the Caucasus was founded in Kabarda (November 3, 1769).

Poruchik Kirilov was appointed the first Pristav of Samurzakano. In the 1840's, the Pristavs of region were also Staff Captain Gabaev, Major Davidovsky, Staff Captain Abashidze. As we can see, two of them from then – Gabaev (Gabashvili) and Abashidze – were Georgians. The deputy of Pristavs were mostly local residents who spoke Georgian. Of course, the government was forced to send only Georgian to the region, who could easily establish relations with the local population, the vast majority of whom were of Georgian origin. The militia also consisted of the local aristocracy and the peasantry.

After the end of the Crimean War, St. Petersburg began to abolish the Western Georgian principalities, which still existed on autonomous rights. The first blow was inflicted on Samegrelo. 1857 On September 26, Major General Nikolai Kolubyakin

was appointed the „temporary“ ruler of Odisha. To appease the claims of M. Sharvashidze, the Russian government once again carried out an administrative reform and in 1857 Samurzakano Pristavstvo was subordinated to the ruler of Samegrelo. Thus, after 17 years, the region was again under the jurisdiction of Zugdidi.

In 1859, Samurzakano was divided into 4 districts: Okumi, Saberio, Nabakevi and Bedia. Along with this, the rights of the local Pristav were also expanded and they were granted judicial rights – to consider civil and criminal cases and make decisions. After that, the administration of Samurzakano was mainly headed by people from the interior regions of the Russian Empire. In 1864, the government decided to annex Samurzakano to Abkhazia. In 1865, the Sukhumi department was created in the Kutaisi province, which included Samurzakano on August 11, 1866, where the Presidium was abolished.

Therefore, in the presented report, there is researched historical development of Samurzakano in 1840-1865. Analysis, logical, inductive and historical methods are used by us in the research.

**Keywords:** Russian Empire, Samurzakano, Sabokaulo, Military Officer, Civil Reform, Kutaisi Governorate, Sokhumi Division.

**Oleh Kupchyk**

*Taras Shevchenko National University of Kyiv  
(Ukraine)*

**Abkhazia on the Pages of the Magazine „World of East“  
(Late 1920’s-Early 1930’s)**

Today historical science in Ukraine needs a restoration of Abkhazian studies as a part of Caucasian studies. In this we invariably have to consider an experience of previous Ukrainian scientific research of Abkhazia, in particular in the late 1920-early 1930. Abkhazia is little known to modern Ukrainian scientist. But before Ukrainian historians and orientalists researched Abkhazia. First of all, they were interested in Abkhazia’s economic problem in context of „A New economic politics“. Including Larikov G. and his article „Republic without roads (SSR Abkhazia)“ (World of East („Східний світ“), 1928, №3-4, p. 177-183). Social-Economic life (agriculture and industry, trade) through the prism of transport infrastructure was analysed by author.

Another Ukrainian historian Manenko P. is an author of article „Production capabilities of Abkhazia“ (World of East („Східний світ“), 1930, № 10-11, p. 149-167). Natural and climatic minds, natural recourses, development of agriculture (tobacco cultivation, viticulture and winemaking, fruity gardening with growing of apples, pears, tangerines, medlars, persimmons) are highlighted in article. At the same time perspective of walnut, peanut and cauliflower growing is informed. A development of fishing industry is characterized. Abkhazian coal deposits is interesting. Gudauta cooper deposits is interesting. But transport connection problem.

So the article of Ukrainian orientalists Larikov G. and Manenko P. is a beginning of Abkhazian Studies in Ukraine. But I am assured, that their article is interesting for Abkhazian historians.

**Keywords:** Abkhazia, Abkhazology, Article, Economy, Fish Industry, Coal, Gudaut Deposits, Ukrainian Historians.



## ოლეკ კუპჩიკი

კიევის ტარას შევჩენკოს ეროვნული უნივერსიტეტი  
(უკრაინა)

### აფხაზეთი ჟურნალ „აღმოსავლეთის სამყაროს“ გვერდებზე (1920-იანი წლების ბოლო-1930-იანი წლების დასაწყისი)

დღეს უკრაინაში ისტორიულ მეცნიერებას ესაჭიროება აფხაზოლოგიის, როგორც კავკასიოლოგიის ნაწილის აღდგენა. ამ მიმართულებით აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ უკრაინის ადრეული პერიოდის სამეცნიერო კვლევების გამოცდილება აფხაზეთზე, კერძოდ, 1920 წლის ბოლოს-1930 წლის დასაწყისის კვლევები. თანამედროვე უკრაინელი მეცნიერისთვის აფხაზეთი ნაკლებად არის ცნობილი. მაგრამ სანამ უკრაინელი ისტორიკოსები და აღმოსავლეთმცოდნეები იკვლევენ აფხაზეთს, ისინი უპირველეს ყოვლისა, დაინტერესდნენ აფხაზეთის ეკონომიკური პრობლემით „ახალი ეკონომიკური პოლიტიკის“ კონტექსტში. მათ მორის არის გ. ლარიკოვი და მისი სტატია „რესპუბლიკა გზების გარეშე (აფხაზეთის სსრ)“ (აღმოსავლეთის სამყარო („Східний світ“), 1928, №3-4, გვ. 177-183). ავტორმა, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის პრიზმამი, გააანალიზა მხარის სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრება (სოფლის მეურნეობა, მრეწველობა, ვაჭრობა).

კიდევ ერთი უკრაინელი ისტორიკოსი პ. მანენკო ავტორია სტატიისა „აფხაზეთის საწარმოო მესაძლებლობები“ (აღმოსავლეთის სამყარო („Східний світ“), 1930, №10-11, გვ. 149-167). სტატიაში ხაზგასმულია ბუნებრივი და კლიმატური აზროვნება, ბუნებრივი რესურსები, სოფლის მეურნეობის განვითარება (თამბაქოს მოყვანა, მევენახეობა-მეღვინეობა, ხილის მებაღეობა ვამლის, მსხლის, მანდარინის, ხურმის მოყვანით). ის, ამავე დროს ინფორმირებულია და მოგვითხრობს კაკლის, არაქისის და ყვავილოვანი კომბოსტოს მოყვანის პერსპექტივის შესახებ. საუბრობს აფხაზეთისთვის დამახასიათებელი მეთევზეობის მრეწველობის განვითარებისა და აფხაზეთის ქვანახშირის საბადოების შესახებ. საინტერესოა გუდაუთის ნახშირის საბადოებზე, მაგრამ მიუთითებს ტრანსპორტის კავშირის პრობლემაზე.

ასე რომ, უკრაინელი აღმოსავლეთმცოდნეებისთვის გ. ლარიკოვისა და პ. მანენკოს სტატია უკრაინაში აფხაზოლოგიის დასაწყისია. მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ მათი სტატია საინტერესოა აფხაზი და აფხაზეთის მემსწავლელი ისტორიკოსებისთვის.

**საკვანძო სიტყვები:** აფხაზეთი, აფხაზოლოგია, სტატია, ეკონომიკა, თევზის მრეწველობა, ქვანახშირი, გუდაუთის საბადოები, უკრაინელი ისტორიკოსები.

**ნანა კუცია, მირანდა თოდუა**  
*სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

**მარინე ტურავას ლექსთა კრებული**  
**„სოხუმი-თბილისი“**

*კვლევის მიზანი და ამოცანები.* წერილის მიზანია, შესწავლილ იქნეს ქართული პოსტმოდერნიზმის საინტერესო, დახვეწილი წარმომადგენლის - მარინე ტურავას პოეტური კრებულის - „სოხუმი - თბილისი“ ანტიციპაციური (წინასწარმეტყველებითი) შრე-ჯერ კიდევ სოხუმში დაწერილ ლექსთა მხატვრულ ნარატივში. წერილის ამოცანაა, გააზრებულ იქნეს ცალკეული ლექსებისა თუ მთელი კრებულის ერთიანი ანტიციპაციური ქსოვილი, მაღალ პოეზიად ტრანსფორმირებული ღრმა პერსონალური ტკივილი. წერილში პედალირებულია, რომ სოხუმსა და თბილისს შორის მხოლოდ მანძილი კი არა, დროცაა. გავაანალიზეთ ტექსტთა ქრონოტოპი.

*კვლევის მეთოდი.* საკითხის შესწავლის მიზნებიდან გამომდინარე, გამოვიყენეთ რამდენიმე მეთოდი - კომპარატივისტული და ტიპოლოგიური კვლევის მეთოდები ტექსტთა დასაჯგუფებლად, მთავარ, ძირითად საკითხთა გასაანალიზებლად.

*ნაშრომის მეცნიერული სიახლე და პრაქტიკული დანიშნულება.* მარინე ტურავას პოეზიის შესწავლას აუცილებლად მივიჩნევთ, რადგან ამ დახვეწილი, რაფინირებული პოეტის (ამავდროულად, შესანიშნავი მეცნიერის - ჟურნალ „ჩვენი მწერლობისა“ და „საგურამოს“ პრემიების ლაურეატის) შემოქმედების გათვალისწინების გარეშე შეუძლებელია აფხაზეთის ომამდელი, ომისდროინდელი, ომისშემდგომი პოეტური რეფლექსია-რეცეფციების სრული/სრულყოფილი აღქმა. ნაშრომის მეცნიერულ სიახლეს წარმოადგენს ანტიციპაციური რკალის კომპარატივისტული ანალიზი, პრაქტიკულ დანიშნულებას - პოსტმოდერნისტულ პოეზიაში ანტიციპაციური ნარატივის გააზრება, შესაძლოა საკითხის შეტანა სტუდენტთათვის პოსტმოდერნისტული ლიტერატურის სპეცურსში.

**საკვანძო სიტყვები:** მარინე ტურავა, პოსტმოდერნიზმი, ანტიციპაცია, ომი, დევნილი, სოხუმი, თბილისი.

**Nana Kutsia, Miranda Todua**  
*Sokhumi State University*

**Marine Turava`s Verse Collection  
„Sokhumi-Tbilisi“**

**Goals and Aims.** The aim of the article is to study anticipations of the verse-collection „Sokhumi-Tbilisi“ of the outstanding representative of Georgian Postmodernism Marine Turava – in the narrative, written in Sokhumi. The goal of the article is to analyze of definite verses and the verse-collection in whole, the personal pain, transformed into high-level poetry. We have underlined that among Sokhumi and Tbilisi there is not only the space, but the time as well. We will study chronotope of the verses.

*Methodology.* Depending on the aims and objectives of the thesis, we used several research methods – comparative and typological research methods to group the texts and to summarize the main, general and specific issues of the topic. Also, methods of observation, abstraction, analysis and synthesis are used.

**Novelty and Practical Value.** Marine Turava is an outstanding researcher as well (Literary Prizes „Saguramo“, „Chveni Mtserloba“). Without analysis of her poetry it will be impossible to understand of poetical reflections of war in Abkhazia. The novelty of the article is the presentation of the most versatile anticipative thematic kaleidoscope. The article may be included in higher education curriculums.

**Keywords:** Marine Turava, Postmodernism, Anticipation, War, Refugee, Sokhumi, Tbilisi.

## **ნესტან ლომია**

*სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

### **ქალთა უფლებები და აფხაზეთი (წარსული, აწმომ და თანამედროვეობა)**

სტატიაში საუბარია იმაზე, რომ საქართველო საბჭოთა კავშირის საოცნებო საკურორტო ზონიდან იქცა კონფლიქტებით, უმუშევრებით და უკიდურესი სიღარიბით დამძიმებულ ქვეყნად. დაუნდობელი ეთნო-კონფლიქტის შედეგად ათეულათასობით უსახლ-კაროდ დარჩენილი ადამიანი გენდერული თანასწორობისათვის ბრძოლის ნაცვლად თვითგადარჩენის ინსტიქტის წინაშე დააყენა.

სტატიაში გატარებულია აზრი იმის შესახებ, რომ ნებისმიერი შეიარაღებული კონფლიქტი უკავშირდება ძალადობას. ძალადობა კი, თავის მხრივ, მოიცავს შემდეგ კომპონენტებს: გაუპატიურება, ფსიქოლოგიური წამება, დამცირება, რომლის შედეგები აისახება ორივე მხარის ჯანმრთელობაზე.

ნაშრომში მოტანილია რონალდ ფიშერის მოსაზრება საზოგადოებაზე, ასევე განხილულია სიმონა დე ბოჟუარისა და ქეთი მილეთის ნააზრევი.

საქართველო პატრიარქალური ქვეყანაა, სადაც გენდერის საკითხების გაშუქება ბოლო პერიოდში გახდა შესაძლებელი, ხოლო რაც შეეხება აფხაზეთს, იქ დღესაც პატრიარქატია გამეფებული. დღევანდელ აფხაზეთში ქალები არ არიან სოლიდარულები ერთმანეთის მიმართ, ისინი იზიარებენ მოსაზრებას, რომ ქალი სამზარეულოში უნდა იყოს და არა პოლიტიკაში.

ნაშრომში საუბარია პოსტსაბჭოთა პერიოდის წარმატებულ აფხაზ ქალბატონზე, ასევე ნახსენებია დღევანდელ აფხაზეთში მოღვაწე წარმატებულ ქალებზე, მაგრამ მათი რიცხვი ძალიან მცირეა და მასკულინურ სამყაროზე ვერავითარ გავლენას ვერ ახდენს.

სტატიაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების საქმეში დიდი როლი ენიჭება ქალების აქტიურობას, ასევე მნიშვნელოვანია საუნივერსიტეტო დიპლომატიის გააქტიურება, რომელსაც შეუძლია ქართულ-აფხაზური ნდობის აღდგენაში და სტუდენტი ახალგაზრდობის დაახლოების საქმეში უდიდესი მისიის შესრულება.

**საკვანძო სიტყვები:** აფხაზეთი, ქალთა უფლებები, გენდერის საკითხი, ქალთა სოლიდარულობა, კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარება.

**Nestan Lomaia**  
*Sokhumi State University*

### **Women's Rights and Abkhazia (Past, Present and Modern Time)**

The article is about the dream resort zone of Georgia-Soviet Union, that became a country with massive conflicts, high unemployment rate and extreme poverty since the 1990s. Relentless ethno-conflict and homeless people started fighting to each other not for gender equality, but for self-preservation.

In the article, there is an opinion that any armed conflict is related to violence, and it includes the following components: rape, psychological torture, humiliation; these consequences affect the health of both sides today.

Ronald Fisher's opinion on society is cited in the work. Also the thoughts of Simone de Beauvoir and Kate Miletic are also discussed.

It is said that Georgia is a patriarchal country, and the promotion of gender issues was possible during the construction of a democratic state, while, in Abkhazia, patriarchy reigns there even today.

The article also shows today's Abkhazia and the situation created there. Women do not show solidarity towards each other. They share the opinion that a woman's place is in the kitchen and at home, not in politics.

The active women in the past feminism era and the successful Abkhazian women of the post-Soviet period are mentioned, contemporary successful women are also discussed, but their small number cannot have no influence on the masculine world.

To conclude we must underline that women have a magnificent role and their activism in the peaceful resolution of the conflict, as well as university diplomacy is vital. It also refers to the process of restoration of Georgian-Abkhazian trust and communication between young generation.

**Keywords:** Abkhazia, Women's Rights, Gender Issue, Women's Solidarity, Peaceful Resolution of the Conflict.

**გიორგი ლორია**  
*სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

**აფხაზი ეთნოსის იდენტობის ახალი კონცეპტი**

ერის იდენტობის საკითხის გაანალიზებისას აზროვნების სკოლები ხაზს უსვამენ პერსონალურ და სოციალურ იდენტობას, რომელიც დაკავშირებულია კოლექტიური იდენტობის განმსაზღვრელ ფაქტორებთან. ერების იდენტობა ეხება იმას, თუ როგორ პასუხობენ ადამიანები კითხვაზე „ვინ ხარ შენ?“ ეს კითხვა შეიძლება დაუსვან პირდაპირ ან ირიბად, პირად ან კოლექტიურ დონეზე, სხვებს ან საკუთარ თავს. იდენტობის განსაზღვრისას ხაზს უსვამენ მის პიროვნულ, სოციალურ და ისტორიულ შინაარსს, პიროვნულ, სოციალურ და ისტორიულ პროცესებს. შესაბამისად, იდენტობების ჩამოყალიბებას ხელს უწყობენ პიროვნული, სოციალური და ისტორიული პროცესები. ისინი გარკვეული დროის განმავლობაში ნარჩუნდება, მაგრამ დროთა განმავლობაში, სოციალური და ისტორიული პროცესები მოქმედებენ პიროვნულ შინაარსზე და უზრუნველყოფენ ახალი შეხედულებების ჩამოყალიბებას, ცვლიან იდენტობის კონცეპტებს და ინდივიდსა და ურთიერთობებს შორის ახალ ხედვებს ქმნიან.

მიუხედავად იმისა, რომ ეთნიკურ ეროვნულ იდენტობას ახასიათებს მიჯაჭვულობა საკუთარი წარმომავლობის, ისტორიის, ტრადიციის, კულტურისა და ენისადმი - და არა აუცილებლად იმ სახელმწიფოსადმი, რომელშიც ადამიანი დაიბადა და ცხოვრობს, ერის იდენტობის კონცეპტები გარკვეული დროის შემდეგ ცვლილებებს განიცდის და როგორც აღვნიშნეთ, ამ ცვლილებებზე გავლენას ახდენენ პიროვნული, სოციალური და ისტორიული პროცესები.

მრავალი საუკუნის განმავლობაში აფხაზთა იდენტობა ისტორიულად დაკავშირებული იყო იმ მყარ ერთობასთან, რომელსაც საუკუნეების მანძილზე საქართველოს სახელმწიფო ქმნიდა, ანუ, ქართველთა და აფხაზთა ისტორია ისტორიულ მატთანებასა და თქმულებებში წარმოდგენილი იყო, როგორც ერთიანი სახელმწიფოს ისტორია. ქართველთა მატთანებას აფხაზები საკუთარ მატთანედ, ვეფხისტყაოსანს და სხვა ლიტერატურულ შედევრებს

ისე თვლიდნენ საკუთარ ეროვნულ ფასეულობად, როგორც ქართველი - ის ამ კულტურის ნაწილად, ამ კულტურის მემკმნელად მოიაზრებდნენ თავს.

აფხაზეთში ბოლო საუკუნენახევრის მანძილზე მიმდინარე ისტორიულმა და სოციალურმა პროცესებმა მეცვალა აფხაზთა იდენტობის კონცეპტები, იმპერიის ინტერესით და მისი მხარდაჭერით, მეიცვალა მათიანე - გადაიწერა და დაიწერა ახალი ისტორია, მიექმნა ახალი ლეგენდები და თქმულებები, მესაძლოა ყალბი, მაგრამ ქართულისგან განსხვავებული.

მთელი XIX-XX საუკუნეების განმავლობაში და დღესაც რუსეთის იმპერია, აფხაზთათვის ქმნის ახალ იდეოლოგიურ ნარატივს, იდენტობის ახალ კონცეპტს, რომელიც ეფუძნება წარსულის გაყალბებას და ისტორიული სინამდვილის უგულვებელყოფას. იმპერიულმა მანქანამ საკითხისადმი სისტემური მიდგომისას ახალი ისტორიული კონცეპტის გავრცელების ყველაზე უნივერსალური მეთოდი აირჩია - გაყალბებული ისტორიების სწავლება ახალი სასკოლო სახელმძღვანელოების საფუძველზე. უკანასკნელ წლებში გამოცემულ სასკოლო სახელმძღვანელოებში, აფხაზეთი საქართველოსგან ისტორიულად მოწყვეტილად არის წარმოდგენილი. ეს ინფორმაცია მეთოდურად არის გათვლილი სასკოლო ასაკის მოსწავლეებზე, რითაც იმპერიას ქართველთა და აფხაზთა მორის გაუცხოების ახალი ელემენტები შეაქვს. ამ სახელმძღვანელოებით იმპერია ქმნის აფხაზი ეთნოსის იდენტობის ახალ კონცეპტს, რომელიც ეყრდნობა პიროვნულ, სოციალურ და ისტორიულ მიწარსს, პიროვნულ, სოციალურ და ისტორიულ პროცესებს.

**საკვანძო სიტყვები:** აფხაზი ეთნოსი, ქართველები, იდენტობა, ახალი კონცეპტი, იმპერია, გაუცხოება, სასკოლო სახელმძღვანელოები.

**Giorgi Loria**

*Sokhumi State University*

## **A New Concept of the Identity of the Abkhazian Ethnos**

When analyzing the issue of national identity, schools of thought emphasize personal and social identity, which are related to the determinants of collective identity. The identity of nations refers to how people answer the question “Who are you?” This question can be asked directly or indirectly, on a personal or collective level, to others, or to oneself. When defining identity, they emphasize its personal, social, and historical content, personal, social, and historical processes. Accordingly, personal, social, and historical processes contribute to the formation of identities. They retain for some time, but over time, social and historical processes affect

personal content and ensure the formation of new views, change the concepts of identity, and create new visions between the individual and relationships.

Although ethnic national identity is characterized by attachment to one's origin, history, tradition, culture, and language - and not necessarily to the state in which a person was born and lives, the concepts of a nation's identity change over time, and as we have mentioned, these changes are influenced by personal, social and historical processes.

For many centuries, the identity of the Abkhazians was historically connected with the solid unity that the state of Georgia had been creating over the centuries, that is the history of Georgians and Abkhazians was presented in historical annals and legends as the history of a united state. Abkhazians considered Georgian annals, "The Night in the Panther's Skin " and other literary masterpieces as their own national value, as a Georgian – He considered himself a part of this culture and a creator of this culture.

The historical and social ongoing processes in Abkhazia during the last century and a half have changed the concepts of the Abkhazian identity, with the interest of the empire and its support, the history has been changed - a new history has been rewritten and new legends and stories have been created, possibly false, but different from the Georgian one.

Throughout the 19th and 20th centuries, and even today, the Russian Empire creates a new ideological narrative, a new concept of identity, based on the falsification of the past and the neglect of historical reality. In its systematic approach to the issue, the imperial machine chose the most universal method of spreading the new historical concept - the teaching of falsified histories on the basis of new school textbooks. In the school textbooks published in recent years, Abkhazia is presented as historically separated from Georgia. This information is methodically targeted at school-aged students, thereby the empire is inputting new elements of alienation between Georgians and Abkhazians. With these textbooks, the empire creates a new concept of the identity of the Abkhazian ethnos, which is based on personal, social, and historical content, personal, social, and historical processes.

*Keywords:* Abkhazian Ethnos, Georgians, Identity, New Concept, Empire, Alienation, School Textbooks.



**გურამ მარხულია**  
*სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
გეოისტორიისა და გეოპოლიტიკის კვლევის  
კავკასიის საერთაშორისო ცენტრი*

### **რუსეთ-უკრაინის ომი და საქართველოს გეოპოლიტიკური უსაფრთხოების საკითხები**

რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებულმა მასშტაბურმა სამხედრო აგრესიამ, საქართველოს ისტორიული რეგიონების ოკუპაციამ და „დამოუკიდებელ სახელმწიფოებად“ აღიარებამ გამოიწვია საქართველოს საგარეო პოლიტიკის გადახედვა. საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის პრიორიტეტების მიხედვით, დღეს ქვეყნის პოლიტიკის მთავარი ამოცანა ოკუპირებული ტერიტორიების გათავისუფლებაა.

საქართველო, ხელსაყრელი გეოგრაფიული პოზიციიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანი გეოპოლიტიკური პოტენციალის კონცენტრირებას ახდენს. საქართველოთი დაინტერესებას მსოფლიო გეოპოლიტიკის ყველა მოთამაშე გამოხატავს. შეერთებული შტატები და რუსეთის ფედერაცია 30 წელზე მეტია, რაც საქართველოზე გავლენისთვის სასტიკ კონკურენციაში არიან.

საქართველო თანდათან ხდება ცენტრალური აზიისა და ევროპის დამაკავშირებელი საერთაშორისო სატრანსპორტო დერეფნის ცენტრალური აქტორი. უნდა აღინიშნოს, რომ ის მნიშვნელოვან როლს ასრულებს აბრეშუმის გზის ეკონომიკური სარტყლის პროექტში, რომელიც მომავალში მთელი ევრაზიის კონტინენტს დააკავშირებს.

სწორედ ამიტომ, აშშ-სთვის საქართველო მნიშვნელოვან გეოპოლიტიკურ როლს თამაშობს მსოფლიო ასპარეზზე. თუმცა, მიუხედავად ამ ყველაფრისა, დასავლეთი რეალურად ვერ დაეხმარა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების განთავისუფლების პოლიტიკაში. ნატოს სამხედრო-პოლიტიკური ბლოკის ქვეყნებმა ვერ გაბედეს საქართველოს ამ ორგანიზაციაში ჩართვა და უკრაინასაც უარი ეთქვა.

დასავლეთის არაგაბედულობამ განაპირობა რუსეთის ომი უკრაინის წინააღმდეგ, უკრაინაზე დღეს არა მხოლოდ საქართველოს, არამედ დასავლეთის ქვეყნების უსაფრთხოებაა დამოკიდებული.

მოხსენებაში ხაზგასმულია საქართველოს საგარეო პოლიტიკის გადაუდებელი ცვლილების აუცილებლობა, საქართველოსთვის პრიორიტეტი არ უნდა იყოს ნატომი ქვეყნის მესვლა, არამედ პირდაპირი გეოპოლიტიკური ალიანსი მეერთებულ მტატებთან ან დიდ ბრიტანეთთან, ასევე ერთ-ერთი ამ ქვეყნის სამხედრო ბაზების გახსნა საქართველოში, ეს ამ სახელმწიფოების ინტერესებშია.

*მოხსენების აქტუალობა* განპირობებულია მსოფლიო პოლიტიკით და საერთაშორისო ურთიერთობებში არსებული ვითარებით, განსაკუთრებით რუსეთის ომით უკრაინის წინააღმდეგ, ეს პირდაპირ ეხება საქართველოს უსაფრთხოებას, ვინაიდან რუსეთი თავის გეოპოლიტიკურ მიზნებში პრიორიტეტულად მიიჩნევს პოსტსაბჭოთა ქვეყნებს და ამას განიხილავს არა ცალ-ცალკე, არამედ ერთობლიობაში.

*მოხსენების მიზანია* საქართველოს გეოპოლიტიკური კონცეფციის განსაზღვრა და ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების პრიორიტეტების დადგენა.

უსაფრთხოების საკითხების, გეოპოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების მესწავლისას გამოვიყენეთ *ანალიზის სამეცნიერო მეთოდი*.

*მოხსენების მეცნიერული სიახლე* მდგომარეობს რუსეთ-უკრაინის ომის გეოპოლიტიკური მედეგების ანალიზში, ასევე საქართველოს სამეცნიერო და პოლიტიკურ წრეებში წარდგენილ იქნას წინადადება, რომ მეცვალონ ქვეყნის ნატომი გაწევრიანების საგარეო პოლიტიკური კონცეფცია ორმხრივ გეოპოლიტიკურ კავშირზე მეერთებულ მტატებთან ან ინგლისთან და ამ ქვეყნის საქართველოში სამხედრო ბაზების გახსნის უზრუნველყოფა.

**საკვანძო სიტყვები:** საქართველო, უკრაინა, უსაფრთხოება, ომი, ანექსია, ოკუპაცია.

**Guram Markhulia**

*Sokhumi State University, Caucasus International Center for Geohistory and Geopolitics Research (Georgia)*

### **Russia-Ukraine War and Geopolitical Security Issues of Georgia**

The large-scale military aggression carried out by the Russian Federation against Georgia, the occupation of historical regions of Georgia and recognition as "independent states" led to a review of Georgia's foreign policy. According to the priorities

of the national security policy of Georgia, the main task of the country's policy today is the liberation of the occupied territories.

Due to its favorable geographical position, Georgia concentrates significant geopolitical potential. All the players of world geopolitics express their interest in Georgia. The United States and the Russian Federation have been in fierce competition for influence over Georgia for more than 30 years.

Georgia is gradually becoming the central actor of the international transport corridor connecting Central Asia and Europe. It is important to note that it plays an important role in the Silk Road Economic Belt project, which will connect the entire Eurasian continent in the future.

That is why, for the USA, Georgia plays an important geopolitical role on the world stage. However, despite all this, the West could not actually help Georgia in the policy of liberating the occupied territories. The countries of the military-political bloc of NATO did not dare to include Georgia in this organization, and Ukraine also refused.

The lack of courage of the West led to Russia's war against Ukraine, the security of not only Georgia, but also Western countries depends on Ukraine today.

The report emphasizes the need for an urgent change in Georgia's foreign policy, the priority for Georgia should not be the country's entry into NATO, but a direct geopolitical alliance with the United States or Great Britain, as well as the opening of military bases of one of these countries in Georgia, this is in the interests of these states.

The relevance of the report is due to the world politics and the current situation in international relations, especially the Russian war against Ukraine, it directly affects the security of Georgia, since Russia considers the post-Soviet countries a priority in its geopolitical goals and considers this not separately but jointly.

The purpose of the report is to determine the geopolitical concept of Georgia and determine the country's national security priorities.

When studying security issues, geopolitics and international relations, we used the scientific method of analysis.

The scientific novelty of the report lies in the analysis of the geopolitical consequences of the Russia-Ukraine war, as well as a proposal to be submitted to the scientific and political circles of Georgia to change the foreign policy concept of the country joining NATO to a bilateral geopolitical union with the United States or England and ensuring the opening of military bases of this country in Georgia.

***Keywords:*** Georgia, Ukraine, Security, War, Annexation, Occupation.

## **ნინო მაშია**

*სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

### **სასოფლო-სამეურნეო ლექსიკა სიტყვაწარმოების თვალსაზრისით ქართულსა და მეგრულ-ლაზურში**

მოხსენებაში შესწავლილია სასოფლო-სამეურნეო ლექსიკა ქართულ და მეგრულ-ლაზურ ენებში, რომლებიც მიღებულია *აფიქსაციის გზით დერივაციის და კომპოზიტური წარმოებით. განვიხილოთ თითოეული ცალ-ცალკე.*

1. *აფიქსაციის გზით მიღებული ტერმინები სასოფლო-სამეურნეო ლექსიკაში.* აფიქსური სიტყვაწარმოება ორი საენათმეცნიერო დარგის - მორფოლოგიისა და ლექსიკოლოგიის - შესასწავლი ობიექტია: მორფოლოგია შეისწავლის დერივაციული აფიქსის სტრუქტურას, წარმომავლობას, მორფოლოგიურ თავისებურებებსა და კანონზომიერებებს, ხოლო ნაწარმოებ სიტყვათა ლექსიკურ-სემანტიკურ ჯგუფებს ლექსიკოლოგია სწავლობს. სახელები ორ ჯგუფად იყოფა: ერთი მხრივ, გვაქვს ძირეული ანუ პირველადი სახელები, მეორე მხრივ - მეორეული, ნაწარმოები და წარმოქმნილი სახელები.

მეგრულ-ლაზურ სასოფლო სამეურნეო ლექსიკაში აგებულიების მიხედვით გამოიყოფა: 1. მარტივი სიტყვები; 2. დერივაციის გზით მიღებული სიტყვები; 3. კომპოზიტური წარმოება; 4. შესიტყვებები ( სინტაგმები).

*მარტივ სიტყვებად* მივიჩნევთ იმ ლექსიკურ ერთეულებს, რომელთა დაშლა ამჟამინდელი ვითარების გათვალისწინებით ვერ ხერხდება: (ოჭი, კეკი, ყა, კალი, კეფი, ლეი)...

2. *დერივაციით ნაწარმოები სახელები.* დერივაციით ნაწარმოები სახელები ტრადიციულ სტრუქტურულ ერთეულებს წარმოგვიდგენენ: ა) პრეფიქსით ნაწარმოები სახელები, ბ) სუფიქსით ნაწარმოები სახელები, გ) პრეფიქს-სუფიქსით ნაწარმოები სახელები.

წარმოქმნილ ფორმათაგან ქართველურ ენობრივ ქვესისტემებში შედარებით მწირადაა წარმოდგენილი პრეფიქსული წარმოების ტერმინები. აქვე აღვნიშნავთ, რომ ზოგიერთ პრეფიქსს დროთა განმავლობაში დაჰკარგვია წარმოების უნარი და ორგანულადაა შეზრდილი შესაბამის ფუძეს (ნა-ხაფუ-ლი, „ნაფოტი“, ნა-ჩხვარუ „ღომის, ფეტვის ნაყანევი“, ნო- ყელა „ხის ტოტი“)...

ა) ოდენპრეფიქსული წარმოების გზით მიღებული სამეურნეო ტერმინები

მეგრულ-ლაზურში მწირადაა წარმოდგენილი. თავსართად მეგრულში გვაქვს ნა-/ნო- პრეფიქსიანი მიმღეობა, იგი ხშირ შემთხვევაში გასუბსტანტივებულია და გეოგრაფიულ ტერმინადაა ქცეული: ნა-ნწყვი (დაქცევა, ჩაძირვა), მღრ. ნო-ნწყვი, ნა-რტყი (გადაბარდული), მღრ. ნო-რტყი... ლაზურში გვაქვს ნო თავსართი: ნო-წყერი („ნაპობი“), ნო-ლივადე („ნაბოსტნევი“)...

ბ) *ოღენპრეფიქსიანი წარმოების* სახელებს ეკუთვნის კნინობითი და ქონების სახელები. კნინობითობას აწარმოებს მეგრულში - ია და - ა სუფიქსები, ხოლო ქონებას - ამ: ბურჭულ-ია, „პატარა წალდი“, კვეკვ-ია „პატარა ჩაქუჩი“, ტყა-ია | ტყე-ია - („პატარა ტყე, მღრ.: ტოპ. ტყაია“), ხოჯალ-ია - („პატარა ხარი“)... მეგრ. კვეკვ-ა („პატარა ჩაქუჩი“), ლაზ. ბალუნ-ა („პატარა ბეღელი“, აქ სუფიქსია უნ-ა), დერგულ-ა („პატარა დერგი“)... მეგრ. კაჟ-ამ-ი („კაჟიანი“), ყვა-კოპულ-ამ-ი (ოთკუთხა, ყუიანი თოხი), ტკი-ამ-ი („მეჭეჭიანი“), ბუსკურ-ამ-ი („მეჭეჭიანი“)...

გ) დერივაციით ნაწარმოებ ლექსიკაში ოღენპრეფიქსულ ან ოღენსუფიქსურ წარმოებასთან მედარებით გაცილებით დიდია პრეფიქსურ-სუფიქსური წარმოება:

ნა - ა: ნა-ხაჩქ-ა - „ნათოხნი“, ნა-თას-ა - („დათესილი“), ნა-კაკ-ა („საბატონო მიწა“) ნა-ღინკ-ა („აჭარილი სიმინდის ყანა“)...

ნა - უ (აწარმოებს წინავითარების სახელებს): ნა-ლაიტი-უ (სიმინდის ნაყანევი), ნა-ჩხვარ-უ (ღომის, ფეტვის ნაყანევი), ნო - ე (ლაზურში): ნო-ცინცხალ-ე (ნაპერწყალი), ნო-ცხუნ-ე (ნარჩევი).

3. *კომპოზიტიური წარმოება*. კომპოზიტიური სიტყვაწარმოება მეგრულ-ლაზურში, სხვა ქართველურ ენა-კილოთა მონაცემებთან ერთად, არაერთხელ ყოფილა ქართველ ენათმეცნიერთა კვლევის საგანი.

„კომპოზიტი თავიდანვე დამახასიათებელი ყოფილა ყველა ქართველური ენისათვის. მისი არსებობა შეინიშნება ფუძენის დონეზეც: \*უინ-ახ-ი „ვენახი“ > ძვ. ქართ. ვენახი, ზან. ბინო-ხი/ბინე-ხი, სვან. უენახ...“

კომპოზიცია, რომელიც სიტყვაწარმოების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საშუალებაა, ხშირად გვხვდება მეგრულ-ლაზურ სასოფლო-სამეურნეო ტერმინოლოგიაში.

მეგრულ-ლაზურში, ისევე როგორც ქართულში, სტრუქტურის მიხედვით გამოირჩევა: 1. რედუქლიცირებული კომპოზიტები; 2. ნაირფუძიანი კომპოზიტები.

რედუქლიცირებული კომპოზიტები ფუძის გაორმაგებით მიიღება. ნაირფუძიანი კომპოზიტების სტრუქტურაში არის ორი ან მეტი განსხვავებული ფუძე. მეგრულშიც და ლაზურშიც უფრო ხშირია ნაირფუძიანი კომპოზიტები, რომლებიც სხვადასხვა ტიპის ფუძეთა მეერთებით მიიღება.

ლაზური კომპოზიტებით მედარებით ღარიბია, რასაც თავისი საფუძველი აქვს. ჩვენს მიერ მოძიებულ მასალაში კომპოზიტებად მეტწილად გვაქვს მრომის იარაღების, ნიადაგების, მცენარეთა და ნათესების აღმნიშვნელი სახელები.

4. *შესიტყვებები (სინტაგმები) მეგრულ-ლაზურ სასოფლო-სამეურნეო ლექსიკაში ხშირია სიტყვათა შესიტყვება, რაც აზრთა შესიტყვებაცაა.*

იმისათვის, რომ მივიღოთ შესიტყვება, საკმარისი არ არის ყოველ სიტყვას ჰქონდეს ფორმა, აუცილებელია მათ ჰქონდეთ განსაზღვრული ფორმა, რომელიც მეხანძრება სხვა ფორმას და მოგვცემს შესიტყვებას, ბუნებრივს ამა თუ იმ ენისათვის.

**საკვანძო სიტყვები:** მეგრულ-ლაზური, აფიქსაცია, დერივაცია, ლექსიკა, სიტყვის წარმოება.

**Nino Mashia**

*Sokhumi State University*

### **The Megrelian-Laz Agricultural Vocabulary in Terms of Derivation**

The report examines the agricultural vocabulary in the Georgian and Magro-Lazian languages, which have been derived through affixation through derivation and composite production. Let's consider each one separately. In the Megrelian-Laz agricultural vocabulary the following groups can be distinguished according to their structure: Simple words: 1. Derivates; 2. Compounds; 3. Syntagms.

1. *Simple words represent lexical units*, which cannot be decomposed in the current situation: (ოჭი, კეკი, ყა, კალი, კეფი, ლეი) etc.

2. *Derivates represent traditional structural units*: a) names formed with prefix, b) names formed by suffix; c) words formed by prefix and suffix.

Terms formed by prefix are relatively scarce among the derivative forms of Kartvelian language subsystems. It is worth noting, that some prefixes have lost the ability to form the words throughout time and are organically integrated into the relevant root (ნახაფული „wood chips“, ნაჩხვერუ „harvested millet field“, ნოელა „a branch of a tree“, etc.

a) Agricultural terms formed through prefixal formation are scarce in Megrelian-Laz. In Megrelian we have ნა/ნო- prefix participle, which is substantiated in most cases and transformed into a geograohapixal term: ნაწყვი (spilling, sin-

king), cf. *ნონწყვი*, *ნა-რტყი* (covered with bushes), cf. *ნორტყი*... In Laz language a prefix *ნო* exists: *ნოწყვერი* „chopped“, *ნოლივადე* „the land formerly used as a vegetable garden“, etc.

b) Suffixed derivatives are diminutive and possessive names. Diminutive names are formed with -*ოა* and -*ა* suffixs, and possessive names with -*ამ*. *ბურ-ჭულ-ოა* „small bill-hook“, *კვეკვი-ოა* „a small hammer“, *ტყა-ოა* || *ტყე-ოა* „a small forest“ (cf.: Top. „Tittle bull“, etc. Megrelian *კვეკვი-ა* „a small hammer“, Laz *ბად-უნ-ა* (*უნ-ა* is a suffix), *დერგულ-ა* „a small clay pitcher-shaped jar“, etc. Megrelian *კჟამი* „flitty“, *ვაკოპულ-ამი* „square, the back of a hoe“, *ტკი-ამი* „warty“, *ბუცურ-ამი* „warty“, etc.

c) Prefix-Suffix formation is far larger in the vocabulary formed by derivation in comparison to prefixal and suffixal formations:

*ნა-ა*: *ნა-ხაჩქ-ა* - „dug area“, *ნა-თახ-ა* - „sowed area“, *ნა-კაკ-ა* („master's land, yard“), *ნა-ლინკ-ა* („cut up cornfield“)...

*ნა-უ* (forms names of precondition): *ნა-ლაიტ-უ* (the land previously used as a corn field), *ნა-ჩხვერ-უ* (the land previously used as a millet field), *ნა-ჭკიდ-უ* (the land previously used as a millet field).

*ნა-ე* (in Laz): *ნოცინცხალ-ე* (sparkle), *ნოცხუნ-ე* (picked)...

3. In Megrelian-Laz, just like in Georgian, the different models of a compound are distinguished. If the compounds formed through reduplication can be sporadically found (e.g. *ჩხვიჩხვი* „corn silk“, *დღუნდღუნბა* „the grape variety“, etc.), the compounds with a complex base formed by combining different types of bases are more frequent:

#### 4. A syntagm

Based on the research material, in the Megrelian-Laz agricultural vocabulary the following main types of a syntagm were distinguished: Megr.

adjective + noun: the most common form where a modifier gives an additional information about the head (the size, shape, color, taste, etc.).

**Keywords:** Megrul-Lazuri, Affixation, Derivation, Vocabulary, Word Production.

## **ლელა მირცხულავა**

*სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

### **თანამედროვე მასმედიისა და ლიტერატურის თავისებურება აფხაზეთში**

XXI საუკუნე - მედიაეპოქაა – როდესაც ადამიანები შეგრძნებებს რეალური ცხოვრებიდან კი არ იღებენ, არამედ ვირტუალური სივრციდან, მედიიდან, და ეს მეორადი გრძნობები იმდენად ყოვლისმომცველი ხდება, რომ იშლება ზღვარი რეალურსა და ირეალურს შორის; ამ პარადოქსულ პოსტულატშიც კი არის რაციონალურობა - ზღვა ინფორმაცია და არჩევანის თავისუფლება! არ გაუმართლათ ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრებ ადამიანებს, სადაც რუსეთის მიერ მხოლოდ ტერიტორიულ ოკუპაციას არ აქვს ადგილი, ოკუპირებულია სრულიად საინფორმაციო სივრცე, აქტიურად მუშაობს პროპაგანდისტული მანქანა და „სიმულირებული“ რეალობის ქვეშ მოქცეული ადამიანების გონება განსხვავებულ ლიტერატურულ ტექსტსაც კი არ „ცნობს“, ამიტომაც შეხვდებით დღეს აფხაზურ ლიტერატურულ სივრცეში ნაწარმოებებს, სადაც ბოროტების სიმბოლო, ურჩხული, მტერი, მხოლოდ ქართველი ხალხია; ამ დროს სრულიად განსხვავებული სიტუაცია გვაქვს ქართულ ლიტერატურაში, ომის შემდგომ, ომის დროს, თუ ომამდე დაბადებულ შემოქმედთა უმრავლესობა რეალობის მძაფრ სურათთან ერთად, ეძებს გზას, საშუალებას, ერთმანეთთან მშვიდობით დაბრუნებისათვის.

აფხაზური მედიასივრცე ახერხებს სივრცის ჩაკეტვას, საინფორმაციო ვაკუუმის შექმნას, ინტერნეტსივრცე, ბლოგები, ვლოგები, ფორუმები, ინტერნეტგამოცემები აქტიურად ავრცელებენ ინფორმაციას მათი, როგორც „სახელმწიფოს“ თავისუფლების ხარისხზე და ეს ყველაფერი უმეტესად რუსულ ენაზეა. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ომის შემდგომ წლებში აფხაზურ ლიტერატურულ პროცესში პუბლიცისტიკამ დაიკავა უმნიშვნელოვანესი ადგილი, ჟურნალისტიკამ შეძლო სწრაფი „რეაგირება“ და ფაქტების აღწერა, გამოიცა 50-ზე მეტი პუბლიცისტური წიგნი, აფხაზურ და რუსულ ენებზე (მეტი წილი რუსულ ენაზე), ერთგვარად დოკუმენტური პროზის ელემენტები გაჩნდა (რომლებიც, რა თქმა უნდა, მოკლებული არიან ობიექტურობას), თემა - ომი, ინტერვიუები, დღიურები, კვლევები, ყველა სტატია თუ გამოცემა ეძღვნებოდა



ომს და მტრის ხატის ამოცნობა ჩვენთვის რთული არ უნდა იყოს. განსაკუთრებული პასაჟი ჩრდილოეთ კავკასიის მოხალისეების „გმრობებს“ ეთმობა.

ამდენად, როგორც რიჩარდ ჰარისი აღნიშნავს: მასმედია „ეს არის არა მარტო „მაგიური ფანჯარა“, რომლის მეშვეობითაც ჩვენ ვუყურებთ სამყაროს, არამედ „კარები“, რომლის მეშვეობითაც იდეები აღწევს ჩვენს აზროვნებაში“; ხოლო ლიტერატურა, შესაძლოა, ომში არა, მაგრამ ომის შემდგომ მნიშვნელოვანი „იარაღი“ გახდეს, როგორც მშვიდობის, ასე კონფლიქტის გადავივების მხრივ; ამიტომ მნიშვნელოვანია სწორად და ღრმად იქნეს შესწავლილი და მეცნიერულად გაანალიზებული თანამედროვე აფხაზური ლიტერატურა, მასმედია და მისი გავლენა აფხაზეთში მცხოვრებ საზოგადოებაზე.

**საკვანძო სიტყვები:** მასმედია, ლიტერატურა, ინფორმაცია, საინფორმაციო ვაკუუმი, აფხაზური ლიტერატურა.

**Lela Mirtskhulava**

*Sokhumi State University*

### **Peculiarity of Modern Mass-media and Literature in Abkhazia**

The XXI century is a media epoch-when people is not getting their feelings from real life, but from the virtual space, from the media, and these secondary feelings is becoming so comprehensive that the border between the real and the unreal disappears; Even in this paradoxical postulate there is rationality - sea of information and freedom of choice! persons who is living in the occupied territory are not lucky, where not only territorial occupation takes place by Russia, totally informational space is occupied, The propagandistic machine is actively working and the minds of people under the „simulated“ reality do not even `recognize~ different literary texts, that's why you will meet works in the Abkhazian literary space today, where the symbol of evil, the monster, the enemy, are only the Georgian people; At this time, we have a completely different situation in Georgian literature, after the war, during the war, if the majority of creators born before the war, along with the harsh picture of reality, are looking for a way, a means, in order to return to each other with peace.

The Abkhazian media space manages to close the space, create an information vacuum, the Internet space, blogs, vlogs, forums, and Internet publications actively spread information about the quality of their freedom as a „state“ and all this is mostly in the Russian language. It should be noted here that in the years after the war, publicism has been occupied the most important place in the Abkhazian literary

process, Journalism has managed to fast `react~, and describe the facts, more than 50 journalistic books were published in Abkhazian and Russian languages (more in Russian language) In a way, the elements of documentary prose has appeared (which, of course, lack objectivity), Topic - war, interviews, diaries, studies, all articles or publications were devoted to war, and it should not be difficult for us to recognize the icon of the enemy. A special passage is dedicated to the „heroes“ of the North Caucasus volunteers.

Thus, as Richard Harris points out: mass media „is not only a „magic window“ through which we look at the world, but also a „door“ through which ideas reaches to our thinking; That's why it's important to study it properly and deeply and scientifically analyzed modern Abkhazian literature, mass media and its influence on the society living in Abkhazia.

*Keywords:* Media, Literature, Information, Information Vacuum, Abkhazian Literature, Occupation.

## Cultural Values of Abkhazia

Abstracts of the Second International Scientific Conference, December 8-9, 2022, Tbilisi

### აფხაზეთის კულტურული ფასეულობანი

მეორე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მოკლე შინაარსები  
2022 წლის 8-9 დეკემბერი, თბილისი

## მარიამ მირესაშვილი

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

### პოსტრავმული მეხსიერების მოდელები 2008 წლის აგვისტოს ომის ლიტერატურულ დისკურსში

თითქმის თხუთმეტი წელი გავიდა 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ; თუმცა ქართულ-ოსური ურთიერთობები, ზემოაღნიშნული ომის ქრილში, კვლავაც აქტუალური განხილვის საგნად რჩება არა მხოლოდ პოლიტიკოსებისთვის, არამედ ლიტერატორებისთვისაც. აგვისტოს ომის დრამატული მოვლენების ასახვას, ეთნიკური და კულტურული სტერეოტიპებისა თუ ფობების წარმოჩენას განსხვავებულ რაკურსში (როგორც დომინანტი, ასევე არადომინანტი ნარატივების სახით), არაერთი მწერალი შეეცადა; მათ შორის გამოვყოფდით ზაზა ბურჭულაძის („ადიბასი“) და ლაშა ბუღაძის („ლიტერატურული ექსპრესი“) რომანებს; თამთა მელაშვილის („გათვლა“), თამარ ფხაკაძის („ბოსტანი კონფლიქტის ეზოში, „გმირი“), ანა კორძაია-სამადაშვილის („მე მომკლეს, დე..“)... მოთხრობებს. აგვისტოს ომის თემას ზემოაღნიშნული ავტორები „შორიდან დანახული სიმართლით“ შეუერთდნენ. თუმცა, მწერლებს შორის არიან ისინიც, ვინც მოვლენათა ეპიცენტრში იმყოფებოდნენ, თავად გადაიტანეს ომის სიმძიმე და ტრავმული/პოსტრავმული მეხსიერების პრობლემა მათი შემოქმედების მაგისტრალურ ხაზად იქცა; მათ შორის, გიორგი სოსიაშვილის შემოქმედებას მოვიაზრებთ, რომელმაც არაერთი ნაწარმოები უძღვნა აღნიშნულ თემას, თუმცა, წინამდებარე სტატიაში ჩვენ მწერლის ბოლო მოთხრობების კრებულით - „ჩრდილების თეატრი“ - შემოვიფარგლებით.

ზოგადად, ქართულ ლიტერატურულ დისკურსში ტრავმული/პოსტრავმული მეხსიერების, როგორც საბჭოური მემკვიდრეობის გამოვლენის კვლევა, ძალზედ მნიშვნელოვანია. არაერთი მკვლევარი აღნიშნავს, რომ ოკუპაციას (საქართველოს ტერიტორიის 20% ოკუპირებულია) თან სდევს ტრავმული მეხსიერების ჩახშობის, „დავიწყების ნება“. ამ კონტექსტში ზემოთ დასახელებულ ავტორთა ნარატიული ტექსტები განიხილება როგორც „ისტორიული ამნეზიის“ წინააღმდეგ მიმართული ლიტერატურული წინააღმდეგობა,

რომელმაც, ერთი მხრივ, ავტორი/ნარატორი „იხსენებს“ და „გადააფასებს“ წარსულს და, მეორე მხრივ, წარმოაჩენს კოლონიზატორებისა და კოლონისტების ურთიერთობათა ამბივალენტურ ხასიათს. ქართველი მწერლები ერის კულტურულ/კოლექტიურ ტრავმად წარმოაჩენენ აგვისტოს ომს, რომელმაც კარდინალურად მეცვალა საქართველოს პოლიტიკურ-სოციალური ცხოვრების ფუნდამენტური პრინციპები, დაარღვია ადამიანთა მორის არსებული კავშირები, შეასუსტა სოციალური ერთობა.

სტატიის მიზნებიდან გამომდინარე, კვლევის სხვადასხვა მეთოდს მივმართავთ; კვლევას, ძირითადად, წარვმართავთ კომპარატივისტული მეთოდით; მედარებით-ტიპოლოგიური მეთოდი დაგვჭირდა გასაანალიზებელი ტექსტების დაჯგუფება-დანაწევრებისთვის; ასევე, ჯეროვანი ყურადღება დავუთმეთ ჰერმენევტიკულ მეთოდს, რადგან თავიანთ ნაწარმოებებში ავტორები მიმართავენ სახე-სიმბოლოებს, პარაბოლურობასა და დეკოდირებას.

**საკვანძო სიტყვები:** აგვისტოს ომი, პოსტტრავმული მეხსიერების მოდელები.

**Mariam Miresashvili**  
*Sokhumi State University*

### **Models of Posttraumatic Memory in the Literary Discourse of the August 2008 War**

Almost fifteen years have passed since the war of August 2008; however, Georgian-Ossetian relations, in the context of the above-mentioned war, continue to be a subject of topical discussion not only for politicians, but also for writers. Many writers have tried to depict the dramatic events of the August War, to present ethnic and cultural stereotypes or phobias in a different perspective (both in the form of dominant and non-dominant narratives). Among them, we highlighted the novels of Zaza Burchuladze („Adibas“) and Lasha Bugadze („Literary Express“); Stories by Tamta Melashvili („Calculation“), Tamar Pkhakadze („A vegetable garden in the yard of conflict“, „Hero“), Ana Kordzaia-Samadashvili („They killed me, mother...“). The above-mentioned authors joined the theme of the August war with `truth seen from afar". However, among the writers there are also those who were at the epicenter of the events, experienced the weight of the war themselves, and the problem of traumatic/post-traumatic memory became the main line of their creativity; Among them, we will consider the creativity of Giorgi Sosiashvili, who dedicated a number of works to the mentioned topic, however, in the present article, we will limit ourselves to the collection of the writer's last stories – „Theatre of Shadows“.

In general, the research of the identification of traumatic/post-traumatic memory as a Soviet heritage in the Georgian literary discourse is very important. A number of researchers point out that the occupation (20% of Georgia's territory is occupied) is accompanied by the suppression of the traumatic memory, the „will to forget“. In this context, the narrative texts of the above-mentioned authors are considered as a literary resistance against „historical amnesia“, in which, on the one hand, the author/narrator „remembers“ and „reevaluates“ the past, and, on the other hand, presents the ambivalent nature of the relations between colonizers and the colonized. Georgian writers present the August war as a cultural/collective trauma of the nation, which radically changed the fundamental principles of the political and social life of Georgia, broke the ties between people, weakened social unity.

Depending on the goals of the article, we will apply different research methods; We mainly conduct the research with a comparative method; We needed a comparative-typological method to group and divide the texts to be analyzed; Also, we paid special attention to the hermeneutic method, because in their works the authors refer to face-symbols, parabolicity and decoding.

***Keywords:*** August War, Models of Post-traumatic Memory.

## **ტიტე მოსია**

*სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

### **აფხაზი პოეტის ალექსი ჯონუას „მუჰაჯირის გამოთხოვება“**

არაბული სიტყვა „მუჰაჯირობა“ ნიშნავს „გადასახლებას“. ალექსი ჯონუას ლექსში ვეცნობით რუსი დამპყრობლების ვერაგული პოლიტიკის შედეგად მშობლიური კუთხიდან იძულებით აყრილი და თურქეთში გადასახლებული ათიათასობით აფხაზი ხალხის ერთი წარმომადგენლის სულიერ ტრაგედიას.

1867, 1877-1878 წლებში აფხაზთა გაუბედურებაში ადანაშაულებენ რუს დამპყრობლებს, თურქ ჯალათებს და ადგილობრივ გადაგვარებულ ფეოდალებს. XIX საუკუნის II ნახევარში აფხაზეთში დატრიალებულ ტრაგედიას საკუთარ უბედურებად აღიქვამდნენ იმდროინდელი ქართველი მოღვაწეები: ილ. ჭავჭავაძე, აკ. წერეთელი, გ. წერეთელი, ი. გოგებაშვილი, ს. მესხი, ი. მუნარგია და სხვ.

ალექსი ჯონუას 6-სტროფიან ლექსში „მუჰაჯირის გამოთხოვება“ სულის შემძვრელად არის გადმოცემული მუჰაჯირი აფხაზის (ზოგადად – აფხაზების) ტრაგიკული ხვედრი, სამშობლოს იძულებით განმორებული მწარე განცდები. მუჰაჯირის ტანჯული სულის მღელვარებას ნაპირზე ზღვის მრისხანებაც ერთვოდა თან, თითქოს თანაგრძნობისათვის. მუჰაჯირს არ სჯერა მამულში დაბრუნების, მაგრამ ღრმად სწამს მშობლიური აფხაზეთის მომავლისა, მკვდრეთით აღდგომისა.

ამ ლექსით ალ. ჯონუამ გვაზიარა თავის ეროვნულ-მოქალაქეობრივ მრწამსს და მკითხველიც აღწერილი ავი ამბების თანაგამცდელად გაიყოლია.

**საკვანძო სიტყვები:** აფხაზეთი, ალექსი ჯონუა, მუჰაჯირობა, რუსეთი, თურქეთი, გადასახლება, სულიერი ტრაგედია.

**„Farewell of Muhajeer“ by Abkhaz Poet Alex Jonua**

The Arabic word „muhajeer“ means „migrant“. In Alexy Dzhonua’s poem, we get acquainted with the spiritual tragedy of one of the representatives of tens of thousands of the Abkhaz people who were forcibly expelled from their homeland and resettled in Turkey as a result of the cruel policy of the Russian invaders.

In 1867, 1877-1878, Russian interventionists, Turkish executioners and local degenerate feudal lords were blamed for the Abkhaz misfortune. Georgian figures of that time perceived the tragedy in Abkhazia in the second half of the 19th century as their own misfortune: Ilia Tchavtchavadze, Akaki Tsereteli, Giorgi Tsereteli, Iakob Gogebashvili, Sergei Meskhi, Iona Meunargia and others.

A. Jonua’s six-stanza poem „Farewell of Muhajeer“ touchingly conveys the tragic fate of the Abkhaz Muhajir (Abkhazians in general), the bitter experiences of those forcibly separated from their homeland. The fury of the sea on the shore was combined with the excitement of the suffering soul of the Muhajir, as if for sympathy. Muhajir does not believe in returning to his Homeland, but deeply believes in the future of his native Abkhazia, the resurrection from the dead.

With this poem A. Jonua shared with us his national civic convictions and made the reader a co-experimenter of the described history.

**Keywords:** Abkhazia, Alexi Jonua, Emigration, Russia, Turkey, Exile, Spiritual Tragedy.

### **მამუკა ნაცვალაძე**

*სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

#### **ერეკლე II-ის 1792 და 1795 წლების უცნობი ავსტრიული ელჩობების ფრაგმენტები ევროპის საარქივო მასალებში**

წინამდებარე კვლევა არის ისტორიოგრაფიაში პირველი პრეცედენტი აჩვენოს ქართლ-კახეთის მეფის ერეკლე მეორის ევროპასთან დიპლომატიური ურთიერთობის კვალი 1783 წლის ტრაქტატის დადების შემდეგ. აქამდე მიჩნეული იყო, რომ ერეკლე მეორეს ბოლო კონტაქტი ევროპასთან 1782 წელს ჰქონდა, 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატით მტკიცედ დაადგა რუსეთთან ურთიერთობის გზას და დასავლეთთან კავშირის ძიება აღარ გაუგრძელდება.

ჩვენი კვლევის შედეგები ცალსახად არღვევს ამ დამკვიდრებულ სტერეოტიპებს და ადასტურებს, რომ ერეკლე მეორე გეორგიევსკის ტრაქტატის დადების შემდეგ სულ მცირე ორგზის - 1792 და 1795 წლებში აგზავნის ელჩობას ავსტრიის საიმპერატორო კარზე კონკრეტული დიპლომატიური მიზნით.

ვენის არქივში დაცული ერეკლე მეორის წერილის იტალიური თარგმანი, რომელიც 1979 წელს პროფესორმა ილია ტაბალუამ გამოაქვეყნა, სენსაციურ საიდუმლოს ინახავს. ამ წერილში ჩვენ მივაგენით უნიკალურ პლასტს, რომლითაც დასტურდება, რომ 1795 წლის კრწანისის ტრაგედიის შემდეგ ერეკლე მეორე დაუკავშირდა ევროპას. კვლევისა და ანალიზის შედეგად, ადრე ერთ წერილად მიჩნეულ დოკუმენტში, კერძოდ, ერეკლე მეორის წერილის იტალიურ თარგმანში, სხვადასხვა პლასტი შევნიშნეთ, რომელიც ერთმანეთისგან მნიშვნელოვნად დაცილებულია ქრონოლოგიური თვალსაზრისით.

ამ ცალკეული პლასტების შესწავლამ მიგვიყვანა დასკვნამდე, რომ კრწანისის ტრაგედიის შემდგომ, 1795 წელს, ერეკლეს ელჩობა ვენაში ჩავიდა და იმპერატორს წერილი გადასცა. მეცნიერების მიერ ერეკლეს ერთ წერილად მიჩნეულ იტალიურ თარგმანში, რომელიც 1782 წლით თარიღდება, პირველი ეჭვი გააჩინა ფრაგმენტმა, სადაც მითითებულია, რომ „ამ დღეებში აღმოსავლეთის სამეფო რეზიდენცია მთლიანად დაანგრის.“ საგანგებოდ განვმარ-



ტავთ, რომ ის, რაც მეიძლება მივიჩნიოთ აღმოსავლეთის სამეფო რეზიდენ-  
ციად, ამ რანგის ქალაქის დანგრევის ფაქტი XVIII ს-ის 80-იან წლებში არ დას-  
ტურდება. მესაბამისად რჩება ერთადერთი ვარიანტი - უნდა ვადიაროთ, რომ  
ერეკლე საუბრობს ალა მაჰმად ხანის მიერ 1795 წლის თბილისის დანგრევა-  
ზე, 13 წლის შემდგომ მომხდარ ტრაგედიაზე. ფაქტია ისიც - 1782 წელს ერე-  
კლე ვერ დაწერდა 1795 წლის მოვლენების მესახებ.

ჩვენ მივედით იმ დასკვნამდე, რომ ერეკლეს წერილის იტალიური თარგ-  
მანი, რომელიც ავსტრიის იმპერატორის კანცელარიამ ერეკლეს გზავნილე-  
ბის საფუძველზე მოამზადა, არის არა ერთი წერილი, არამედ სულ მცირე  
ორი წერილის კომპილაცია. უმნიშვნელოვანესი დეტალია, რომ აღნიშნული  
იტალიური თარგმანის ადრესატია ზოგადად ავსტრიის იმპერატორი, არაა  
პერსონიფიცირებული რომელი იმპერატორისთვისაა განკუთვნილი წერი-  
ლი, ამასთან თარგმანს არც კონკრეტული თარიღი აქვს.

სტატიამი განხილულია ერეკლეს მიერ 1795 წლის გვიან შემოდგომაზე  
ავსტრიის იმპერატორთან გაგზავნილი ელჩობის მიზნები, ასევე ამ წერილის  
სხვა საყვედრო პლასტები, რომელიც ცალსახად ადასტურებს, რომ წერილის გა-  
რკვეული ფრაგმენტები 1795 წელსაა დაწერილი. ეს კი იმას ნიშნავს, რომ  
1795 წლის გვიან შემოდგომაზე ავსტრიასა და ქართლ-კახეთის სამეფოს მო-  
რის დიპლომატიური კავშირი მედგა. ეს ფაქტი აქარწყლებს ისტორიოგრა-  
ფიამი დღემდე დამკვიდრებულ მოსაზრებას, რომ 1795 წელს ალა მაჰმად  
ხანის მიერ თბილისის აოხრების შემდეგ ერეკლე მეორემ უპირობოდ აიღო  
რუსეთისაკენ გეზი.

კითხვას ტოვებს წერილის საყვედურის ტონით დაწყება და ავსტრიის იმ-  
პერატორის დამუნათება. არ მიგვაჩნია სადავოდ ის ფაქტი, რომ არც საყვე-  
დურითა და არც დამუნათებით არანაირი ურთიერთობა, არც ადამიანური და  
მით უფრო დიპლომატიური, არ იწყება.

1795 წელს ერეკლეს მიერ ვენაში გაგზავნილი მეოთხე ელჩობის ადრესა-  
ტი იმპერატორი ფრანც მეორეა, რომელსაც საყვედურით მიმართავს ერეკ-  
ლე. ბუნებრივია, ამ საყვედურის მიზეზი ცალსახად პირადად ფრანც მეორის  
ქმედებაში უნდა ვეძიოთ. ამკარაა - რაღაც მოხდა ისეთი, რამაც ერეკლეს გუ-  
ლისწყრომა გამოიწვია.

ჩვენ კატეგორიულად გამოვრიცხავთ იმ ფაქტს, რომ ერეკლეს ფრანც მეო-  
რისთვის მისი წინამორბედის საქციელის გამო ესაყვედურა, რაც ვერც  
დიპლომატიური და ვერც ადამიანური ეთიკითა თუ ლოგიკით ვერ აიხსნება.  
მესაბამისად, დადგენილ ფაქტად უნდა მივიჩნიოთ ის, რომ ერთი და იგივე  
იმპერატორი მართავს ავსტრიას როგორც 1795 წლის მეოთხე ელჩობისას,

ასევე მესამე ელჩობისას. ანუ, ერეკლეს ადრესატი ვენამი ორივე უცნობი ელჩობისას უნდა ყოფილიყო ერთი და იგივე პიროვნება.

რამდენადაც 1795 წელს ავსტრიის იმპერატორი ფრანც მეორეა, სწორედ ის უნდა ვიგულისხმობთ ქართლ-კახეთის სამეფოდან გაგზავნილი მესამე ევროპული ელჩობის ადრესატად. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ფრანც მეორე ავსტრიის იმპერატორის ტახტზე ადის 1792 წლის 14 ივლისს, ერეკლეს მიერ ავსტრიაში მესამე ელჩობის მივლინება სწორედ ამ თარიღის შემდგომ უნდა ვივარაუდოთ.

რაც მეუბნება ელჩობის თარიღის განსაზღვრის ზედა ზღვარს, არსებობს გარემოებები, რაც მესამე ელჩობის თარიღის უფრო მეტი დაზუსტების სამუალებას იძლევა. ჩვენი ყურადღება მიიპყრო 1793 წელს გერმანიაში, კერძოდ ფლენსბურგსა და ლაიპციგში დაბეჭდილმა წიგნმა „პრინცი ჰერაკლესა და საქართველოს თანამედროვე მდგომარეობის მოკლე ისტორია“, რომლის ოფიციალურ გამომცემლად მიჩნეულია ჰერმან ჰენრიგსი. წიგნის მესავალში გამომცემელი უთითებს, რომ ერეკლე მეორის მესახებ ცნობები გრაფმა იეკიმ მიაწოდა, რომელიც თავის მხრივ ელიას ჰაბესკის სახელით იყო ცნობილი. როგორც გერმანელი, ისე ქართველი მეცნიერები მიიჩნევენ, რომ ელიას ჰაბესკი იაკობ რაინეუსის ფსევდონიმია.

თავიდანვე უნდა ვთქვათ, რომ რადგანაც იეკე, იგივე ელიხი, იგივე რაინეუსი, ცალსახად სანქტ-პეტერბურგის საიმპერატორო კარის დადასტურებული აგენტია; რადგანაც მისი ცხოვრების წესი გახლავთ ინსპირირება და რუსეთის იმპერიის დავალებების შესრულება, რადგანაც ის ცდილობს მენიღბოს საკუთარი თავი და კიდევ ერთი ფსევდონიმით, იეკეთი წარუდგინოს თავი ევროპული საზოგადოებას, სწორედ ამ კონტექსტიდან უნდა განვიხილოთ ის მოტივაცია, რაც მას ერეკლე მეორეზე მედგენილი წიგნის გერმანიაში გამომცემისას უნდა ჰქონოდა.

ფაქტია, რომ ეს წიგნი რაინეუსს რაღაც კონკრეტული მიზნით სჭირდება, ამას საქმისადმი მისი მიდგომა გვაფიქრებინებს. ჩვენი აზრით, გამორიცხულია რაინეუსს უანგარო დამოკიდებულება ჰქონდეს ერეკლე მეორის მესახებ წიგნის გამომცემისას. მისი მიზანი არ გახლავთ ერეკლესა და საქართველოს პოპულარიზაცია ევროპაში, როგორც ამას მთელი რიგი მეცნიერები თვლიან. ასე რომ იყოს, ვფიქრობთ, საკუთარი სახელისა და ფსევდონიმების დამაბნეველი კასკადი არ გახდებოდა მისთვის საჭირო და საქართველოში ცნობილ ფსევდონიმს რაინეუსი არ დამალავდა. ცალსახაა, რომ მას კონკრეტული დავალება აქვს, რის გამოც ის ირჩევს მრავალჯერადი ინსპირირების ტაქტიკას.

ძალიან სახასიათო დეტალია, რომ წიგნი ჰერმან ჰენრიგსმა გამოსცა, რომელიც უთითებს, რომ ის ამ წიგნის მინაარსთან მიმართებაში არაფერ

მუამია და ერეკლეზე მოწოდებული ცნობების სიზუსტეზე პასუხისმგებლობას სულ სხვა პირს, კერძოდ იეკეს აკისრებს.

იეკე, იგივე ელიას ჰაბესკია, თავის მხრივ ელიას ჰაბესკის საქართველოში რაინეგის სახელით იცნობენ. სწორედ ეს ოთხდონიანი ინსპირირება ბაღებს საფუძვლიან ეჭვს, კერძოდ - ამ წიგნის გამოცემა ხომ არ უკავშირდება ერეკლეს მესამე ელჩობას ვენამი?

მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ჰაბსბურგებს, ვენის საიმპერატორო კარს რაინეჟსმა კონკრეტული ცნობა მიაწოდა, რომ ერეკლე ახალგაზრდობაში პრუსიის ჯარში მსახურობდა და იბრძოდა მარია ტერეზიას, ავსტრიის იმპერატორის წინააღმდეგ. თუკი გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ ავსტრიელთათვის პრუსია დაუძინებელი მტერია, ერეკლეს სამხედრო ასპარეზი მოწინააღმდეგის ბანაკში ავსტრიელთა წინააღმდეგ არ უნდა მიეღოთ უემოციოდ და არ უნდა ჩაეთვალათ უმნიშვნელო მოვლენად. არც ის უნდა გამოვრიცხოთ, რომ სწორედ ამ ცნობას მეექმნა ის ფსიქოლოგიური გარემო, რამაც უარყოფითად იმოქმედა ელჩობის საბოლოო მედეგზე.

სასურველი გზავნილის პარალელურად, რაინეჟსი არ იმურებს ერეკლეს მიმართ კომპლიმენტებს, რაც ერთი მეხედვით თითქოს ქართლ-კახეთის მეფისადმი სიმპათიას უნდა ადასტურებდეს, არადა მისი მთავარი მიზანი ერეკლესა და მამამისის დისკრედიტაციაა. რაინეჟსი წერს: „თეიმურაზ II ნაკლებად ზრუნავდა ერეკლეს განათლებაზე და ამჯობინებდა დღეები უსაქმურობასა და გარყვნილებაში გაეტარებინა“. საკითხავია, რამი სჭირდება რაინეჟსს თეიმურაზის დისკრედიტაცია? რატომ მოიხსენიებს ის ერეკლე მეფის მამას როგორც უსაქმურსა და გარყვნილს?

საქმე ისაა, რომ ერეკლე მეორის მთავარი გზავნილი, რომ მხარს უჭერს და სურს ბერძნული პროექტის განხორციელებაში მიიღოს მონაწილეობა, არსებობს კიდევ ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი გზავნილი, რომ ბერძნული პროექტის პარალელურად უნდა განიხილონ და დაიწყონ „სპარსული პროექტის“ განხორციელება, რაც ბერძნული პროექტის მედეგად გათვალისწინებული ღონისძიებების უსაფრთხოების მთავარი პრევენციაა. სწორედ ეს სპარსული პროექტია მემუმავებული, რაინეჟსის თქმით, უსაქმური და გარყვნილი თეიმურაზის მიერ, მესაბამისად აქ ცალსახა ქვეტექსტია მნიშვნელოვანი - არ ღირს უსაქმური და გარყვნილი ხელისუფალის პოზიცია იყოს განხილული სერიოზულად.

საგულისხმოა, რომ ეს თხზულება სამუალებას გვაძლევს ვივარაუდოთ არა მარტო ერეკლეს მესამე ელჩობის წარუმატებლობის მიზეზი, არამედ დავადგინოთ ელჩობის თარიღი. რამდენადაც წიგნი 1793 წელს გამოდის, ცხადია რომ ელჩობა უნდა მემდგარიყო 1792 წლის ივლისსა და 1793 წლების

შუალედში. რამდენადაც წიგნის გამოცემა არ ხდებოდა ოპერატიულად, მესაბამისად ვფიქრობთ ერეკლეს მესამე ელჩობა ვენაში ყველაზე გვიან 1792 წლის მიწურულს უნდა გაეგზავნა. სწორედ ერეკლეს ამ ელჩობის გაგზავნის შემდეგ უნდა გადაწყვეტილიყო რაინექსის მიერ წიგნის გამოცემა სასწრაფოდ, რათა ხელი შეემალა ავსტრიულ-ქართული დიპლომატიური ალიანსისათვის.

ამრიგად, ერთი მხრივ, ერეკლე II-ის მიერ ავსტრიის იმპერატორისათვის გაგზავნილი სხვადასხვა წერილების იტალიური თარგმანის კომპილაციები და მეორე მხრივ, ევროპის იმ პერიოდის პოლიტიკური სიტუაცია, კერძოდ, ავსტრიის იმპერიისა და ქართლ-კახეთის სამეფოს იდენტური საგარეო პოლიტიკური მიზნების ერთობლიობა ცალსახად ადასტურებს, რომ:

1. რუსეთის მხრიდან გეორგიევსკის ტრაქტატის პირობების დარღვევის შემდეგ ერეკლე II ავსტრიის იმპერატორთან აგზავნის ორ ელჩობას – ჯერ 1792 წელს, შემდეგ კი 1795 წელს.

2. ევროპაში გაგზავნილი 1781 და 1782 წლების წინა ორი ელჩობის დაფარული მიზნებისაგან განსხვავებით, 1792 და 1795 წლების ელჩობების მიზანი აბსოლუტურად ღიაა – ფიცის დადება და ხანგრძლივი თანამშრომლობა ავსტრიის, იგივე საღვთო რომის იმპერიასთან;

3. ერეკლეს მიერ ავსტრიის იმპერატორთან 1792 და 1795 წლის ელჩობების გაგზავნის ფაქტი კატეგორიულად უარყოფს საბჭოურ ისტორიოგრაფიაში დამკვიდრებულ მოსაზრებას, რომლითაც თითქოს ერეკლე II-ს აკვიატებული ჰქონდა იდეა, რომ საქართველოს გადარჩენის ერთადერთი გზა რუსეთზე გადიოდა;

4. მას შემდეგ რაც 1785 და 1787 წლებში რუსეთმა დაარღვია 1783 წლის ტრაქტატის პირობები და არ შეასრულა ნაკისრი ვალდებულებები, ერეკლე II ცდილობდა მისი სამეფო დამოუკიდებლად გადაექცია ევროპული პოლიტიკის ორგანულ ნაწილად;

5. XVIII საუკუნის 70-80-იან წლებში ერეკლე ცდილობდა აქტუალური ბერძნული პროექტის ფარგლებში განემტკიცებინა ურთიერთობა ავსტრიასთან, რომლის პოლიტიკურ ინტერესებთან ყველაზე მეტი თანხვედრა იყო;

6. 1792 და 1795 წლების ელჩობების მიზანი იყო ბერძნული პროექტის – გლობალიზაციის მოდელის, როგორც მაჰმადიანური გარემოცვისგან უსაფრთხოების პრევენციის გააქტიურება, რაც ევროპის გადანაწილების ერეკლესული ვერსიის შესაბამისად, მესაძლებელია განხორციელებულიყო მხოლოდ ბერძნული პროექტის სპარსულ პროექტთან თანხვედრამი. სწორედ ამ კონკრეტულ მიზანს უნდა ემსახურებოდეს 1792 და 1795 წლებში ავსტრიის იმპერიისათვის მეთავაზებული ფიცის, იგივე ხელშეკრულების დადება;

7. ავსტრიის საიმპერატორო კარი განსაკუთრებულად დაინტერესებული იყო ქართლ-კახეთის სამეფოსთან ურთიერთობით, მესაბამისად ერეკლეს წინადადებები განიხილებოდა საიმპერატორო კარის კანცელარიის მიერ მომზადებული კომპილაციური მასალით;

8. ავსტრიის იმპერატორი, რომელიც ამავდროულად საღვთო რომის იმპერატორიც იყო, ცდილობდა ფაქტობრივად უფუნქციო რელიგიური პოლიტიკური სეგმენტის გერმანელი ერის საღვთო რომის იმპერიის სტატუსის გამოყენებას, მესაბამისად მისთვის აქტუალური იყო ერეკლეს წინადადება;

9. წინამდებარე კვლევის მედეგად გამოვლენილი ერეკლე II-ის მიერ ავსტრიის იმპერატორთან გაგზავნილი დღემდე უცნობი ორი ელჩობის ფაქტი ცალსახად მიუთითებს XVIII საუკუნის II ნახევრის საქართველოს საგარეო პოლიტიკური ისტორიის ფუნდამენტალურად გადახედვის აუცილებლობას.

**საკვანძო სიტყვები:** ერეკლე II, ავსტრიული ელჩობები, უცნობი, საარქივო მასალები, საქართველო, საგარეო პოლიტიკა, XVIII საუკუნე.

**Mamuka Natsvaladze**  
*Sokhumi State University*

### **Fragments of Erekle II's Unknown Austrian Ambassades of 1792 and 1795 in European Archives**

This study is the first precedent in historiography to show the traces of diplomatic relations between the King of Kartli-Kakheti Erekle II with Europe after the conclusion of the treaty of 1783. Until now, Erekle II was believed to have final contact with Europe in 1782. He chose the relations with Russia by the Treaty of Georgievsk in 1783 and had no contact with the West any more.

The results of our study break the established stereotypes and prove that after concluding the Treaty of Georgievsk, Erekle sent at least two Ambassades, in 1792 and 1795, to the Imperial Court of Austria with a certain diplomatic goal.

The Italian translation of Erekle the Second's letter maintained in the archive of Vienna which was published in 1979 by Professor Ilia Tabaghua, reveals a sensational secret. In this letter we found a unique layer unveiling the fact that after the Krtsanisi tragedy suffered in 1795 Erekle the Second addressed Europe. In the course of studies and analyses we came across several layers in one document that had been considered to be one letter, namely, in the Italian translation of Erekle II's

letter; chronologically these layers turned out to be significantly different from one other.

Further studies conducted regarding the aforementioned layers made us conclude that in 1795, after the Krtsanisi tragedy, Erekle the Second's ambassadors arrived to Vienna and handed the letter to the Emperor of Austria. In the Italian translation of a document written by Erekle the Second that had been considered by scientists to be one single letter (dated 1782), the fragment saying „in these days the king's residence in the East was totally destroyed“ caused the first suspicion.

We want to especially underline the circumstance that there is no evidence of destroying any city or a town that could be considered to be the eastern residence of the king, found in the 80-ies of the XVIII century. Therefore, there is only one way left – we should accept it that Erekle the Second is speaking about the fact of Agha Mohammad Khan destroying Tbilisi in 1795 – the tragedy that took place 13 years later. It is another fact that in 1782 Erekle the Second had no means to write about the events that would have taken place in 1795.

And thus, we have come to the conclusion that the Italian translation of Erekle's letter prepared by the chancellery of the Emperor of Austria based upon the letter sent by Erekle, is not a single letter but a compilation of at least two letters written by the King. We should give due significance to the fact that the mentioned Italian translation does not contain any specific personalized addressee but is addressed to the Emperor of Austria, not revealing to which of the Emperors it addresses namely. The translation does not contain any concrete date either.

The article provides review of the purposes and goals of the ambassadorial mission of late fall of 1795 sent by the king Erekle to the Emperor of Austria as well as other layers of the above mentioned letter that cause suspicion and unambiguously confirm that certain fragments of the letter are written in 1795 which on its part confirms that in the late fall of the year 1795 a diplomatic communication took place between the Austrian Empire and the Kingdom of Kartli and Kakheti.

The referred fact annuls the view established in historiography up today that Erekle the Second unconventionally turned to Russia after Agha Mohammad Khan brought Tbilisi to earth in 1795.

The fact that the letter starts with reprimand and reproach towards the Emperor of Austria also raises a question. It is undisputed that no relationship, neither human nor diplomatic, starts with a reprimand or reproach.

The addressee of the Ambassade sent by Erekle to Vienna in 1795 is the Emperor Frantz II. Erekle reproaches to the latter. Naturally, the reason for this reproach should be definitely sought in the actions of Franz II himself. Obviously, something happened that caused the indignation of Erekle.

We rule out categorically that Erekle reproached Franz II for the behavior of his predecessor, which cannot be explained by either diplomatic or human ethics or

logic. Accordingly, it should be considered an established fact that the same emperor ruled Austria during both the fourth and second Ambassades of 1795.

Accordingly, it should be considered as an established fact that one and the same emperor ruled Austria during the fourth (1795) and third Ambassades. Hence, the addressee of Erekle must have been the same person during the two unknown Ambassades to Vienna.

As Emperor Franz II was the Emperor of Austria in 1795, he should be considered as the addressee of the third European Ambassade sent from Kartli-Kakheti. Considering that Franz II ascended the throne of the Austrian Empire on July 14, 1792, we have to assume that Erekle sent the third Ambassade to Austria after the referred date.

The book „A Brief History of Prince Erekle and the Modern State of Georgia“, published in Germany in 1793, in Flensburg and Leipzig, the official publisher Herman Henrigs, attracted our attention. In the introduction of the book, the publisher indicates that the data about Erekle II was provided by Count Veck, also known as Elias Habeski. Both German and Georgian scientists believe that Elias Habeski is the pseudonym of Jacob Reinex.

We have to specify in advance that the motivation of the book composed about Erekle and published in Germany by Ieke, alias Ellich and Reinex shall be reviewed within the context that Ieke is a confirmed agent of the Imperial Court of St. Petersburg; his way of life is to inspire and carry out the tasks of the Russian Empire. Accordingly, he tries to disguise himself under another pseudonym and introduces himself to the European community with the name of Ieke.

The fact is that Reinex needs this book for a specific purpose, its approach to the matter proves our assumption. In our opinion, Reinex cannot be unbiased when publishing a book about Erekle II. His goal is not to popularize Erekle and Georgia in Europe, as a number of scientists believe. If it were true, the confusing cascade of his own name and pseudonyms would not have become necessary for him and Reinex would not have hidden his famous pseudonym in Georgia. Obviously, he has a specific task, so he chooses several inspiration tactics. A very characteristic detail is that the book was published by Herman Henrigs. Though, the latter abdicates the responsibility for the content of this book and places the whole responsibility for the accuracy of the information provided about Erekle on a completely different person, in particular Ieke. Ieke is the same as Elias Habeski, in turn Elias Habeski is known in Georgia as Reinex. This four-layer inspiration raises reasonable doubts, in particular, whether the publication of this book is associated with the third Ambassade of Erekle sent to Vienna.

More important aspect is that the Habsburgs, the Imperial Court of Vienna, received certain information from Reinex that Erekle served in the Prussian army in his youth and fought against Maria Theresa, the Emperor of Austria. Taking into

account the fact that Prussia is an archenemy of the Austrians, Erekle's activities in the camp of the enemy directed against the Austrians should be neither accepted without any emotions nor considered as an unimportant event. It should not be ruled out that the referred notification carried the psychological importance making effect on the final outcomes of the Ambassade.

In parallel with the desired message, he gives compliments to Erekle unsparingly, proving the sympathy for the king of Kartli-Kakheti at first glance, though his main goal is to discredit Erekle and his father. Rynex writes: [Teimuraz II] „cared little about Erekle's education and preferred to spend his days in idleness and debauchery“... The question is, why Rainex needed to discredit Teimuraz? Why did he call King Erekle's father idle and depraved?

Erekle II's main message contains the idea that he supports and wants to take part in the implementation of the Greek Project. There is another important message that the „Persian Project“ should be considered and developed in parallel with the Greek Project. The „Persian Project“ is the main security prevention for the measures taken as a result of the Greek Project.

According to Reinix, the Persian Project is developed by the idle and depraved Teimuraz. Accordingly, an unambiguous subtext is of paramount importance here - the position of an idle and depraved ruler should not be taken seriously.

This work allows us to assume not only the reason for the failure of Erekle's third Ambassade, but also to determine the date of the Ambassade itself. Taking into account that the book was published in 1793, the Ambassade should have taken place in July 1792 and 1793. As the book was not published immediately, we believe that the third Ambassade of Erekle should have been sent to Vienna at the end of 1792. An immediate publication of Renix's book, in order to prevent an Austrian-Georgian diplomatic alliance, was decided after sending the referred Ambassade.

Thus, on the one hand, the compilation of Italian translation of various letters sent by Erekle II to the Emperor of Austria, and on the other hand, the political situation in Europe of that time, in particular, the combination of identical foreign policy goals of the Austrian Empire and the Georgian Kingdom prove following:

1. Erekle II sent two Ambassades to the Emperor of Austria in 1792 and 1795, after Russia violated the terms of the Treaty of Georgievsk;

2. Unlike the secret goals of the previous two Ambassades sent to Europe in 1781 and 1782, the goal of the Ambassades of 1792 and 1795 is absolutely open and unequivocal - to take an oath and have a long term, business relationship with Austria and the Holy Roman Empire;

3. Two Ambassades sent by Erekle to the Emperor of Austria in 1792 and 1795 totally refute the idea existing in Soviet historiography, in particular, as if Erekle II considered Russia to be the only savior of Georgia;



4. Erekle tried to make the Kingdom an organic part of the European politics independently after Russia violated the terms of the Treaty of Georgievsk in 1785 and 1787;

5. Erekle attempted to strengthen relations with Austria within the framework of the „Greek Project“ existing in the 70-80-ies of the XVIII century as the political interests of the latter coincided with Georgian ones;

6. The aim of the Ambassadors (1792 and 1795) was to activate the Greek Project, as the model of Christian globalization, a prevention from the Muslim environment. According to the version of European redistribution developed by Erekle, the above stated goals could only be implemented in combination with the Greek and Persian Projects. The oath, alias the concluded treaty proposed to the Austrian Empire might have served the referred goal;

7. The Imperial Court of Austria was interested in having relations with the Kingdom of Kartli-Kakheti. Accordingly, the proposals of Erekle II were considered based on the compilation material prepared by the Chancellery of the Imperial Court;

8. The Emperor of Austria, who was also the Emperor of the Holy Roman Empire, tried to use the reserves of the nonfunctional religious and political segment of the „Holy Roman Empire“. Therefore, Erekle’s proposal was important to him.

9. The two unknown Ambassadors, revealed by the present study, sent to the Emperor of Austria by Erekle II indicates the necessity for a fundamental revision of the history of Georgian foreign policy for the second half of the XVIII century.

**Keywords:** Erekle II, Austrian Embassies, Unknown, Archival Materials, Georgia, Foreign Policy, XVIII Century.

## **მერაბ ნაჭყებია**

*სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

### **სახელური სიტყვაწარმოება მეგრულ-ლაზურში (შედარებითი ანალიზი)**

1. სიტყვაწარმოება ენის ლექსიკური მარაგის გამდიდრების ძირითადი წყაროა. ენის ძირითადი ლექსიკური ფონდი დანაწევრებულია სემანტიკურ ჯგუფებად: არსებითი სახელები, ზედსართავი სახელები, რიცხვითი სახელები, ნაცვალსახელები და ზმნები. სტატიაში თითოეული ეს ჯგუფი დაყოფილია ორ ნაწილად: უმოტივაციო სახელები (ენაში არსებული უძველესი ფენა, რომელიც მთელი ისტორიის მანძილზე უცვლელია) და მოტივირებული სახელები (მოტივირებული ლექსიკა, რომელიც ცვალებადია, ანუ დერივაციული საშუალებებით წარმოქმნილი ლექსიკა, მუდმივად ცვალებადი და განახლებადი).

2. ზემოაღნიშნული დანაწევრება სრულიად მიესადაგება სახელურ სიტყვაწარმოებას *მეგრულ-ლაზურში*. მოხსენებაში ცალ-ცალკეა განხილული სადერივაციო აფიქსებით ნაწარმოები ლექსიკა და ნაწარმოებ სახელთა შინაარსობრივი ჯგუფები მეგრულ-ლაზურში. სახელური სიტყვაწარმოების თავისებურებები თეორიული ნაწილის გარდა, კარგად ჩანს ტაბულაში, რომლებიც სიტყვაწარმოებითი მოდელების, ნაწარმოები სიტყვების, საწარმოებელი ფუძეებისა და სემანტიკურ მნიშვნელობათა ურთიერთმართებათა საფუძველზეა შედგენილი.

*კვლევის მეთოდები:* ნაშრომში გამოყენებულია ენათმეცნიერებაში აპრობირებული ისტორიულ-შედარებითი მეთოდი.

**საკვანძო სიტყვები:** სიტყვაწარმოება, ლექსიკური ფონდი, სემანტიკური ჯგუფები, ქართველური ენები: მეგრულ-ლაზური, ნაწარმოები სიტყვები, სემანტიკური მნიშვნელობები.

**Merab Nachkebia**  
*Sokhumi State University*

**Handle Word formation in Megrul-Lazuri  
(Comparative Analysis)**

1. Word formation is the main source of enriching the lexical stock of the language. The main vocabulary of the language is divided into semantic groups: nouns, adjectives, numerical names, pronouns and verbs. In the article, each of these groups is divided into two parts: unmotivated nouns (the oldest layer in the language, which is unchanged throughout history) and motivated nouns (motivated vocabulary, which is changing, that is, vocabulary formed by derivational means, constantly changing and renewing).

2. The above-mentioned division is completely suitable for the word formation in Megrul-Lazuri. In the article, the vocabulary created with derivational affixes and the content groups of the created names in Megrul-Lazuri are discussed separately. Apart from the theoretical part, the peculiarities of handle word formation can be clearly seen in the tables, which are compiled on the basis of word formation models, formed words, production bases and relations of semantic meanings.

*Research methods:* the historical-comparative method proven in linguistics is used in the work.

**Keywords:** Word Formation, Lexical Fund, Semantic Groups, Georgian Languages: Megrul-Lazuri, Created Words, Semantic Meanings.

## Cultural Values of Abkhazia

Abstracts of the Second International Scientific Conference, December 8-9, 2022, Tbilisi

### აფხაზეთის კულტურული ფასეულობანი

მეორე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მოკლე შინაარსები  
2022 წლის 8-9 დეკემბერი, თბილისი

**Zübeyir Uzun, Gül Mükerrerem Öztürk, Neriman Yılmaz**

*Recep Tayyip Erdoğan University (Turkey)*

### **Turkish Sources Giving Information About Abkhazia (1453-1801)**

From the period of the Ottoman Empire, there is a large amount of archival documents about relations between a historical part of Georgia - Abkhazia and the Ottoman Empire. We've divided the topic into two sections: „Written and Printed Materials“ and „Ottoman Archives“. Among them are written and printed archive documents on the subject. The study will continuously analyze the reports on Abkhazia published by Turkish writers Shemsedin Sami, Katif Cheleb, Evlia Cheleb, and Kesbi Hasim Mehmet Efendi, as well as written and printed statistical records concerning Abkhazia preserved in Ottoman archives.

**Keywords:** Written and printed materials, Ottoman archive, Abkhazia, Turkey.

### **ზუბეირ უზუნი, გულ მუქერემ ოზთურქი, ნერიმან ილმაზი**

*რეჯეჟ ტაიფ ერდოღანის სახელობის უნივერსიტეტი  
(თურქეთი)*

### **თურქულ წყაროებში არსებული ინფორმაცია აფხაზეთის შესახებ (1453-1801 წწ.)**

საქართველოს ერთ-ერთი კუთხის აფხაზეთისა და ოსმალეთის იმპერიის ურთიერთობების შესახებ დიდი რაოდენობით საარქივო დოკუმენტებია შემორჩენილი თურქულ წყაროებში. აღნიშნული მასალები შეიძლება ორ ჯგუფად დაიყოს: „წერილობითი და ბეჭდური მასალები“ და „ოსმალური არქივები“. მოხსენებაში თანმიმდევრულად არის განხილული თურქი ავტორების: შემსედინ სამის, ქათიფ ჩელების, ევლია ჩელებისა და ქესბი ჰასიმ მეჰმეთ ეფენდის ცნობები აფხაზეთის შესახებ. ასევე, ოსმალეთის არქივებში დაცული წერილობითი და ბეჭდური სტატისტიკური მასალები აფხაზეთთან დაკავშირებით.

**საკვანძო სიტყვები:** წერილობითი და ბეჭდური მასალები, ოსმალური არქივი, აფხაზეთი, თურქეთი.

**კობა ოკუჯავა**  
*სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

**აფხაზთა რელიგიური სინკრეტიზმი**

ადრეულ შუა საუკუნეებში აფხაზეთი განვითარებული ქრისტიანული მხარე იყო, საიდანაც ქრისტეს რჯული ჩრდილოეთ კავკასიაშიც ვრცელდებოდა. ნიშანდობლივია, რომ აფხაზთა მეზობელი და უახლოესი მონათესავე აბაზები ჩერქეზები და ჩრდილო კავკასიის სხვა ხალხებიც მთავარ ქრისტიანულ სიმბოლოს სიტყვა „ჯვარ“//„ჯორო“-ით აღნიშნავდნენ. ერთიანი ქართული სამეფოს დაშლის და შავ ზღვაზე ოსმალეთის გაბატონების შემდეგ, კავკასიის მთელ რიგ მხარეებში მაჰმადიანობა იწყებს გავრცელებას, ქრისტიანობა სუსტდება და ცოცხლდება ძველი, წარმართული წეს-ჩვეულებები. ამგვარი ვითარება შეიქმნა აფხაზეთშიც, სადაც ქრისტიანობის, წარმართობის და ნაწილობრივ ისლამის შერწყმის შედეგად ერთგვარი სინკრეტული სარწმუნოება ჩამოყალიბდა. ძველ ეკლესიასთან, ან მის ნანგრევებთან არსებითად წარმართული რიტუალები სრულდებოდა.

აფხაზთა რელიგიური სინკრეტიზმი ნათლად აისახა უცხოურ საისტორიო წყაროებში. მაგალითად, იტალიელი მისიონერის ჯოვანი და ლუკას მიხედვით, XVII ს. I ნახევარში აფხაზების ცხოვრების წესი ისეთივეა, როგორც ჩერქეზების. არა აქვთ დაწერილი კანონები და დამწერლობის გამოყენებაც არ იციან. რწმენით ქრისტიანები არიან, რაიმე ქრისტიანული წეს-ჩვეულების გარეშე. ბევრი ჯვარია ამ ქვეყანაში. მსგავს ცნობას გვაწვდის იტალიელი მისიონერი, არქანჯელო ლამბერტი (XVII ს. I ნახ.) – „აფხაზები, ისევე როგორც ჩერქეზები, ჯიქები, ალანები, მხოლოდ სახელით არიან ქრისტიანები, თორემ არც სარწმუნოებით და მოქმედებით ქრისტიანობა მთ სრულებით არ ეტყობოდათ.“

მნიშვნელოვანია აგრეთვე ფრანგი მოგზაურის, ჟან შარდენის (XVIII ს. 70-იანი წლები) ცნობაც, რომ სამეგრელოში ერთ-ერთი ლაშქრობისას აფხაზებმა ეკლესია გაძარცვეს, ხატის ვერცხლის ჩარჩო გაიტაცეს, ხოლო თვით ხატი, წმინდანის რისხვით შეშინებულებმა ადგილზე დატოვეს.

აფხაზთა რელიგიური სინკრეტიზმი კარგად აქვს გადმოცემული ვახუშტის ბატონიშვილს - „აფხაზები სარწმუნოებით არიან ქრისტიანნი, არამედ არღარა რისა მეცნიერნი და ირიცხიან ვითარცა კერპნი“, თუმცა „აქუთ სასოება მღუდელთა ფრიალ“.

XVI-XVII სს. აფხაზეთში მოქმედებას წყვეტს ბიჭვინთის, ხოფის, ლინის, ანაკოფიის და სხვა ეკლესიები. ასევე უქმდება ეკლესია- მონასტრები XVII ს. დასასრულიდან აწინდელი აფხაზეთის აღმოსავლეთ ნაწილშიც, რომელიც მანამდე, ეთნოგრაფიული თვალსაზრისით, საშეგრელოს წარმოადგენდა და ოდიშის სამთავროს შემადგენლობაში მედიოდა. XVIII ს-ის მიწურულამდე ამ მხარეში მოქმედებდა ბედიის, მოქვის და დრანდის საეპისკოპოსოები, ქიაჩისა და წიფურიონის მონასტრები და მრავალი ეკლესია, მათ შორის ილორის წმინდა გიორგი, სადაც დიდი რელიგიური რიტუალები ბედიელი ეპისკოპოსების ხელმძღვანელობით სრულდებოდა.

თუ ადრეულ მუასაუკუნეებში ეგრის-აფხაზეთის აფხაზთა მეფეები იქეთ ეწეოდნენ მისიონერულ საქმიანობას ჩრდილოეთ კავკასიაში, გვიან მუასაუკუნეებში უკვე რელიგიური სინკრეტიზმია გავრცელებული, რაც ერთმნიშვნელოვნად მიუთითებს ეთნოგრაფიულ ცვლილებებზე აფხაზეთში.

**საკვანძო სიტყვები:** აფხაზეთი, აფხაზები, რელიგია, ჩრდილოეთ კავკასია, ჩერქეზები, სინკრეტიზმი, ვახუშტი ბაგრატიონი.

**Koba Okujava**  
*Sokhumi State University*

### **Abkhazian Religious Syncretism**

In the early Middle Ages, Abkhazia was a developed Christian region, from where the law of Christ spread to the North Caucasus. It is significant that the Circassians, the neighbors and closest relatives of the Abkhazians, the Circassians and other peoples of the North Caucasus also used the word „cross“//„mule“ as the main Christian symbol. After the disintegration of the united Georgian kingdom and the domination of the Ottoman Empire on the Black Sea, Islam begins to spread in many parts of the Caucasus, Christianity weakens and old, pagan customs revive. Such a situation was also created in Abkhazia, where a kind of syncretic belief was formed as a result of the fusion of Christianity, paganism and partly Islam. Essentially pagan rituals were performed near the old church or its ruins.

The religious syncretism of the Abkhazians was clearly reflected in foreign historical sources. For example, according to the Italian missionary Giovanni da Luca, in the 17th century. The way of life of Abkhazians in Khwahar I is the same as

that of Circassians. They don't have written laws and they don't know how to use writing. They are Christians by faith, without any Christian customs. There are many crosses in this country. The Italian missionary, Archangelo Lambert (XVII century, Fig. I) provides us with a similar information – „Abkhazians, like Circassians, Circassian Alans, are Christians in name only, otherwise they would not be completely Christian in their beliefs and actions“.

Also important is the report of the French traveler Jean Chardin (1870s) that during one of the campaigns in Samegrelo, the Abkhazians looted the church, stole the silver frame of the icon, and the icon itself, frightened by the anger of the saint, buried it on the ground. The religious syncretism of the Abkhazians has been well conveyed by Vakhushti Batonishvili – „Abkhazians are Christians by faith, but they are not scientists and they are worshiped like idols“, although "there is a lot of people from Mgudi".

XVI-XVII centuries. In Abkhazia, Bichvinti, Khofi, Likhni, Anakofia and other churches stop functioning. Churches and monasteries of the 17th century are also abolished. From the end, in the eastern part of former Abkhazia, which at that time represented Samegrelo from the ethnographic point of view and was part of the principality of Odisha. Until the end of the 18th century, the bishoprics of Bedia, Mokvi and Drandi, Kyachi and Tsifurion monasteries and many churches, including St. George of Ilori, were active in this area, where great religious rituals were performed under the leadership of Bedia bishops. If in the early Middle Ages the Abkhazian kings of Egri-Abkhazia engaged in missionary activities in the North Caucasus, in the late Middle Ages religious syncretism is already widespread, which clearly indicates ethnographic changes in Abkhazia.

**Keywords:** Abkhazia, Abkhazians, Religion, North Caucasus, Circassians, Syncretism, Vakhushti Bagration.

## **დავით ოქროპირიძე**

*სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

### **ქრისტიანული კულტი ივირონის მონასტერსა და „სამეფო აფხაზეთისა“-ს შორის: რელიგიური ტრადიცია შუა საუკუნეების პოლიტიკურ კონტექსტში“**

### **To Understand the Term „Abkhazia“ in History Textbooks**

Today, Abkhazia is an occupied territory and Georgian society and students do not have any means to have a direct contact with it. Due to the urgency of the issue, we aimed to research and study the content nomenclature of griffied school textbooks of „Our Georgia“ and „History“ (one of the main educational resources), on the basis of which the student should form a proper idea regarding the term „Abkhazia“; Do they contribute (or to what extent) to the development of those skills, by the operation of which the students will be able to make logical conclusions regarding the given territorial unit, including when discussing territorial problems. The mentioned issue is also relevant from the teaching-methodical point of view, as the national curriculum of the third generation directly requires to conduct the educational process on the basis of conceptual categories and topic development. According to the



above mentioned issues, the most important are the materials and resources, which we are going to offer students when studying topics related to „Abkhazia“.

The study of the issue showed us, that that the terminological and methodological apparatus, narrative and visual materials presented in the griffied school textbook of „Our Georgia“, „History“ („Our Georgia“, VI grade, student's book, „Klio“ publishing house, 2018; Our Georgia, VI grade, teacher's book., „Klio“ publishing house, 2018; History, VII grade, 2020, „Logos Press“ publishing house). Book, history, grade VII, 2020, „Logos Press“ publishing house; history, grade VII, 2019, publishing house „Diogene“; teacher's book, history, grade VII, 2019, publishing house „Diogene“ History, grade VIII, 2020, publishing house „Diogenes“; History, Class VIII, 2020, Publishing House „Logos Press“; History, Class IX, Publishing House „Diogenes“, 2020; History, Class IX, 2020, Publishing House „Logos Press“, student's book) do not allow us to understand thinking of the historical-geographical „Abkhazia“ and see their relationship with both „Georgia“ and „Georgians“. (and, in general, it is not enough to form knowledge about Sanigia-Apshilia-Abazgia and Egris/Lasika). It should be noted, that the exercises are not effective enough and fail to encourage students to establish deeper logical connections, perform research work and form correct ideas on the mentioned topic.

In our opinion, regarding the term „Abkhazia“, students should be offered a variety of narrative material, historical sources, maps and exercises, At the same time, we should actively use media literacy approaches. As a result, we will get the following: their knowledge, attitudes and ideas about historical-geographical Abkhazia will become deeper and more thorough and they will have the opportunity to develop skills, that allow them to contextualize issues deeply.

**Keywords:** Abkhazia, School, History Textbook, Writing, Student's Book, Teacher's Book, Maps, Exercises.

### **კახაბერ ფიფია**

*სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

## **ეგრისის (ლაზიკის) სამეფოს ისტორიისათვის**

გვიანანტიკურ ხანაში აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში, ისტორიული კოლხეთის ტერიტორიაზე წარმოიქმნა პოლიტიკური გაერთიანება, რომელსაც ქართული წყაროები - ეგრისს, ხოლო რომაელი და ბიზანტიელი მწერლები - ლაზიკას უწოდებენ. თავდაპირველად ლაზები აკონტროლებდნენ კოლხეთის მხოლოდ ცენტრალურ ნაწილს ზიდრიტთა ოლქიდან მდ. ეგრისწყლამდე (თანამ. დალიძე). მოგვიანებით კი, ლაზების სამეფო აერთიანებს მთელ დასავლეთ საქართველოს. მისი ტერიტორია სამხრეთით მდ. ჭოროხის შესართავამდე ვრცელდება; ჩრდილოეთით კი მოიცავს თანამედროვე აფხაზეთსა და სვანეთს. როდის უნდა მომხდარიყო ლაზების ჰეგემონობის გავრცელება ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთსა და სამხრეთით არსებულ ზიდრიტთა ოლქზე? წინამდებარე ნაშრომში შევეცდებით ამ კითხვებზე გავცეთ პასუხი.

ქართულ ისტორიოგრაფიაში დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ერთიანი ეგრისის სამეფოს ჩამოყალიბების შესახებ ორი თვალსაზრისი არსებობს. მკვლევართა ნაწილი მიიჩნევს, რომ ერთიანი ეგრისის სამეფოს ჩამოყალიბება ხდება IV ს. ბოლოსთვის, სხვების ვარაუდით კი, II საუკუნეში. ჩვენი აზრით, ლაზების მიერ მთელი დასავლეთ საქართველოს გაერთიანება, ანუ უკიდურესი ჩრდილო-დასავლეთით არსებული სანიგებისა და სამხრეთით არსებული ზიდრიტთა ოლქის შემოერთება განხორციელდა ორ ეტაპად. პირველ ეტაპზე ლაზებმა რომაელთა თანხმობით შემოიერთეს აფსილების, აბაზგებისა და სანიგების გაერთიანებები და ლაზთა სამეფოს საზღვრები ჩრდილო-დასავლეთით განავრცეს მდ. აქუნტამდე (თანამ. შახე). ამ მოვლენას ადგილი ჰქონდა II ს. შუახანებში, მეფე პაკორის მმართველობის პერიოდში, რასაც პირდაპირ მოწმობს გაგრის რაიონის სოფელ აჩმარდის ტერიტორიაზე აღმოჩენილი ვერცხლის თასზე შესრულებული ბერძნული წარწერა. II საუკუნეში ლაზთა სამეფო დასავლეთ საქართველოს დიდ ნაწილს რომ აერთიანებს, მოწმობს შემდეგი ფაქტიც: II ს. მიწურულს, როდესაც იმპერატორ სეპტიმიუს სევერუსს (193-211 წწ.) მოუხდა აჯანყებული ლაზების

დამორჩილება, გიორგი სინგლოზის ცნობით, მან „დაიპყრო კოლხიკე, ესე იგი ლაზიკე“. ანუ ამ დროისათვის ლაზების ჰეგემონობა უკვე თითქმის მთელ კოლხეთზე ვრცელდებოდა.

რაც მეუხება სამხრეთით არსებულ ზიდრიტთა ოლქს, ამ მიმართულებით ლაზების ექსპანსია II საუკუნეში გამორიცხული იყო, რამდენადაც ეს რაიონი ძლიერი იბერიის სამეფოს დაქვემდებარებაში იყო მოქცეული. ზიდრიტთა ოლქის შემოერთება ლაზეთის სამეფომ მოგვიანებით, მხოლოდ III ს. მოახერხა.

**საკვანძო სიტყვები:** ეგრისი (ლაზიკა), ბიზანტიელი მწერლები, აფხაზეთი, სვანეთი, ეგრისწყალი, ზიდრიტები, სანიგები, მეფე პაკორი, ვერცხლის თასი, ბერძნული წარწერა.

**Kakhaber Pipia**

*Sokhumi State University*

### **For the History of Lazica (Egrisi) Kingdom**

In the Antiquity, a political Union was formed on the territory of historical Colchis in the Eastern Black Sea region. In Georgian sources it is mentioned as Egrisi, while Roman and Byzantine writers call it lazica. At first the Lazes controlled only the Central part of Colchis from Zydriti District to the Egristskali river. Later the kingdom of Lazes unites the whole Western Georgia. Its territory extends to the confluence of the Chorokhi river in the South. In the North it includes modern Abkhazia and Svaneti. When should the hegemony of the Lazes be spread to the north-western Colchis and the Zydrit district in the south? In this work we will try to answer these questions.

In Georgian historiography there are two points of view about the formation of the United kingdom of Egrisi on the territory of Western Georgia. Some researchers believe that the formation of the United Kingdom of Egrisi took place at the end of the fourth century, according to other scholars in the second century. At first, the Lazes, with the consent of the Romans, joined the Unions of the Absiles, Abazges and Saniges and extended the borders of the kingdom of the Lazes to the north-west to the Akheunt river (modern Shakhe river). This event took place in the middle of the second century during the reign of king Pakor, which is directly evidenced by the Greek inscription on a silver cup found on the territory of the village of Achmarda, Gagra district. The fact that the kingdom of Lazes of the second century united a large part of Western Georgia is also proved by the following fact: At the end of the second

century, when the emperor Septimius Severus (193-211) had to subdue the rebellious Lazes, according to George Syncellus, he captured „Colkhike, that is Lazike“. For this period, the hegemony of the Lazes is already extending to almost the entire Colchis region.

As for the district of Zidrits in the south, the expansion of the Lazes in this direction was subordinated to the powerful Iberian kingdom. The Lazica kingdom managed to annex the Zidrits district only later, in the third century.

**Keywords:** Egris (Lasika), Byzantine Writers, Abkhazia, Svaneti, Egristskal, Zidrites, Sanigs, King Pakor, Silver Cup, Greek Inscription.

## Cultural Values of Abkhazia

Abstracts of the Second International Scientific Conference, December 8-9, 2022, Tbilisi

### აფხაზეთის კულტურული ფასეულობანი

მეორე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მოკლე შინაარსები  
2022 წლის 8-9 დეკემბერი, თბილისი

## ეკატერინე ქარდავა, გურანდა ჭელიძე

კავკასიის უნივერსიტეტი  
(საქართველო)

### ევროპული სწავლების როლი აფხაზეთიდან დევნილი საზოგადოების განათლების პოლიტიკაში

საქართველოს ევროკავშირთან დაახლოების პირობებში დიდი მნიშვნელობა ენიჭება მოსახლეობის, მათ შორის დევნილების ცოდნასა და მოლოდინებს ევროკავშირის, ევროინტეგრაციისა და ასოცირების შეთანხმების, დღეს საქართველოს ევროკავშირში გაწევრებასთან დაკავშირებული პროცესების შესახებ. საქართველოს მოსახლეობა დადებითადაა განწყობილი ევროკავშირში ინტეგრაციისადმი, თუმცა, ჯერ კიდევ უამრავ პრობლემას ვხვდებით სწორად იქნას გააზრებული არსებული გამოწვევები და ევროკავშირში გაწევრებისათვის საჭირო ქმედითი ნაბიჯები. აღნიშნული პრობლემის გადაჭრის ერთ-ერთ საშუალებას წარმოადგენს საზოგადოების ცნობიერების ამაღლება, რაშიც მძლავრად უნდა იქნას გამოყენებული როგორც ზოგადსაგანმანათლებლო, ისე უმაღლესი განათლების სისტემის შესაძლებლობები. უნივერსიტეტების მესამე მისია გაიტანონ საუნივერსიტეტო ცოდნა საზოგადოებრივ ასპარეზზე, იძლევა კიდევ შესაძლებლობას ევროპული ღირებულებების შესახებ ცნობიერების ამაღლება მოხდეს დღეს საქართველოში არსებული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების მეშვეობით. აღნიშნულს ემსახურება თავად ევროკავშირის მიერ დაფინანსებული Erasmus+ ჟან მონეს პროექტები, რომელთა შორის იყო კავკასიის უნივერსიტეტის პროექტი „ევროპული სწავლების სამკუთხედი“ (TEESS). პროექტის განხორციელებიდან ერთი წელი გავიდა, თუმცა, პროექტის მიზანი და მიღებული შედეგები, არათუ კარგავს აქტუალობას, პირიქით, უახლოესი გამოწვევების ფონზე, ზრდის კიდევ პროექტის ფარგლებში ზოგადსაგანმანათლებლო დონეზე ევროკავშირისა და ევროპული ფასეულობების სწავლების მნიშვნელობას. ვორქშოპებმა თბილისის აფხაზეთიდან დევნილთა სკოლაში ცხადჰყო, რომ ინფორმაცია ევროპული ასოცირების პროცესის შესახებ საქართველოში, მსმენელთა დიდი ნაწილისათვის სრულიად ახალი იყო, რამაც ხაზ-

გასმით დაყენა დღის წესრიგში აფხაზეთიდან დევნილი საზოგადოების სივრცეში ევროპული ინტეგრაციის თაობაზე ინფორმაციის მიმღებლობისა და განწყობის მესწავლის საკითხი. მედეგიანი იყო დევნილთა სკოლაში სასემინარო ფორმატის მეთოდის გამოყენება მასწავლებლების, მოსწავლეებისა თუ მმობლებისათვის მიწოდებული ყოფილიყო ანტი-ევროპული მოსაზრებების გამაბათილებელი ბუნების კონკრეტული ინფორმაცია, რამაც ცალსახად დაგვანახა მათი პოზიტიური განწყობები ევროკავშირთან მიმართებაში. საინფორმაციო ვაკუუმის მიზეზად შეიძლება დასახელდეს ასეთი მოწყვლადი საზოგადოების სკოლაში ტექნოლოგიური ინვენტარის სიმწირე, რაც თანამედროვე, ინფორმაციულ საზოგადოებაში ახალგაზრდობის განვითარების მუშავერხებელი ფაქტორია. დევნილთა სკოლები უნდა გახდეს მნიშვნელოვნად მეგობრული თანამედროვე ტექნოლოგიებისა და უცხო ენების მიმართ, რასაც განაპირობებს უკანასკნელ ხანებში აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრები ახალგაზრდების ინგლისური ენის ფლობის დონის მკვეთრი ამადლება. სემინარების მედეგად მიღებულმა საბოლოო დადებითმა შედეგებმა დაგვანახა, რომ ასეთ მეხვედრებს უნდა ჰქონდეს მრავალჯერადი ხასიათი. ევროკავშირი-საქართველოს ურთიერთობათა პოპულარიზება და ევროკავშირისადმი ნდობის ხარისხის ამადლება, ამკარად საჭიროებს განგრძობად და უწყვეტ ახალ ინფორმაციულ წყაროებს, ამავდროულად, პედაგოგთა კორპუსის სერიოზულ გადამზადებას, რაც პირდაპირი ვალდებულებაა საქართველოს ხელისუფლებისა და დე-იურე დევნილი მთავრობისა, რომელსაც უწყვეტად უგრძელდება უფლებამოსილება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დარღვევის დღიდან.

**საკვანძო სიტყვები:** ევროკავშირი, ევროპული ინტეგრაცია, ასოცირების მეთანხმება, „ევროპული სწავლების სამკუთხედი“, აფხაზეთი, დევნილები.

**Ekaterine Kardava, Guranda Chelidze**

*Caucasus University (Georgia)*

### **The Role of the European Studies in the Education Policy of the Displaced Community from Abkhazia**

In the context of Georgia's rapprochement with the European Union, great importance is attached to the knowledge and expectations of the population, including IDPs, about the European Union, the European Integration and Association Agreement, and the processes related to Georgia's accession to the European Union. The

population of Georgia has a positive attitude toward integration into the European Union. Nevertheless, we still face many problems to properly understand the existing challenges and effective steps needed to join the European Union. One of the means of solving this problem is to raise public awareness, which should actively use the capabilities of the school and higher education system. The third mission of universities is to disseminate university knowledge in the community, provides an opportunity to raise awareness of European values in Georgia today through appropriate higher education programs. The Erasmus+ Jean Monnet projects, funded by the European Union, among which was „Triangle Effect of European Studies at Schools“ (TEESS) - the Caucasus University project, serve this purpose.

One year has passed since the project was implemented, but the project's goal and the results obtained do not lose their relevance. On the contrary, the importance of teaching the European Union and European values at the general education level increases in line with the challenges ahead. Seminars at the school for IDPs from Abkhazia in Tbilisi showed that information about the European association process in Georgia was completely new to most participants. The issue of obtaining information and studying the attitudes of the community of displaced persons from Abkhazia about European integration became more acute. Using the seminar format method at the IDP school was effective. The trainees were given concrete information that dispelled anti-European attitudes, which then clearly showed us their positive attitude toward the European Union. The reason for the information vacuum is the lack of technological inventory in the school of such a vulnerable society, which is a factor that constrains the development of young people in today's information society. Schools for IDPs need to become much more friendly to modern technology and foreign languages, which is due to the recent dramatic increase in the level of English proficiency of young people living in Abkhazia. The final positive results at the end of the seminars showed us that such meetings should be repeated. Promoting EU-Georgian relations and increasing the level of confidence in the EU obviously requires constant and continuous new sources of information. At the same time, serious training of teachers, which is a direct responsibility of the Georgian government and the de jure exiled government, which has been in power continuously since the violation of Georgia's territorial integrity.

**Keywords:** European Union, European Integration, Association Agreement, „Triangle Effect of European Studies at Schools“, Abkhazia, IDPs.

**Cultural Values of Abkhazia**

Abstracts of the Second International Scientific Conference, December 8-9, 2022, Tbilisi

**აფხაზეთის კულტურული ფასეულობანი**

მეორე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მოკლე შინაარსები  
2022 წლის 8-9 დეკემბერი, თბილისი

**თეა ქართველიშვილი**

*კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს  
ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი*

**პოლიტიკური პრიმატის საკითხი დასავლეთ საქართველოში  
აფხაზეთა კათოლიკოს-პატრიარქების კანდიდატთა შერჩევის  
მაგალითზე (XV-XVIII სს.)**

შუა საუკუნეების საქართველოში ბიზანტიური სიმფონიზმის პრინციპი დამკვიდრდა, რაც სახელმწიფოსა და ეკლესიის ჰარმონიულ თანამშრომლობას გულისხმობდა. ორგზის მირონცხებული მეფე ეკლესიის გარე ეპისკოპოსად ითვლებოდა, ხოლო პატრიარქი - მეორე მეფედ. დვთივგვირგვინოსანი მეფე უფლებამოსილი იყო აერჩია კათოლიკოს-პატრიარქი. გვიან შუა საუკუნეებში სამეფო-სამთავროებად დაშლილ ქვეყანაში ვითარება შეიცვალა. დასავლეთ საქართველოში იმერეთის სამეფოს გარდა რამდენიმე სამთავრო ჩამოყალიბდა, რომელთა ამბიციური მეთაურებიც მეფეს ტოლს არ უღებდნენ. გაძლიერებული მთავრები მეფის ტიტულის მიღებასაც არ ერიდებოდნენ და შესაბამისად ცდილობდნენ ესარგებლათ კათოლიკოს-პატრიარქის არჩევის სამეფო პრივილეგიით. ამდენად, კათოლიკოს-პატრიარქების კანდიდატთა შერჩევის მაგალითზე რელიეფურად იკვეთება დასავლეთ საქართველოში რომელი ძალა ფლობდა პოლიტიკურ უპირატესობას.

საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიაში ორი საკათალიკოსო არსებობდა: აღმოსავლეთ საქართველოს - მცხეთის და დასავლეთ საქართველოსი - აფხაზეთა. აფხაზეთა საკათალიკოსოს ქართული შინაარსი, სეპარატისტისტი მეცნიერებისთვის სადავოა. აფხაზეთის კათოლიკოსების კანდიდატთა შერჩევის მაგალითზე კი ნათელი ხდება ეს პროცესი რამდენად იყო შესისხლხორცებული დასავლეთ საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური მოვლენებთან.

XV საუკუნის 70-იან წწ. დასავლეთ საქართველოს პოლიტიკური იერარქების (იმერეთის მეფე ბაგრატ II და შამადავლე დადიან-გურიელი) ჩარევით აფხაზეთა საკათალიკოსო გაემიჯნა ქართლის საკათალიკოსოს. XV საუკუნეში კათოლიკოსთა კანდიდატებს ირჩევდა ოდიშის ერისთავი, რაც იმერეთის მეფის ინტერესებშიც შედიოდა. ოდიშის ერისთავმა პოზიციების განმტკიცების



მიზნით კათოლიკოსისთვის რეზიდენციის მეცვლაც კი სცადა. თუმცა XVI საუკუნეში იმერეთის მეფის ბაგრატ III-ის აქტიური მეცადინეობით საპატრიარქო ტახტს იკავებენ მისი ფავორიტი ფეოდალური საგვარეულოების წარმომადგენლები და საკათალიკოსო რეზიდენციაც იმერეთის სამეფოში გადადის. ვითარება XVII საუკუნეში იცვლება, როცა ლევან II დადიანის მმართველობისას აფხაზთა კათალიკოსი ოდიშის სამთავროში მკვიდრდება და უცხოელი მოგზაურები მას „ოდიშის პატრიარქსაც“ კი უწოდებენ. დაძაბული ურთიერთობის ფონზე იმერეთის მეფის ალექსანდრე III კურთხევამაც არ მონაწილეობს კათალიკოსი. XVII საუკუნის მიწურულსა და XVIII საუკუნეში უპირატესობა კვლავ იმერეთის მეფეებმა მოიპოვეს. საპატრიარქო ტახტს, ძირითადად, იმერეთის ეპარქიის მწყემსმთავრები იკავებენ.

**საკვანძო სიტყვები:** დასავლეთ საქართველო, აფხაზეთის კათოლიკოს-პატრიარქები, სახელმწიფო, ეკლესია.

**Tea Kartvelishvili**

*Korneli Kekeliadze Georgian National  
Center of Manuscripts*

### **Issue of Political Primate in Western Georgia, Based on the Example of Selection of the Candidates to the Throne of Catholicos-Patriarchs of Abkhazia (15<sup>th</sup> – 18<sup>th</sup> Centuries)**

In medieval Georgia, the principle of Byzantine symphonism was adopted, implying harmonic collaboration between the state and church. Twice anointed sovereign was regarded as external bishop of the church and the patriarch was regarded as the second king. Sovereign, crowned by the Lord, was entitled to chose the catholicos-patriarch. In late medieval period, in the country decomposed into the kingdom-princedom, the situation has changed. In Western Georgia, several princedom were formed, in addition to Imereti Kingdom and the ambitious rulers of the formers regarded themselves as the kings. Strengthened rulers readily accepted the kings title and hence, made attempts to take advantage of the royal privilege of choosing of the catholicos-patriarch. Hence, the example of selection of the candidates of the catholicos-patriarchs, it can be clearly seen, which power possessed political superiority in Western Georgia.

In Georgian Orthodox Church there were two catholicates: Mtskheta Catholicate in Eastern Georgia and Catholicate of Abkhazians in Western Georgia. Georgian content of the Catholicate of Abkhazians is disputed by the separatist scientists. And on the example of selection of the candidates to the throne of Catholicos of

Abkhazians clearly demonstrates, how strongly was this process linked with the political events in Western Georgia.

In 70s of 15<sup>th</sup> century, due to intervention of the political hierarches of Western Georgia (Bagrat II, King of Imereti and Mamadavle Dadian-Guruli), Catholicate of Abkhazia separated from Kartli Catholicate. In 15<sup>th</sup> century, the candidates of the catholicoses were selected by the Prince of Odishi and this was within the interests of king of Imereti as well. Prince of Odishi, for the purpose of strengthening of his position, has even made attempt to change the residence of catholicos. Though, in 16<sup>th</sup> century, as a result of active efforts of Bagrat III, King of Imereti, the throne of catholicos was occupied by the representatives of his favorite feudal families and the residence of catholicos moved to Imereti Kingdom. In 17<sup>th</sup> century, the situation has change, when in the period of reign of Levan II, Dadiani, the Catholicos of Abkhazia established in Odishi Princedom and foreign travelers even mentioned him as Odishi Patriarch. Against background of the strained relationships, catholicos has not participated even in enthronement of Alexander III, King of Imereti. In late 17<sup>th</sup> and 18<sup>th</sup> centuries, the kings of Imereti gained the superiority again and the throne of patriarchate, was mostly occupied by the shepherds of Imereti Eparchy.

*Keywords:* Western Georgia, Catholicos-Patriarchs of Abkhazia, State, Church.

### **მარი ყალაბეგაშვილი**

*სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
ქ. თბილისის 88-ე საჯარო სკოლა*

#### **ისტორიისა და ქართული ენის სწავლების საკითხი შიდა ქართლის მთიანეთის (ე. წ. სამხრეთ ოსეთის) სასკოლო განათლებაში**

*კვლევის მიზანი და აქტუალობა.* ნაშრომის მიზანია ფართო საზოგადოებას გააცნოს სასკოლო განათლების სისტემის ერთი სეგმენტი ოკუპირებული შიდა ქართლის მთიანეთის (ე. წ. სამხრეთ ოსეთის) რეგიონში. კონკრეტულად განხილულია ისტორიისა და ქართული ენის სწავლების მდგომარეობა, რაც სრულიად უგულებელყოფილია ადგილობრივი სეპარატისტული ხელისუფლების მიერ. ეს ხელს უშლის რეგიონში დარჩენილ ადგილობრივ, ეთნიკურად ქართველ მოსახლეობას ისწავლოს მშობლიური ენა და გაეცნოს თავისი ქვეყნის ისტორიას. ისტორიის სახელმძღვანელოები სავსეა დაუსაბუთებელი, მტკიცებულებების გარეშე წარმოდგენილი ფაქტებითა და დებულებებით. გაუმართავია ისტორიის სწავლების მეთოდოლოგია, რომელიც ისევ საბჭოურ მარქსისტულ-ბოლშევიკურ მეთოდოლოგიას ეყრდნობა.

მოხსენებაში აღწერილია, ქართული ენისა და ისტორიის სწავლების თვალსაზრისით, თუ რა მდგომარეობა იყო 2008 წლის ომამდე და რა ვითარებაა დღეს, რა რეფორმები გაატარა ოსურმა მხარემ ომის შემდგომ პერიოდში და როგორია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პოზიცია აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით. განხილულია უცხოელი ექსპერტების შეფასებები და მოსაზრებები. შემოთავაზებულია რეკომენდაციები შექმნილი ვითარებისა და არსებული მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

*კვლევის მეთოდი:* კვლევის დროს გამოყენებულია ისტორიულ-შედარებითი კვლევის მეთოდი, ჩატარდა არსებული მასალების (სახელმძღვანელოები, დოკუმენტები, საინფორმაციო საშუალებები და სხვა მასალა) სამაგიდე კვლევა და განხორციელდა შეგროვილი მონაცემების კონტენტ-ანალიზი.

*მეცნიერული სიახლე/პრაქტიკული მნიშვნელობა.* სტატიაში განხილულია ოკუპირებულ სამხრეთ ოსეთში არსებული ამჟამინდელი მდგომარეობა სასკოლო განათლების კუთხით, ქართული მხარის პოზიცია სკოლებში ქართული ენისა და ისტორიის სწავლების აკრძალვასთან დაკავშირებით და უცხოელი ექსპერტების მოსაზრებები. ნამრომს აქვს პრაქტიკული მნიშვნელობა განათლების დარგით დაინტერესებული პირების, მკვლევარების, მეცნიერებისა და უბრალოდ საკითხისადმი არაგულგრილად დამოკიდებული პირებისათვის ინფორმაციის მიწოდებისა და არსებული ვითარების გაცნობის თვალსაზრისით.

**საკვანძო სიტყვები:** მიდა ქართლის მთიანეთი, ოკუპირებული რეგიონი, სკოლები, ისტორია, ქართული ენა, სწავლება, მხარეთა პოზიციები, რეკომენდაციები და ა. შ.

**Mari kalabegashvili**

*Sokhumi State University /88th public school of Tbilisi*

**The Issue of Teaching History and the Georgian Language in School Education in Shida Kartli Mtianeti (Kartli Region Highland, so-called South Ossetia)**

The purpose and relevance of the research. The aim of the paper is to introduce to the general public one segment of the school education system in the occupied Shida Kartli Mtianeti (Kartli Region highland, so-called South Ossetia). The situation of teaching history and Georgian language, which is completely neglected by the local separatist authorities, is specifically discussed. This prevents the local, ethnically Georgian population remaining in the region from learning their native language and getting to know the history of their country. History textbooks are full of unsubstantiated facts and statements presented without evidence. The methodology of teaching history, which is still based on the Soviet Marxist-Bolshevik methodology, is faulty.

The report describes the situation before the 2008 war from the point of view of teaching Georgian language and history and what is the situation today. What reforms did the Ossetian side carry out in the post-war period and what is the position of the Ministry of Education and Science of Georgia in relation to the mentioned issues. Assessments and opinions of foreign experts are discussed. Recommendations are proposed to improve the created and the existing situation.

*Research method.* During the research, the historical-comparative research method was used, a study of the existing materials (manuals, documents, informational means and so on) was held, and a content analysis of the collected data was carried out.

*Originality/value.* The article discusses the current situation in occupied South Ossetia in terms of school education, the position of the Georgian side regarding the ban on the teaching of the Georgian language and history in schools, and the opinions of foreign experts. The work is of practical importance in terms of providing information and getting to know the current situation for people interested in the field of education, researchers, scientists and simply people who are not indifferent to the issue.

**Keywords:** Kartli Region Highland, Occupied Region, Schools, History, Georgian Language, Teaching, Positions of Parties, Recommendations etc.

## Cultural Values of Abkhazia

Abstracts of the Second International Scientific Conference, December 8-9, 2022, Tbilisi

აფხაზეთის კულტურული ფასეულობანი

მეორე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მოკლე შინაარსები

2022 წლის 8-9 დეკემბერი, თბილისი

**Ruslan Shevchenko**

*Institute of Effective Politics  
(Moldova)*

### **Main Aspects of Moldova-Georgia Relations**

The report analyzes the history of Moldova-Georgia relations from the time of independence to the present day and focuses on the main directions that are most important in the relations between the two states.

Diplomatic relations between Moldova and Georgia were established on June 25, 1992. Since then, special attention has been paid to those aspects of cooperation that create a new stage of development between the two states. In the report, we discussed the following main directions:

1. Political connections and support;
2. Mutually beneficial cooperation in the sphere of European integration;
3. trade and economic cooperation;
4. Relations in the field of defense;
5. Cultural and humanitarian ties.

Each aspect is discussed in detail in the report and conclusions are drawn that close cooperation in the mentioned areas is of crucial importance for both nations in the process of European integration.

**Keywords:** Moldova, Georgia, Politics, Economy, Trade, European Integration, Defense, Culture and Humanitarian Ties.

## **მოლდოვა-საქართველოს ურთიერთობის ძირითადი ასპექტები**

მოხსენებაში გაანალიზებულია მოლდოვა-საქართველოს ურთიერთობების ისტორია დამოუკიდებლობის მოპოვებიდან დღემდე და ყურადღება გამახვილებულია იმ ძირითად მიმართულებებზე, რომლებიც უმნიშვნელოვანესია ორივე სახელმწიფოს ურთიერთობებში.

მოლდოვასა და საქართველოს შორის დიპლომატიური ურთიერთობები დამყარდა 1992 წლის 25 ივნისს. მას შემდეგ, განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს თანამშრომლობის ის ასპექტები, რომლებიც განვითარების ახალ ეტაპს ქმნიან ორ სახელმწიფოს შორის. მოხსენებაში განხილული გვაქვს შემდეგი ძირითადი მიმართულებები:

1. პოლიტიკური კავშირები და მხარდაჭერა;
2. ორმხრივად მომგებიანი თანამშრომლობა ევროინტეგრაციის სფეროში;
3. სავაჭრო და ეკონომიკური თანამშრომლობა;
4. ურთიერთობები თავდაცვის სფეროში;
5. კულტურული და ჰუმანიტარული კავშირები.

მოხსენებაში დეტალურადაა განხილული თითოეული ასპექტი და გამოტანილია დასკვნები, რომ აღნიშნული მიმართულებებით მჭიდრო თანამშრომლობა ორივე ერისთვის გადამწყვეტ მნიშვნელობას იძენს ევროინტეგრაციის თვალსაზრისით.

**საკვანძო სიტყვები:** მოლდოვა, საქართველო, პოლიტიკა, ეკონომიკა, ვაჭრობა, ევროინტეგრაცია, თავდაცვა, კულტურა და ჰუმანიტარული კავშირები.

## **თამარ შინჯიაშვილი, ლევან კვარაცხელია**

*სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

### **აფხაზეთის მოსახლეობის ეთნოდემოგრაფიული ვითარება და გაყალბებული სტატისტიკა**

ჩვენი კვლევის მიზანია წარმოვაჩინოთ აფხაზეთის მოსახლეობის ეთნოდემოგრაფიული შემადგენლობის რეალური სურათი XIX-XX საუკუნეებში და მისი სტატისტიკურ-დემოგრაფიული ანალიზი. სტატისტიკური მონაცემების დაზუსტებისთვის განსაკუთრებით ღირებულია შიდა მიგრაციის მაკროისტორიულ პერსპექტივაში დანახვა და მიგრაციასთან დაკავშირებული რუსული, აფხაზური და ქართული აღწერებისა და სამეცნიერო ლიტერატურის განხილვა.

კვლევის მეთოდოლოგია ეფუძნება რუსეთის იმპერიის, საბჭოთა კავშირისა და პოსტსაბჭოთა პერიოდის სტატისტიკური აღწერების ანალიზს, აგრეთვე აფხაზურ ანალიტიკურ და საინფორმაციო პორტალებზე წარმოდგენილი ინფორმაციის კრიტიკულ შეფასებას.

კვლევაში საინტერესოდ არის წარმოდგენილი აფხაზეთში მიმდინარე ეთნოდემოგრაფიული პროცესები და ქართველი და აფხაზი მოსახლეობის რაოდენობრივი და პროცენტული გადანაწილება, შიდა მიგრაციის გამომწვევი ფაქტორები განხილულია მაკროისტორიულ ქრისტეში. მოსახლეობის შიდა მიგრაცია ბუნებრივი მოვლენაა ნებისმიერ ქვეყანაში და ეს საკითხი დღემდე სათანადოდ არ არის შესწავლილი, რაც ნაყოფიერ ნიადაგს ქმნის ისტორიით სპეკულაციისთვის და არსებული ეთნიკური შუღლის გაღრმავებისთვის. მოხსენებაში ყურადღება გამახვილებულია სტატისტიკური მასალის ტენდენციურ ინტერპრეტაციაზე აფხაზი ავტორების მხრიდან და გაანალიზებულია ამ მონაცემების ისტორიული რეალობა. მოცემულია სტატისტიკური შეუსაბამობა, რომელიც ცვლის პერსპექტივას და დამოკიდებულებას ეთნიკური ბალანსის ცვლილებასთან მიმართებით. გაანალიზებულია აღწერის დავთრებსა და სიებში წარმოდგენილი ფაქტობრივი მონაცემები და აღდგენილია ისტორიული რეალობა.



კვლევის მედეგად გამოიკვეთა, რომ რუსეთის იმპერიისა და საბჭოთა კავშირის პერიოდის სტატისტიკური აღწერები აფხაზი ისტორიკოსების მიერ მიზანმიმართულად არის გამოყენებული მცდარი ეთნოდემოგრაფიული ბალანსების მისაღებად. უფრო მეტიც, სწორედ მსგავსი დაანგარიშებები ვრცელდება აფხაზური ნარატივის გამავრცელებელ ინგლისურენოვან საიტებზე, რასაც საკითხით დაინტერესებული უცხოელი მკვლევრები მეცდომამი მეპყავს. ეს ფაქტები მიუთითებს სიყალბეზე და ტყუილებზე დაფუძნებული რუსული დეზინფორმაციის უახლეს და მკაფიო მაგალითს აფხაზეთის ისტორიის შესახებ და, ადგიწერს რეალურ ისტორიულ სურათს თავისი ფაქტოლოგიური და სტატისტიკური ქრონოლოგიით და მეფასებებით.

**საკვანძო სიტყვები:** მოსახლეობის აღწერები, მიდა მიგრაცია, ეთნოდემოგრაფიული ბალანსი, მოსახლეობის სტატისტიკა.

**Tamar Shinjiashvili, Levan Kvaratskhelia**

*Sokhumi State University*

### **Ethnodemographic situation of the population of Abkhazia and falsified statistics**

The aim of the research is to present a real picture of the ethnodemographic composition of the population of Abkhazia in the 19th-20th centuries and its statistical-demographic analysis. For the accuracy of statistical data it is especially valuable to see the internal migration in a macro-historical perspective and to discuss the Russian, Abkhaz and Georgian censuses and scientific literature related to migration.

The research methodology is based on the analysis of statistical descriptions of the Russian Empire, the Soviet Union and the post-Soviet period, as well as the critical evaluation of information presented on Abkhazian analytical and information portals.

The ethnodemographic processes in Abkhazia and the issue of quantitative and percentage distribution of the Georgian and Abkhazian population are interestingly presented in the study, the factors causing internal migration are discussed in a macro-historical perspective. Internal population migration is a natural phenomenon in any country and this issue has not been adequately studied to date, which causes historic speculation and deepening of existing ethnic strife. In the article, we focused on the tendentious interpretation of statistical material by Abkhazian authors and analyzes

the historical reality of these data. A statistical inconsistency is presented that changes the perspective and attitude towards the changing ethnic balance. The actual data presented in the census books and lists are analyzed and the historical reality is restored.

The study highlighted that statistical descriptions from the Russian Empire and the Soviet period were deliberately used by Abkhaz historians to obtain erroneous ethno-demographic balances. Moreover, such calculations are spread on English-language websites that spread the Abkhazian narrative, which misleads foreign scholars interested in the subject. These facts point to the latest and clearest example of Russian disinformation based on falsity and lies about the history of Abkhazia and describe the real historical picture with its factual and statistical chronology and assessments.

***Keywords:*** Population Censuses, Internal Migration, Ethno-demographic Balance, Population Statistics.

## Cultural Values of Abkhazia

Abstracts of the Second International Scientific Conference, December 8-9, 2022, Tbilisi

აფხაზეთის კულტურული ფასეულობანი

მეორე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მოკლე შინაარსები

2022 წლის 8-9 დეკემბერი, თბილისი

### Abraham Shmulevich

*Political scientist (Israel)*

#### **Circassian National Movement and Abkhazia. Overcoming Manipulations of the Kremlin**

Even at the end of the second half of the 1989s, when the possibility of the disintegration of the Soviet Union became obvious, the Kremlin decided to use the provocation of international conflicts to try to keep them in the orbit of the Union. Until now, little is known about it, the published documents are silent. But it is obvious that there was a coordinated policy in this issue, and all these conflicts were managed from a single center in Moscow.. Georgia became one of the first „polygons“. At the same time, the Kremlin also had the goal of neutralizing the national-liberation movements of the Northern Caucasus by „inciting“ them from Georgia by involving them in the separatist movement. The Abkhazian diaspora in Turkey was also actively used for this, which largely managed to penetrate and take control of the Circassian organizations of Turkey and the diaspora in general. However, in the early 2000s, in the Circassian national movement, with the efforts of a number of activists and experts, including the author of these lines, the understanding that the Abkhaz topic only harms the Circassians began to emerge. That the separatist Abkhazia acts as a force that Moscow still uses to suppress the national liberation movements of the Circassians and other peoples of the Caucasus

**Keywords:** Circassians, National Movement, Abkhazia, Kremlin and its Manipulations, Georgia, Caucasus, National Liberation Movement.

## აბრაამ მმულევიჩი

პოლიტოლოგი (ისრაელი)

### ჩერქეზთა ნაციონალური მოძრაობა და აფხაზეთი, კრემლის მანიპულაციების დაძლევა

ჯერ კიდევ 1980-იანი წლების ბოლოს, როდესაც ამკარა გახდა საბჭოთა კავშირის დამლის მესაძლებლობა, კრემლმა ნაცად ხერხს მიმართა, რათა ეთნიკური კონფლიქტების პროვოცირება მოეხდინა. მხოლოდ ასე იქნებოდა მესაძლებელი მოკავშირე რესპუბლიკები საბჭოთა კავშირის ორბიტაზე დაეტოვებინა. ამის მესახებ ჯერჯერობით მცირე დეტალებია ცნობილი, გამოქვეყნებული დოკუმენტები კი დუმან. ამკარაა, რომ ყველა ეს კონფლიქტი ერთი ცენტრიდან - მოსკოვიდან იმართებოდა... ერთ-ერთი პირველი „პოლიგონი“ საქართველო იყო. ამავდროულად, კრემლის მიზანი იყო ჩრდილოეთ კავკასიის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობები გაენეიტრალებინა საქართველოს წინააღმდეგ მათი სეპარატისტულ მოძრაობაში ჩართვით. ამისთვის აქტიურად გამოიყენებოდა თურქეთის აფხაზეთი დიასპორაც, რომელმაც მოახერხა თურქეთის ჩერქეზულ ორგანიზაციებსა და ზოგადად დიასპორაზე გავლენის მოხდენა და მათი კონტროლი. თუმცა, 2000-იანი წლების დასაწყისში, ჩერქეზთა ეროვნულ მოძრაობაში, ცალკეული აქტივისტებისა და ექსპერტების, მათ მორის ამ სტრიქონების ავტორის ძალისხმევით, დაიწყო საუბარი იმაზე, რომ აფხაზების მხარდაჭერა ჩერქეზებს აზიანებს. ამის მიზეზი მდგომარეობს იმამი, რომ სეპარატისტულ აფხაზეთს მოსკოვი იყენებს ჩერქეზებისა და კავკასიის სხვა ხალხების ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ჩასახმობად.

**საკვანძო სიტყვები:** ჩერქეზები, ნაციონალური, მოძრაობა, აფხაზეთი, კრემლი და მისი მანიპულაციები, საქართველო, კავკასია, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა.

### **გელა ცაავა**

*სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

#### **ე. წ. სოხუმის სამხედრო-საავტომობილო გზის აღდგენის პერსპექტივები**

წარმოდგენილი ნაშრომის საკვლევ თემას წარმოადგენს რუსეთის ფედერაციის მიერ ოკუპირებული აფხაზეთისა (საქართველოს) და ჩრდილოეთ კავკასიის დამაკავშირებელი გადასასვლელის (პოტენციური მაგისტრალი - ე. წ. სოხუმის სამხედრო-საავტომობილო გზა) უსაფრთხოების ქრილში მიმოხილვა და რეგიონში გადასასვლელი სარეზერვო მარშრუტის აუცილებლობის გაანალიზება. წინამდებარე ნაშრომში ყურადღება მახვილდება ჩრდილოეთ კავკასიის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების საკითხებზე, რეგიონის სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარების სფეროში სამხედრო-საავტომობილო გზის აღდგენის პრიორიტეტებზე. ნაშრომის მომზადებისას გამოყენებული ხელმისაწვდომი თეორიული მასალის ანალიზმა სათანადო დასკვნების მომზადების საკითხში გაგვიწია მნიშვნელოვანი დახმარება. კვლევაში მოცემულია შესაბამისი რეკომენდაციები, რომლის გათვალისწინება, ვფიქრობთ, მნიშვნელოვანი და აუცილებელია საქართველოს ცენტრალური ხელისუფლებისათვის. ნაშრომის ერთგვარ სიახლეს წარმოადგენს ე. წ. სოხუმის სამხედრო-საავტომობილო გზის აღდგენის საკითხთან მიმართებაში აფხაზეთა მხრიდან მოწინააღმდეგეებისა და მომხრეების პოზიციების შეფასება და ზოგადად, წარმოდგენილი აქტუალური თემის სათანადო ანალიზისა და დასკვნის უზრუნველყოფა.

**საკვანძო სიტყვები:** აფხაზეთი, რუსეთი, სამხედრო-საავტომობილო გზა, მარშრუტი, ინფრასტრუქტურა, რეგიონი.

**Gela Tsaava**  
*Sokhumi State University*

**Perspectives of Restoration of the So-called  
Sokhumi Military Road**

The research topic of the presented paper is a security review of the crossing connecting occupied Abkhazia (Georgia) by the Russian Federation and the North Caucasus (Potential highway - the so-called Sokhumi military road) and analyzing the need for a backup route in the region. In the present work, attention is focused on the issues of socio-economic development of the North Caucasus, on the priorities of the restoration of the military road in the field of transport infrastructure development of the region. The analysis of the available theoretical material used in the preparation of the work provided us with significant help in the preparation of appropriate conclusions. The study provides relevant recommendations, which we think are important and necessary for the central government of Georgia to take into account. A novelty of the paper is the assessment of the positions of opponents and supporters from the Abkhaz side in relation to the issue of the restoration of the Sokhumi military road and in general, providing a proper analysis and conclusion of the current topic presented.

*Keywords:* Abkhazia, Russia, Route, Military Road, Infrastructure, Region.

## **ინდირა ძაგანია**

*სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

### **კულტურათაშორისი კომუნიკაციის ელემენტები თანამედროვე აფხაზურ ლიტერატურაში**

მხატვრული ნაწარმოებები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ კულტურათაშორისი კომუნიკაციის პროცესში, რადგან ისინი პირდაპირ კავშირში არიან კულტურასთან, ინახავენ ინფორმაციას ისტორიის, ეროვნული ფსიქოლოგიის, ეროვნული ქცევის, ანუ კულტურის ყველა კომპონენტის შესახებ.

პირდაპირი კომუნიკაციის დროს, მიმღები და გამგზავნი ცდილობენ ერთდროულად აღმოფხვრან ან მინიმუმამდე დაიყვანონ ჩარევა, რომელიც ხელს უშლის კომუნიკაციის პროცესს. დაფიქსირდა, რომ კომუნიკაციის მონაწილეები მიდრეკილნი არიან შეცვალონ თავიანთი კომუნიკაციის სტილი სხვა კულტურის წარმომადგენლებთან ურთიერთობისას: ისინი ერიდებიან კომუნიკაციის გამოსატულ კულტურულ სპეციფიკურ ელემენტებს, რომლებიც შეიძლება იყოს პრობლემური სხვა კულტურის მომხსენებლებისთვის.

უცხოური ლიტერატურის კითხვა, ჩვენს შემთხვევაში აფხაზური ლიტერატურის, შედარებადია კულტურათაშორისი კომუნიკაციის პროცესთან, ვინაიდან ამ ტექსტის აღქმისას ჩვენ შევდივართ კომუნიკაციაში სხვა კულტურის წარმომადგენელთან. ჩვენს ნაშრომში განვიხილავთ გარემოებებს, რომლებიც მოქმედებენ როგორც ფაქტორები, რომლებიც განაპირობებენ კულტურათაშორისი კომუნიკაციის სპეციფიკას ლიტერატურული ტექსტის კითხვისას.

**საკვანძო სიტყვები:** კულტურათაშორისი კომუნიკაციები, თანამედროვე აფხაზური ლიტერატურა, ტექსტის კითხვა, კომუნიკაციაში შესვლა სხვა კულტურებთან.

**Indira Dzagania**

*Sokhumi State University*

## **Elements of Cultural Communication in Modern Abkhazian Literature**

Fictional work is important for the process of cultural communication because it is directly connected to culture, has information about history, national psychology, national behavior; this means that, about every component of culture.

In direct communication the receiver and sender try to completely eradicate or minimize interfering which complicates the communication process. It was stated that the participants are tend to change their communication style while communicating with other cultural representatives: they avoid culturally expressed specific elements which can be problematic for other cultural speakers.

Reading foreign literature in our case Abkhazian literature, is comparative to the process of cultural communication, because while perceiving the text we are communicating with other cultural representatives. In our work we are discussing circumstances which are influencing factors which are causing the specific of cultural communication while reading the text.

***Keywords:*** Intercultural Communication, Modern Abkhazian Literature, Text Reading, Entering Into Communication With Other Cultures.



## **სოფიკო ჭაავა**

*სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

### **აფხაზებისა და აფხაზური ენის სტატისტიკური მაჩვენებლები XX საუკუნის 30-იან წლებში**

1934 წელს გამოქვეყნდა განათლების სახალხო კომისარიატის მიერ შედგენილი სტატისტიკური ცნობები განათლების საკითხების შესახებ, რომლებიც შედგენილი იყო ს. ს. ს. რ. საბჭოების VII ყრილობისათვის. აღნიშნულ კრებულში საქართველოში მცხოვრები სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლებთან ერთად, მოცემულია აფხაზთა ენათა ფლობის, წერა-კითხვის ცოდნის, საბავშვო ბაღების, სკოლებისა და ტექნიკუმების, თეატრების, გაზეთებისა და წიგნალი ფონდის ენობრივი სტატისტიკური მაჩვენებლებიც.

ზემოაღნიშნული მონაცემებით 1935 წელს აფხაზეთში ფუნქციონირებდა 1 აფხაზური და 2 რუსულ-აფხაზური საბავშვო ბაღი. აფხაზურში ირიცხებოდა 75 ადსაზრდელი, ხოლო რუსულ-აფხაზურში - 220. 1932-1933 წლებში აფხაზურ სკოლაში სწავლობდა 6864 აფხაზი, მათ შორის 6539 იყო I-IV კლასისა და ასაკს გადაცილებული მოსწავლე, V-VII კლასებში - 306, ხოლო VIII-X კლასებში - 19.

1934-1935 წლებში აფხაზეთში მოქმედებდა 69 აფხაზური სკოლა, აფხაზურ-რუსული - 15 და ქართულ-აფხაზური - 1. საერთო ჯამში, 85 სკოლაში ასწავლიდნენ აფხაზურ ენას. 69 აფხაზურ სკოლაში სულ სწავლობდა 4552 მოსწავლე, ხოლო 15 აფხაზურ-რუსულ სკოლაში 5823 მოსწავლე, ხოლო 1 ქართულ-აფხაზურ სკოლაში პირველი საფეხურის 33 მოსწავლე. აფხაზურ სკოლებში მოსწავლეთა უმრავლესობა I-IV კლასში იყო, V-VII კლასებში მხოლოდ 173-მა გააგრძელა სწავლა, შემდეგ საფეხურზე არ გადასულა არცერთი. მოსწავლეთა უმეტესობამ სწავლა გააგრძელა აფხაზურ-რუსული სკოლის მაღალ კლასებში.

1935 წელს უმაღლეს სასწავლებლებსა და მუშათა ფაკულტეტზე სწავლობდა სულ 85 აფხაზი, მათ შორის, 6 - თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიში, 77 - სოხუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში და 2 - სოხუმის მუშააკში.

ხვენ მიერ სტატიაში წარმოდგენილი ამ და სხვა სტატისტიკური მონაცემებიდან ნათლად ჩანს, რომ XX საუკუნის 30-იან წლებში მხოლოდ მცირე რაოდენობის აფხაზმა იცოდა წერა-კითხვა, ისინი, ძირითადად, მხოლოდ დაწყებით კლასებში სწავლობდნენ დედა ენაზე. მათი უმრავლესობა სწავლების სხვადასხვა საფეხურზე ირჩევდა რუსულ-აფხაზურ სექტორს, რაც რეალურად მხოლოდ რუსულ ენაზე განათლების მიღებას გულისხმობდა. სამწუხაროდ, გამონაკლისები სწავლობდნენ ქართულ-აფხაზურ სექტორზე.

საბჭოთა ენობრივი პოლიტიკის ფარგლებში კულტურულ-საგანმანათლებლო სივრცეში აფხაზებისთვის მეთავაზებული აფხაზურ-რუსული ორენოვნება ფორმალობა იყო, რომელიც პრესტიჟული რუსული ენის ფუნქციონერების გაფართოებით უნდა განვითარებულიყო. სოციალისტური მეთოდებით სხვადასხვა ეროვნების ადამიანთა, მათ მორის, აფხაზთა ეთნიკურ და ენობრივ იდენტობაზე „ზრუნვის“ საბოლოო მედეგი კი მონოლინგვური რუსულენოვანი საბჭოთა მოქალაქეების ფორმირება უნდა ყოფილიყო, რომლებსაც ნაკლებად ან საერთოდ არ ეცოდინებოდათ მშობლიური ენები.

**საკვანძო სიტყვები:** აფხაზები, აფხაზური ენა, რუსული ენა, ენობრივი პოლიტიკა, XX საუკუნის 30-იან წლები.

**Sofiko Chaava**

*Sokhumi State University*

### **Statistical indicators of the Abkhazians and Abkhazian language in the 30s of XX century**

In 1934, statistical reports on education issues were published which were compiled by the People's Commissariat of Education for VII Congress of Councils of USSR. In the mentioned collection, together with the representatives of different nationalities living in Georgia, linguistic statistical indicators of proficiency in Abkhazian language, literacy of Abkhazians, kindergartens, schools and technical schools, theaters, newspapers and book fund are also given.

